

მოსე ჯანაშვილი

(ცხოვრება და მოღვაწეობა)

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თ ბ ი ლ ი ს ი

1956



ვ. თოფურია

მოსე ჯანაშვილის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა

თვალსაჩინო მკვლევარი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე მოსე ჯანაშვილი იმ მცირერიცხოვან, მაგრამ სახელოვან მუშაკთა პლეადას ეკუთვნოდა, რომელნიც მეფის დროს დუხჭირ პირობებში უანგაროდ და თავდადებით იღვწოდნენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი კულტურის ყველა დარგის შესასწავლად და წარმოსაჩენად, ეროვნული სახის შესანარჩუნებლად და მისი ბედნიერი მომავლის საჭედად.

მოსე ჯანაშვილმა თავისი სიცოცხლის 79 წელიწადიდან 60 წელზე მეტი მოახმარა ქართველი ხალხის სამსახურს როგორც სამეცნიერო, ისე პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.

მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მოსე ჯანაშვილის ღვაწლი. საამისოდ მას ჰქონდა მეცნიერის უტყუარი ალლო, მკვლევრის დიდი ნიჭი და ფართო ინტერესები, რასაც აძლიერებდა თავისი ერის ღრმა სიყვარული. მეცნიერის ამ მაღალმა თვისებებმა, დაუცხრომელმა ძიებამ და ფართო ცოდნამ მოსე ჯანაშვილს შესაძლებლობა მისცეს ეკვლია მნიშვნელოვანი პრობლემები და საკვანძო საკითხები ქართველი ხალხის შემოქმედებისა, – იყო ეს საქართველოს ისტორია, ქართული ენა, ქართული მწერლობა, ეთნოგრაფია, მეურნეობა, ბიბლიოლოგია თუ სხვ. მოსე ჯანაშვილმა ყველგან თავისი სიტყვა თქვა, თავისი კვალი დატოვა.

მძიმე იყო მოსე ჯანაშვილის მოღვაწეობის პერიოდი. ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკით გამოწვეული ეროვნული ჩაგვრა და დევნა, საზოგადოებრივი ინტერესების შეზღუდულობა, ცენზურის მარწუხები და დაბადებითვე დაყოლილი მატერიალური სივიწროვე ხელს უშლიდა მას მთელი შესაძლებლობით ემუშავა და შემოქმედებითი ფრთები გაეშალა. მოსე ჯანაშვილმა მაინც ბევრი გააკეთა, ბევრი მნიშვნელოვანი რამ შექმნა.

3

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში იგრძნო მან შვება და ზრუნვა. გამხნევებული მოხუცი გატაცებით დასტრიალებდა თავს იმავე ძირითად პრობლემებს, რომელთაც არა ერთი და ორი საყურადღებო შრომა მიუძღვნა. მაშინ დაამთავრა მან ორმოცი წლის წინათ დაწყებული დიდი ქართული ლექსიკონი, ხელნაწერთა აღწერილობის IV ტომი, გამოკვლევა „ქართველები და ქართ-

ველური ენა“ და სხვ. დიდი მონდომებით განაგრძობდა იგი მასალების შეკრებას ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონისათვის და ლურსმულ წარწერათა ენის გამოსაწვლილავად.

მოსე ჯანაშვილის ეგოდენი შრომა და ღვაწლი ჯეროვნად დააფასეს პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ. 1927 წელს მას მიენიჭა შრომის გმირის წოდება. 1930 წელს მასში ზეიმით გადაუხადეს მას იუბილე, სადაც ჩვენმა მოწინავე მეცნიერებმა აღნიშნეს მისი დიდი ამაგი და დამსახურება ხალხის წინაშე, მისი ღვაწლი ქართულ მეცნიერებაში. იმავე წელს თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ იგი აირჩია დამსახურებულ პროფესორად და დაენიშნა პერსონალური პენსია. თბილისის ერთ-ერთ ქუჩას ჯანაშვილის ქუჩა უწოდა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭომ.

ღვაწლმოსილი მეცნიერი მოსე ჯანაშვილი გარდაიცვალა 19 აპრილს 1934 წელს. სათანადო პატივით დაკრძალულ იქნა მთაწმინდაზე სახელოვან ქართველ მოღვაწეთა შორის – ნიკო ნიკოლაძის, ალექსანდრე ცაგარლისა და ვაჟა-ფშაველას გვერდით.

მშრომელთა ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული, ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების ზრუნვა და დაფასება მხცოვან მეცნიერს წილად ხვდა იმ მნიშვნელოვანი მემკვიდრეობის გამო, რომელიც მან დაუტოვა შთამომავლობას. დიდია და მრავალფეროვანი ეს მემკვიდრეობა. იგი 1665 შრომამდე აღწევს, რომელთაგან 71 წიგნია. დაუბეჭდავია 300-მდე ნაშრომი. მათ შორის არ არის გამოქვეყნებული ისეთი კაპიტალური ნაშრომები, როგორცაა: ქართული ლექსიკონი, რომელიც ემყარება მრავალ ძეგლს და შეიცავს 104 ათას სიტყვას სრული განმარტებითურთ, Русско-грузинский лексикон или грузинский язык и его идиомы. (შემენილი აქვს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიას), შოთას ლექსიკონი, შემდგარი 7000 სიტყვისაგან, პეტრიწის ლექსიკონი, რომელიც შეიცავს 3900 სიტყვას, გამოკვლევები „ქართველები და ქართველური ენა“, „ქართველური სიტყვანი“, „ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი“, История осетинского народа და სხვი როგორც ეს, ისე დაბეჭდილი შრომები აშუქებენ ქართველი ერის ის-

4

ტორიის, ენის, მწერლობის, ეთნოგრაფიისა და სხვა დარგების ძირითად საკითხებს.

შრომები გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე, ზოგი მათგანი თარგმნილია გერმანულად და ლათინურად.

დაუღალავი მკვლევრის მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო გზა

არ ყოფილა ადვილსავალი. იგი პატარაობითვე არ ტრიალებდა მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა წრეში, არ იზრდებოდა მოწინავე პედაგოგთა ხელმძღვანელობით, არავინ ჰყავდა გზის მაჩვენებელი და მუშაობის წარმმართველი, მას არ გაუვლია სამეცნიერო სკოლა და არ მიუღია კვლევადიებითი წვრთნა. მოსე ჯანაშვილმა თავისი შრომითა და ნიჭით სწორად აირჩია და გაიკვლია გზა და დაუშრეტელი ენერგიითა და მუდმივი ძიებით დაიმკვიდრა მოწინავე მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის მყარი ადგილი.

ეს შრომის უნარი და ნიჭი, სოფლის ცხოვრების ცოდნა და გამოცდილება მან მემკვიდრეობით მიიღო. გადავავლოთ თვალი მოკლედ მაინც მის ცხოვრებას.

მოსე ჯანაშვილი დაიბადა 19 მარტს (ძველი სტილით) 1855 წელს საინგილოში, სოფ. კაკში ანუ კახში. მამა გიორგი ჯანაშვილი და დედა მარიამი – ბედირ გამხარაშვილის ასული – ღარიბი გლეხები იყვნენ. მამა დავაჟკაცებისას ელისუს სულთანს ჰყოლოდა სამსახურში. იგი განუდგა სულთანს და შვიდ ინგილოსთან ერთად ჩამოვიდა თბილისს და აქ მოინათლა 1850 წ. (მანამდე ფარულად აღიარებდნენ ქრისტიანობას). შემდეგ წაიყვანა სამღვდელოება და დანათლა სხვა ინგილოებიც, მათ შორის შემდგომ ცნობილი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ჯანაშვილიც.

13 წლამდე სოფელში იზრდებოდა მოსე ჯანაშვილი. პატარაობითვე შეითვისა მან ინგილოური მეტყველება, ქართული ენის ეს საინტერესო კილო, ღრმად გაეცნო ინგილოთა ყოფა-ცხოვრებას მათ ზნე-ჩვეულებას, რაც შემდეგ საფუძვლად დაედო მის ცნობილ მონოგრაფიულ ნარკვევს „საინგილოს“. ათ წლამდე მშობლებს ეხმარებოდა საოჯახო საქმეებში – ნახირს აძოვებდა, ვენახს უვლიდა, ფიჩხსა და შეშას ეზიდებოდა... სწავლა დაიწყო 1865 წელს კახის ახალგაზსნილ სამრევლო სკოლაში. სწავლება წარმოებდა დრომოქმული ასოთშეერთებითი მეთოდით. 1868 წელს შევიდა ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც 1872 წელს დაამთავრა პირველ „მაგირდად“, სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელიც მეოთხე კლასიდან დაატოვებინეს და ყოფაქცევაში „ოთხი“ გამოაყოლეს. „მე სამღვდელოდ არ ვიყავ და-

5

ბადებულო“, – წერდა მოსე ჯანაშვილი. ამიტომ იყო, რომ იგი დაეწაფა აკრძალული ლიტერატურის კითხვას, რომელიც სკივრებით ჩამოეტანა ეგნატე იოსელიანს. ამის გამო იძულებული გახდა სემინარიიდან გამოსულიყო და მოგვიანებით ჩაებარებინა გიმნაზიის კურსი.

მასწავლებლობა დაიწყო 1875 წელს ქუთაისში მინა პეტ-
რიაშვილის პანსიონში, შემდეგ იგი მიიწვიეს იქაურ პროგიმნაზია-
ში, სადაც სწავლობდნენ შემდგომ ცნობილი მოღვაწეები – ექვთი-
მე თაყაიშვილი, ივანე ელიაშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, ილია ნა-
კაშიძე და სხვ. ქუთაისში ყოფნისას მას შესაძლებლობა მიეცა გა-
სცნობოდა დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილს და მიეღო
წარუშლელი შთაბეჭდილება, რაც გადმოცემული აქვს თავის კრე-
ბულში „საქართველო“.

1878 წელს გადმოვიდა თბილისში. აქ ახალგაზრდა. მასწავ-
ლებელი მოსე ჯანაშვილი გაამწესეს თბილისის სასულიერო სას-
წავლებელში, სადაც დაჰყო 1901 წლამდე. „მთელი ეს დრო (23
წელიწადი) მე გავატარე უკუღმართობასთან ბრძოლაში, – წერდა
შემდეგში მოსე ჯანაშვილი. – საკუთარ მოვალეობას პირწმინდად
და ჩინებულად ვასრულებდი, თორემ არ დამინდობდნენ და დამი-
თხოვდნენ უწყალოდ. ამ ხნის განმავლობაში ჩემ ხელში გაიარა
მრავალმა მოწაფემ. მშველელი და მფარველი ვიყავი უფრო ისეთი
მოწაფეებისა, რომელნიც მოდიოდნენ საქართველოს განაპირები-
დან: საუდოდან, საინგილოდან, აფხაზეთიდან, ფშავ-ხევსურეთ-
თუშეთიდან, ბორჩალოდან, ოსეთიდან, მთიულეთიდან და, საზო-
გადოდ კი, ყველასი... ვაჩუქებდი წიგნებს, ვახალისებდი სწავლი-
სათვის, ხშირად საკუთარ ბინაზე ვინახავდი და ფულს ვაძლევდი
მშვიდს..

1892 წლიდან პარალელურად ქართულ ენას ასწავლიდა რეა-
ლურ სასწავლებელში. მის გაკვეთილებს ესწრებოდნენ ქართველებ-
თან ერთად სომხებიც, მათ შორის სტეფანე შაუმიანიც.

1909 წელს მიიწვიეს წმ. ნინოს სასწავლებელში ქართული
ენის მასწავლებლად, აქედან ერთი წლის შემდეგ გადავიდა მე-5
ქალთა გიმნაზიაში, სადაც მუშაობდა თებერვლის რევოლუციამდე.

რეალური სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ მასწავლებ-
ლობდა მიწისმზომელთა სასწავლებელში და მე-6 ვაჟთა გიმნაზიაში.

1920 წლის ენკენისთვიდან ქართული ენის ლექტორი იყო
თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ამგვარად სახელოვანი მეცნიერი 45 წლის განმავლობაში ემ-
სახურებოდა ქართველ ახალგაზრდობას, ასწავლიდა და აყვარებდა
6

მას მშობლიურ ენას, აცნობდა მის წარსულსა და აწმყოს, მის
დიდ შესაძლებლობას კულტურის განვითარებისათვის, იბრძოდა
მშობლიური ენის უფლებისათვის, მისი გავრცელება – დანერგვი-
სათვის.

მასწავლებლობასთან ერთად იგი ქმნიდა სახელმძღვანელოებს.

მის მიერ შედგენილი „საქართველოს ისტორია“ პირველი სახელმძღვანელო იყო საშუალო სასწავლებელში. მან დიდი როლი შეასრულა ქართველთა წარსულის შესწავლისა და გათვითცნობიერების საქმეშია. მის მიერ გამოქვეყნებული „ქართული გრამატიკა“ როგორც სახელმძღვანელო, ორიგინალურია და გამოირჩევა თავისი სტრუქტურითა და მიზანდასახულობით. მას დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

1895 წლიდან თებერვლის რევოლუციამდე მოსე ჯანაშვილი მიწვეული იყო კავკასიის სასწავლო ოლქის საგამოცდო კომიტეტის წევრ-ეგზამინატორის თანამდებობაზე. აქაც იგი სასარგებლო საქმეს ეწეოდა. მის დროს სამასწავლებლო მოწმობა მიიღეს შემდეგში ცნობილმა მასწავლებლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა: ლ. ბოცვაძემ, პ. მირიანაშვილმა, პ. ცახელმა და სხვ.

მარტო ეს პედაგოგიური შრომა და სახელმძღვანელოები საქანარისი იყო, რომ მოსე ჯანაშვილის სახელი წარუშლელი დარჩენილიყო, მაგრამ უფრო დიდია მისი სამეცნიერო ღვაწლი.

მასწავლებლობასთან ერთად იგი თანამშრომელი იქო სამეცნიერო-კულტურულ დაწესებულებათა, როგორც იყო: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, არქივი, სიმპლეეთსაცავი. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მდივნად ყოფნისას (1891 წელს) მოსე ჯანაშვილმა ბევრს დააბრუნებინა გატანილი ხელნაწერები და შეუდგა მათ აღნუსხვას. ამით დაიწყო წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის ხელნაწერთა კატალოგის შედგენა.

რევოლუციის შემდეგ მოსე ჯანაშვილი გაეცნო სამხედრო არქივს და მდიდარი წყაროების საფუძველზე შეისწავლა და აღწერა დალესტნის მთიელთა ცხოვრება, რასაც არა ერთი და ორი შრომა მიუძღვნა, გაარჩია თბილისის მაზრის არქივი 1810 წლიდან 1850 წლამდე და მრავალი საყურადღებო სიგელ-გუჯარი იპოვა. გადაწერილი და სასტამბოდ გამზადებული ეს ისტორიული წყაროები გამოქვეყნებას ელის. მოსე ჯანაშვილმა მცირე წვლილი როდი შეიტანა ამჟამად მოქმედი სამხედრო ტერმინოლოგიის დადგენაში.

მაგრამ მთავარია და დაუფასებელი მისი ღვაწლი ჩვენი სიმპლეეთის მოპოვების, დაცვისა და შესწავლის საქმეში. 1889 წელს დაარსებული სიმპლეეთსაცავი ცხრა წლის შემდეგ მოსე ჯანაშვი-

7

ლის გამგებლობაში გადავიდა. აქ ის მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა თითქმის სიკვდილამდე. შეადგინა ორი ტომი კატალოგი, გამოაქვეყნა ხელნაწერთა აღწერილობა გაზ „ივერიაში“ 1896 – 1900 წლებში და 1904 წელს, გადმოწერა და გამოაქვეყნა მრავალი საისტორიო და მხატვრული ნაწარმოების ძეგლი (სერაპიონ ზარ-

ზმელის ცხოვრება, ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი, იოანე ბოლნელის ქადაგებანი, თუალთაჲ, აბო ტფილელი და სხვა მრავალი).

მოსე ჯანაშვილის ამ დიდ შრომას მაღალ შეფასებას აძლევდნენ როგორც რუსი, ისე უცხოელი მეცნიერები, წერდნენ მის შესახებ გამოკვლევებს ჟურნალ-გაზეთებში, მიმოწერა და მეცნიერული კონტაქტი ჰქონდათ მასთან.

ეს სიძველეთსაცავი 1921 წელს გადაეცა უნივერსიტეტს და შემდეგ სხვა სიძველეთსაცავებთან ერთად იგი საფუძვლად დაედო აკად. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას, ქართველი ერის ამ ფასდაუდებელ მეცნიერულ-კულტურულ საგანძურს მის შექმნასა და შესწავლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი დაუღალავ მკვლევარს მოსე ჯანაშვილს.

მოსე ჯანაშვილი იყო სხვადასხვა სამეცნიერო საზოგადოების წევრი და ზოგი მათგანის დამაარსებელთაგანიც.

მაგრამ მოსე ჯანაშვილი პირველ რიგში მაინც მეცნიერია და მეცნიერი ისტორიკოსი. ქართველი ერის ისტორიის საკითხებზე მუშაობამ იგი მიიყვანა ისტორიის დარგების – წყაროების, ნუმისმატიკისა და სხვათა, ქართული მწერლობის, ენის, ეთნოგრაფიის შესწავლამდე. მოსე ჯანაშვილი ყველა ამ დარგში ნაყოფიერი მკვლევარი აღმოჩნდა. შეიძლება დღეს ბევრი რამ არ გავიზიაროთ მ. ჯანაშვილის დებულებებიდან და კონცეფციებიდანაც, მაგრამ იგი უთუოდ მაშინდელი ცოდნისა და კვლევის სიმაღლეზე იდგა და, თუ ყველა საკითხს სწორად ვერ წყვეტდა, თავისი ალლოთი და მიხვედრით სწორ გზას მაინც ადგა.

ცნობილია მოსე ჯანაშვილის მონოგრაფიული ნარკვევები ეთნოგრაფიაში „საინგილო“. იგი საინტერესოაა აგებული, მასში ვრცლად არის მოცემული საინგილოს გეოგრაფია, ისტორია, მოსახლეობა, ინგილოს სახლ-კარ-მამულის აღწერა, მინდორ-ველი აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობა, შინაური ყოფა-ცხოვრება (შობა და აღზრდა, ნიშნობა და დაქორწინების სამზადისი, ქორწილი, გარდაცვალების წესები, საიქიო (გორი), ცრუმორწმუნეობა, დღეობები და გაყრა, ინგილოური ზღაპრები და თქმულებანი, ცოტა რამ გრამა-

ტიკიდან და ბოლოს ლექსოკონი). ასეთი შედგენილობით სრული ნარკვევი მანამდე უცნობი იყო. მისი მნიშვნელობა დღესაც დიდია შრომას თავის დროზე კარგი შეფასება მისცა აკაკი შ ა ნ ი ძ ე მ:

„უმთავრესად ძლიერია, – წერს იგი – ეთნოგრაფიული ცნობები, ალაგ-ალაგ ძალიან დაწვრილებითია და მეტად ცოცხლადაა გად-

მოცემული. ავტორი ინგილოა და მან გვიჩვენა თავისი კუთხის კარგი ცოდნა; ინგილოთა ყოფის, ზნე-ჩვეულებების, რელიგიური წარმოდგენების მის მიერ აღწერილი სურათები დიდხანს შეინარჩუნებენ თავიანთ სიცხოველეს“ (Записки Восточного отд. Русского арх. общ., XXII). ნათლად ჩანს, რომ მოსე ჯანაშვილი თავის დროისათვის ჩინებული ეთნოგრაფი იყო.

უფრო ნაყოფიერია და მრავალმხრივი მოსე ჯანაშვილი ქართული ენის შესწავლის საქმეში. იგი როგორც ენის მკვლევარი ქართული ენათმეცნიერების ისტორიაში დიდად დასაფასებელია. მის კვლევის საგანს შეადგენს ქართული ენის გრამატიკა, ლექსიკოლოგია და ეტიმოლოგია, ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი და გრამატიკა, ქართველურ ენათა გენეტური ნათესაობა კავკასიურ და ძველი აღმოსავლეთის ენებთან, ქართველურ ენათა შესწავლის ისტორი.

მოსე ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა“, რომელიც გამოვიდა 1906 წელს, მეცნიერულად დამუშავებული სახელმძღვანელოა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას იძლეოდა მაშინდელი ცოდნა და კვლევის ღონე. იგი თავის დანიშნულებითა და სტრუქტურით საფუძვლიანად განსხვავდება წინამორბედი გრამატიკები-საგან. ამ სხვაობას ქმნის: I. გრამატიკის მეცნიერული გაგება, 2. ენის შესწავლის აუცილებლობა ისტორიულ ასპექტში, 3. შედარებითი ანალიზი. ავტორი იძლევა ამათ დასაბუთებას წინასიტყვაობაში. იგი იმდენად ახალია იმდროისათვის და მნიშვნელოვანი, რომ არ შეიძლება ნაწილობრივ აქვე არ მოვიყვანოთ.

ავტორის სიტყვით, „რომელიმე ენის გრამატიკა არის დალაგებული, სისტემატური აღწერა მისის კანონებისა.

გრამატიკის დამწერი კანონმდებელი არ არის; კანონები თვით ენაშია; საჭიროა მხოლოდ გრამატიკის შემდგენელმა ეს კანონები უმეტესაკლებოდ გამოარკვიოს, გამოარჩიოს, ჩასწეროს“.

ქართული ენის რაობა მოსე ჯანაშვილს მართებულად ესმის, როცა წერს: „ქართულ ენად ჩვენ მიგვაჩნია ჯამი იმ სიტყვიერ და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც, დროთა განმავლობაში, შეუქმნია და შეუმუშავებია არა ქართლელს ანუ კახელს, არა იმერელს ანუ მესხს, არა სვანს ანუ მეგრელს, არა აჭარა-კლარჯელს ანუ

9

ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა გვარტომს.

ჩვენთვის, ვითარცა ქართული გრამატიკის შემდგენელისათვის, ერთნაირად ძვირფასი იყო და არის როგორც ქართლური ბრუნვა და უღვლილება, ისეც სვანური და მეგრული მიმოხრა, უღვლი-

ლება თუ კანკლედობა“.

ამიტომ, განაგრძობს ავტორი:

„ქართულ გრამატიკაში“ შევიტანეთ იმდენი და ისეთი მასალა, რომელიც, ვფიქრობთ, ყოველს ქართველს მისცემს შეძლებას, შეისწავლოს თავისი ღვიძლი, სრულიად საქართველოს, ენა და ამასთანავე გაიგოს, თუ რა მჭიდრო ურთიერთობრივი დამოკიდებულება სუფევს ქართულსა, სვანურსა და მეგრულს შორის.

ამ ურთიერთობრივ დამოკიდებულებების ცოდნა კი ფრიად საჭიროა“.

დიალექტთა შესწავლის საჭიროება საყოველთაოდ აღიარებული იყო და მოსე ჯანაშვილს ეს ქართული ენის მასალაზე მკაფიოდ აქვს დასაბუთებული: „კილოკავების უგულებელყოფა, კარჩაკეტილობა მათ შესწავლაში მავნებელია იმ მხრივაც, რომ სწორედ ამ კილოკავებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულა მრავალი, ძველისძველადგანვე ქართველებისაგან შემენილი, სიტყვიერი საუნჯე, რომელიც საჭიროა გამომზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლოსა ეროვნო ენას“.

წამოყენებული დებულებები სავსებით სწორია და მისაღები: გრამატიკა სწავლობს ენის კანონებს. გრამატიკოსის ვალია ამ კანონების გამოვლენა. შესასწავლია საერთო ერთიანი ქართული, გათვალისწინებული უნდა იყოს ქართული ენის კილოთა მონაცემები, შედარებულ უნდა იქნეს მეგრულ-ჭანურ-სვანურის მასალა, რომ შევიცნოთ ქართული ენის წარსული და აწმყო... ავტორი იძლევა ქართული ენის ბრუნებისა და უღვლილების პარადიგმების პარალელურად სხვა ქართველურ ენათა და აგრეთვე ქართული ენის დიალექტთა მონაცემებს. მათი ანალიზი უმეტესად მართებულია და ღრმა, მიხვედრები და დასკვნები რიგ შემთხვევებში საინტერესოა და გასაზიარებელი. ეს არის მნიშვნელოვანი ცდა შედარებითი გზით მორფოლოგიურ მოვლენათა სისტემატური შესწავლისა. შიგადაშიგ საყურადღებოა ტერმინთა შეცვლა, მასალის გადაჯგუფება და მოვლენის სხვა თვალთ დანახვა. მოთხრობითს ბრუნვას მეორე სახელობითს უწოდებს და სახელობითის შემდეგ ხმარობს; ეს გამართლებულია მათი გენეზისითა და სინტაქსური ფუნქციით.

10

გრამატიკა უდავოდ ისტორიული მნიშვნელობისაა და უფრო მაღალი შეფასება უნდა მიეცეს, ვიდრე აძლევენ მას მაშინდელი რეცენზენტები.

დიალექტების მნიშვნელობა სამწერლობო ენის განვითარებისათვის, ენის ისტორიის შესწავლისათვის ჩინებულად აქვს გათვა-

ლისწინებული მოსე ჯანაშვილს. იგი ჯერ კიდევ 1906 წელს წერდა (გრამატიკის წინასიტყვაობაში): „კილოკავები და აგრეთ-წოდებული „გაქვავებული“ სიტყვები უშრეტი წყაროა სამწერლო ენისა. როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემორევით, ისე ენაც, თავისის წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზღოს თავისის კილოკავებიდამ; უამისოდ იგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გადატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშნარში მიმდინარე ხევს, რომელიც, სათავეებში წყარო-ნაკადულების სიცოტავის გამო, ზღვამდის ველარ უწევს“.

ამ დებულების ხორცშესხმაა უთუოდ მოსე ჯანაშვილის ინგილოური ტექსტები, მათი გრამატიკული ანალიზი და ლექსიკონი, რომლებიც გამოაქვეყნა მან 1913 წელს. ამით, შეიძლება ითქვას, საფუძველი ჩაეყარა ქართულ დიალექტოლოგიას. მართალია, შრომა სავსებით დამაკმაყოფილებელი არ არის, ახლავს შეცდომები, ნაკლოვანია, მაგრამ მანამდე არსებული მასალები, სიმცირის გარდა, არასანდოც იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნ. მარის შეკრებილ იმერხეულის ტექსტებს.

ინგილოურს წინათაც ეხებოდა მოსე ჯანაშვილი. 1896 წელს ფარსადან გორგიჯანიძის ლექსიკონის დამატებად გამოაქვეყნა მან ინგილოურის დახასიათება და 800-მდე სიტყვა განმარტებითურთ. ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს ჯერ გამოუქვეყნებელი შრომა „ინგილოთა კილო“.

ამავე კილოს მონაცემები გამოიყენა მოსე ჯანაშვილმა ჰაემეტი ტექსტების თავისებურების ჰაეს ასახსნელად საენათმეცნიერო საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე წაკითხულ მოხსენებაში.

მოსე ჯანაშვილს უნდა ვუმადლოდეთ იმას, თუ კილოები და ენები ერთმანეთში არ არის არეული და ასე თუ ისე გასაგებად არის წარმოდგენილი რ. ერკერტის წიგნში Die Sprachen des Kaukasischen Stammes ქართული ენის კილოების ზოგადი დახასიათება. წიგნი გამოვიდა ვენაში 1895 წ. ამ წიგნში ახლა კორექტურულ შეცდომებზე შეიძლება ლაპარაკი, მანამდე, მოსე ჯანაშვილის თქმით, „შეკრებილი მასალა შესრულებული იყო უვიცებისაგან და მასში სამეცნიერო არა იყო რა... საჭირო იყო ერკერ-

ტის მიერ დასაბეჭდად განზრახული მასალა ხელახლა დაწერილიყო, რომ მას რაიმე სამეცნიერო ფასი ჰქონოდა“.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსე ჯანაშვილის დიდი მუშაობა ქართულ-ქართველურ ენათა ლექსიკონების შედგენაში. ეს ლექსიკონები არასრულად დავასახელებთ. ესაა: რუსულ-ქართული

ლექსიკონი, ქართული განმარტებითი ლექსიკონი ქართველურ ენათა შედარებითი ლექსიკონი, დიალექტური ლექსიკონი, მწერლების (შოთას, პეტრიწის, დავი გურამიშვილის ბესიკის) ლექსიკონები და სხვ. უმეტესობა გამოუქვეყნებელია.

მას ეკუთვნის რიგი რეცენზიები გამოცემულ ქართულ ლექსიკონთა შესახებ და წერილი სალექსიკონო მასალების შეკრების თაობაზე.

მოსე ჯანაშვილის ეტიმოლოგიებიდან ბევრი მარჯვეა და სარწმუნოზ საკმაო რაოდენობა გაზიარებულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ეტიმოლოგიურ ლექსიკონში ბევრი მათგანი პოვებს ადგილს.

ქართველურ ენებს მოსე ჯანაშვილი ისტორიულ ასპექტში წარმოგვიდგენს ერთ მთლიან ენად, რომლის დიალექტებია სვანური და მეგრულ-ჭანური. მას მათი ერთობლიობა ყველა შრომაში გატარებული აქვს. ამიტომაც, რომ გრამატიკული მოვლენის თუ ლექსიკური მონაცემის ანალიზისას ყოველთვის ყველა ენის მასალას ითვალისწინებს. ჭანურს, წინააღმდეგ ნ. მარის დებულებისა, კილოკავად მიიჩნევს და არა ენად. ეს აზრი დღეს დასაბუთებულია.

მოსე ჯანაშვილი შეუწელებლივ ადევნებდა თვალყურს ქართული ენის შესწავლას და ყოველ ახალ შრომას, ყოველ ახალ შეხედულებას თუ თეორიას აცნობდა ფართო საზოგადოებას. იგი კრიტიკულად ეპყრობოდა ქართულის სემურ ენებთან ნათესაობის თეორიას და უარყოფდა ამ თეორიის შესაბამისად ნ. მარის მიერ წამოყენებულ დებულებებსა და მოცემულ შედარებებს. უარყოფდა აგრეთვე სხვა მეცნიერთა აზრსაც. მაგრამ იმავე დროს უმართებულოდ მხარს უჭერდა ქართულის ინდოევროპულ ენებთან ნათესაობის თეორიას. ლაიბნიცის მიერ წამოყენებული ეს თეორია შემდეგში განავითარა მარი ბროსემ და გრამატიკულ-ლექსიკური მონაცემებით დასაბუთება სცადა ისტორიულ შედარებითი ენათმეცნიერების ფუძემდებელმა ფ. ბოპმა, მაგრამ ამ დასაბუთებით უარყოფითად გადაწყდა ქართველურ და ინდოევროპულ ენათა გენეტური ურთიერთობა. მიუხედავად ამისა მოსე ჯანაშვილი დაბეჯითებით ამტკიცებდა ქართველურ და სლავურ-რუსულ ენათა ნათესაობას. ამ პრობლემას მან დიდი შრომა მიუძღვნა: *Карт-Вельский язык и словяно-русский*. ეს მით უფრო გასაკვირია

12

რომ მოსე ჯანაშვილი აშკარად ხედავდა ქართველური და აფხაზურ-დაღესტნურ ენათა ნათესაურ დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, და ქართველურ და ძველ აღმოსავლურ ენათა გენეტურ კავშირს, მეორე მხრივ, და ამის დამამტკიცებელ ენობრივ საბუთებს იგი ერთგულად ეძიებდა და პოულობდა კიდევ.

ამგვარად, მოსე ჯანაშვილი არა მარტო დარაჯად უდგა ქართულ ენას, არამედ იგი იყო მისი დიდი დამფასებელი და ღრმა და მრავალმხრივი მკვლევარი.

მოსე ჯანაშვილს ჩვენ არ ვახასიათებთ როგორც მოქალაქესა და პიროვნებას. მისი ამ მხრივ მაღალი ღირსების შესახებ აშკარად ლაღადებენ ის მრავალრიცხოვანი წერილები და მისამართები, რომლებიც დაცულია მის არქივში. ეს წერილები მიღებული აქვს მას სხვადასხვა ქართული და რუსული ჟურნალგაზეთების რედაქციებისაგან, მოწაფეთაგან და სტუდენტთაგან, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთაგან, ქართველ და უცხოელ მეცნიერთაგან, როგორც იყვნენ: ივანე ჯავახიშვილი, მიხეილ გურგენიძე – ჟურნ. „იმედის“ რედაქტორი, ნიკო მარი, იოსებ ყიფშიძე, ჰუგო შუხარდტი, ოქსფორდის პროფესორი მორფილი, ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი ლემანჰაუპტი, რომელსაც ის ქართულს ასწავლიდა, და-სძმა უორდროპი, პრ. უვაროვისა, რ. ერკერტი, თედო ჟორდანიას, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, ნიკო ნიკოლაძე, მიხ. თამარაშვილი, ნიკო ლომოური, ვასილ ბარნოვი და სხვა მრავალი.

არ შეიძლება არ მოვიგონოთ ის საქმიანი და ტკბილი წუთები, რომელთაც ატარებდნენ მოსე ჯანაშვილთან ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, იასე ცინცაძე, ალ. ბარამიძე, შალვა ამირანაშვილი და სხვები. მუზეუმისა და ბინის კარები ჩვენთვის ყოველთვის ღია იყო. მოსე ჯანაშვილი მუდამ სამეცნიერო საკითხებზე მსჯელობდა, საგულისხმო აზრს გამოთქვამდა, საინტერესო შენიშვნებს იძლეოდა, გვამხნეებდა. ზოგჯერ საუბარი დიდხანს გაგრძელდებოდა და იგი მაშინაც ახალი და მოუწყინარი იყო.

მოსე ჯანაშვილი, სახელოვანი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ყოველი თაობისათვის მოსაგონარი იქნება საქმითა და სიყვარულით.

საზოგადოებათმეცნიერების დარგებში მომუშავენი მოსე ჯანაშვილს ყოველთვის უზომო მადლობის გრძნობით მოიხსენიებენ ხალხის უანგარო სამსახურისა, სამშობლოს ძლიერი სიყვარულისა და მრავალმხრივი მეცნიერული ღვაწლისათვის.

კ.გრიგოლია

მოსე ჯანაშვილი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი

მოსე ჯანაშვილის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის მთავარი საგანი, სამშობლო ქვეყნის – საქართველოს ისტორია იყო. ქართველი ხალხის ისტორიული თავგადასავლის შესწავლა-გაშუქება იყო ის წმინდა საქმე, რასაც გამოჩენილმა მკვლევარმა თავისი დიდი ცოდნა და დაუღალავი ენერჯია ასე უანგაროდ შეაღია და მოახმარა.

XIX საუკუნის 90-იანი წლებისათვის, როდესაც მოსე ჯანაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა, საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმე სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ გვქონდა ჩვენ ქართული ისტორიული მეცნიერება, არ იყო არც ერთი სამეცნიერო დაწესებულება, რომელიც ასეთ საქმიანობას დაისახავდა მიზნად. რაც მთავარია, ამისათვის არც პოლიტიკური სიტუაცია იყო ხელსაყრელი. მაშინდელი ოფიციალური ხელისუფლება ამ საქმისთვის არ ხარჯავდა არც ერთ მანეთს. მით უფრო იმპერატორი ალექსანდრე II მკვლევლობის შემდეგ, როდესაც რეაქცია მთელს იმპერიაში გაძლიერდა და განსაკუთრებით განაპირა ქვეყნებში მძვინვარებდა იგი.

სწორედ მაშინ და ასეთ პირობებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე მოსე ჯანაშვილი და გაბედულად მოკიდა ხელი საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების საქმეს.

ერთ-ერთი ადრინდელი საქმეთაგანი, რომელიც მოსე ჯანაშვილმა საქართველოს ისტორიაში გააკეთა, სახელმძღვანელო წიგნის შექმნა იყო. ქართველი საზოგადოება ასეთ წიგნს დაბეჯითებით თხოვლობდა. მაგრამ მაშინ, ქართული საისტორიო მეცნიერების უქონლობის პირობებში, ასეთი სახელმძღვანელოს დაწერა ადვილი საქმე არ იყო. მიუხედავად ამისა, მოსე ჯანაშვილმა შესძლო ასეთი სახელმძღვანელო არამცთუ დაეწერა, არამედ დაებეჭდა და საზოგადოებისათვის მიეწოდებია კიდევ. მისი „საქართველოს ისტორია“ 1884 წელს გამოვიდა. ეს იყო ძალიან მოკლე და მარტივი ენით დაწერილი წიგნი. მართალია, მასში მოსე ჯანაშვილმა საბო-

14

ლოოდ მაინც ვერ დააღწია თავი ქართლის ცხოვრების სქემას, მაგრამ ის ერთადერთი წიგნი იყო მაშინ, რომლითაც ქართველი საზოგადოება სამშობლო ქვეყნის ისტორიას ეცნობოდა და სწავლობდა. მალე მთავრობამ ოფიციალურადაც დართო ნება მოსე

ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“ შემოეღოთ როგორც სახელმძღვანელო წიგნი იმ სკოლებში, სადაც ქართული ენა ისწავლებოდა.

ამის შემდეგ ეს წიგნი კიდევ ორჯერ გამოვიდა, მაგრამ მისი არც ერთი მომდევნო გამოცემა არ ყოფილა წინა გამოცემის უბრალო განმეორება. ამ წიგნს ავტორი ყოველთვის საფუძვლიანად გადამუშავებული და შევსებული სახით აქვეყნებდა. დამახასიათებელია, რომ მისი მესამე გამოცემა (1906) ოთხ ტომად იყო განსაზღვრული და მას მეცნიერული გამოკვლევის თვისებები მნიშვნელოვან წილად ჰქონდა კიდევ შეძენილი.

ქართველი საზოგადოება ამ წიგნის ყოველ ახალ გამოცემას დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა. ასე, მაგალითად, 1895 წელს ხსენებული სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის გამო გიორგი წერეთელი „კვალში“ წერდა: „ჩვენ მივიღეთ ჩინებული გამოცემა, ახლათ შემუშავებული და შევსებული საქართველოს ისტორია მ. ჯანაშვილისა. ეს პირველი წიგნია, რომელსაც მისწრაფებით უნდა საჭიროებდეს ყოველი ქართველი და მუდამ ხელში ეჭიროს ლოცვანივით“¹.

მოსე ჯანაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში უაღრესად ორიგინალური მოთხოვნილებით გამოვიდა.

მას არ აკმაყოფილებდა ქართველი ხალხის მხოლოდ მეფეთა და ომების შესწავლა-გაშუქება, არამედ მისი შინაგანი ისტორიის, ე. ი. ხალხის თავგადასავლის, მისი ცხოვრების გაშუქება მიაჩნდა პირველ რიგში საჭიროდ. მოსე ჯანაშვილი მწუხარებით იუწყებოდა, რომ ჩვენი ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო ქართლის ცხოვრება „ისტორიულ მოვლენებს გვიხსნის არამათ შინაგან ძალთა მიხედვისამებრ ანუ მათ შედეგისა და გვარად, არამედ აღგვიხსნავს ქრონოლოგიურს რიგზე ისიც ხშირად შეცდომებით, აბნეულ-დაბნეულად“². მისი სიტყვით „საქართველოს ერის შინაურ წეს-წყობილების შესახებ, სამწუხაროდ, ჩვენი მათი-

¹ „კვალი“-1895, № 12.

² მოსე ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია, ტომი I. ტფილისი. 1906. გვ. VII.

ანეები არას იტყობინებიან“¹. ამგვარად, მოსე ჯანაშვილს ყოველი ისტორიული მოვლენის შინაგანი ძალა აინტერესებდა, ე. ი. მიზეზი რომელმაც იგი გამოიწვია. მას აინტერესებდა აგრეთვე შედეგიც, რომელიც ამა თუ იმ მოვლენას მოყვა. სხვაგვარად, რომ ითქვას ისტორიული მოვლენის მიზეზ-შედეგობრივი,

ანუ ერთგვარ განვითარებაში განხილვა მას მკვლევარი ისტორიკოსის ძირითად მოვალეობად მიაჩნდა.

აღნიშნული თვალსაზრისით მოსე ჯანაშვილი საქართველოს ისტორიის წყაროთა გარჩევასაც ახერხებდა. მისი სიტყვით ქართლის ცხოვრება უმთავრესად მეფეთა და ომების ისტორიის გაშუქებას ემსახურება, მაშინ, როდესაც სიგელგუჯრები სამართალი, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი, ენობრივი, ნუმისმატიკური და სხვა მასალები უპირატესად ხალხის შინაგანი ცხოვრების გაშუქებას ისახავენ მიზნად.

თუ ქართულ პუბლიცისტიკაში ხალხის ცხოვრების, ქვეყნის შინაური ამბების აღწერის მოთხოვნილება მკვეთრად ილია ჭავჭავაძემ წამოაყენა ², ქართულ ისტორიოგრაფიაში კი, ამ მხრივ, ერთ-ერთი ადგილი უთუოდ მოსე ჯანაშვილს ეკუთვნის. მოსე ჯანაშვილი პირველი იყო, რომელიც ასეთ მოთხოვნილებას არა მარტო გრძნობდა, არამედ ამ მიმართულებით პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმასაც ცდილობდა. მართლაც ისტორიის ეს მხარე – ქვეყნის შინაგანი ცხოვრება, მოსე ჯანაშვილს ერთგვარად წინ წამოწეული აქვს თავის „საქართველოს ისტორიაში“. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია ილია ჭავჭავაძის „ივერიასაც“, რომელიც ამ წიგნის მეორე გამოცემის გამო, 1895 წელს წერდა: „მოსე ჯანაშვილი თავის მოკლე ისტორიაში შეძლებისდაგვარად ასრულებს ისტორიის ფილოსოფიის მოთხოვნილებათაც. გვაცნობებს არათუ მართო ქართველთა ომებს, არამედ მათს კულტურულს ცხოვრებასაც იმდენად, რამდენადაც საქართველოს საისტორიო არსებული წყაროები ნებას აძლევენ მას“ ³.

მართალია, მოსე ჯანაშვილი მარქსისტი ისტორიკოსი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ მისი ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიური კონცეფცია იყო მხარე, რომლითაც ის თვალსაჩინოდ უახლოვდებოდა მარქსიზმს.

არა ნაკლებ საგულისხმოა მოსე ჯანაშვილის ზოგიერთი სხვა

¹ მოსე ჯანაშვილი. საქართველოს ისტორია. ტომი I. ტფილისი, 1906. გვ. 298.

² ილია ჭავჭავაძის თხზულებანი. ტომი II. თბილისი. 1941. გვ. 483.

³ გაზეთი „ივერია“ – 1895, № 74.

მეთოდოლოგიური მოსაზრებაც. მისი დებულება: „ისტორია იწერება თანახმად საბუთებისა. საბუთები კვალთა ოდესმე მცხოვრებ ადამიანების ნამოქმედარისა და ნაფიქრისა. ვისაც სურს შეისწავლოს რომელიმე კითხვა, უნდა შემოიკრიბოს ყველა საბუთები ამ საკითხის შესახებ“ ¹ – დღესაც მეცნიერებაში ურყევ ჭეშმარიტებად

ითვლება. ამასთან ერთად, მოსე ჯანაშვილი საქართველოს ისტორიის კომპლექსური შესწავლის მომხრედ გამოდიოდა. მისი სიტყვით: „საქართველოს „სრული“ ისტორიის გამოსახატავად საჭიროა შესწავლა: ქართლის ცხოვრებისა (სამხედრო ისტორია), ს ი გ ე ლ-გ უ ჯ რ ე ბ ი ს ა (შინაური ცხოვრება საზოგადოდ), მ ე გ ლ ე ბ ი ს ა (ხუროთმოძღვრება ქანდაკება, მხატვრობა), ფ უ ლ ე ბ ი ს ა (მეფეთა სურათები, ჩაცმულობა), ხ ე ლ ნ ა წ ე რ წ ი გ ნ ე ბ ი ს ა (მწერლობა საზოგადოდ, ისტორია, ფილოსოფია, ღვთისმეტყველება, ვარსკვლავთმრიცხველობა, გეოგრაფია, სჯულდება, ხელთაქრონიკონი და სხვა), ზ ე პ ი რ ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ი ს ა (ლეგენდები, თქმულებანი, შელოცვანი, ზღაპარნი, გამოცანანი), ქ ა რ თ უ ლ ი ე ნ ი ს ა (ძველი სახელები დღეებისა, თვეებისა, სოფლებისა, ქვეყნებისა)“². ამგვარად, მოსე ჯანაშვილი საქართველოს ნამდვილად მეცნიერული ისტორიის შესადგენად მოითხოვდა: მისი წერილობითი წყაროების, მატერიალური კულტურის ძეგლების, ზეპირსიტყვიერი ხალხური, ნუმიზმატიკური, ენობრივი, ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი და სხვა მასალების შესწავლას. უამისოდ კი მას ასეთი ისტორიის დაწერა შეუძლებელ საქმედ მიაჩნდა.

„ერთი კაცი რაც უნდა საისტორიკოსოდ იყოს მომზადებული, მაინც სრულს ისტორიას ვერ დასწერს დღეს. და ვერ დასწერს იმითომ, რომ ზემოხსენებულნი დარგნი ჩვენის ცხოვრებისა ჯერ სავსებით არ არიან გამოქვეყნებულნი“³ – უპასუხებდა ის ზოგიერთ აჩქარებულ მოკამათეს, რომელიც საქართველოს ასეთი ისტორიის დაუყოვნებლივ დაწერას მოითხოვდა. ამ გარემოებამ და მუშაობის ასეთმა პირობებმა ბუნებრივად განსაზღვრა თვითონ მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ხასიათი და მიმართულებაც. ის გაბედულად ეკვეთა საქართველოს ისტორიის ამ უძირითადეს ამოცანას და სწორედ ამ სფეროში გააჩაღა მუშაო-

¹ მოსე ჯანაშვილი. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი „ახალი ქართლის ცხოვრება“ (ნაშრომი. ტფილისი. 1907. გვ. 3).

² მოსე ჯანაშვილი. ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი. ტფილისი. 1896. გვ. 2.

³ იქვე გვ. 3.

ბა. საქართველოს ისტორიის წყაროთა წარმოჩენას, მათ შექმნა-შენახვასა და მეცნიერულ შესწავლას, მოანდომა ღვაწლმოსილმა მეცნიერმა თავისი შეგნებული ცხოვრება, ფართო განათლება და უშრეტო ენერჯია თითქმის მთლიანად. ამიტომაც, არსებითად განხილული, მოსე ჯანაშვილის ღვაწლი და დამსახურება საქართვე-

ლოს ისტორიის წყაროთმცოდნეობას განეკუთვნება. მაგრამ, მეორე მხრივ, საქართველოს ისტორიის ნაირსახოვან წყაროთა შესწავლა-გამოყენება ადვილი საქმე არ იყო. მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა ისტორიის არც ერთი დამხმარე სამეცნიერო დისციპლინა. ასე რომ ისტორიის ყოველი მკვლევარი. და მით უფრო წყაროთმცოდნეობაში მომუშავე თვითონ უნდა ყოფილიყო: არქეოლოგი, ენათმეცნიერი, ნუმიზმატი, ხელოვნების ისტორიკოსი, ეთნოგრაფი და მრავალი სხვა დარგის სპეციალისტი. ამ გარემოებასაც არ შეეძლო თავისი დალი არ დაემჩნია მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო მოღვაწეობაზე. ისიც სინამდვილეში იყო არა მარტო ისტორიკოსი, არამედ ისტორიის სხვადასხვა დამხმარე დისციპლინათა უაღრესად ნაყოფიერი მკვლევარიც. რაც მთავარია, თავის თვალსაჩინო ნაკვალევს ის ყველგან სტოვებდა ხოლმე.

საქართველოს ისტორიის დამხმარე და მონათესავე დისციპლინათა შორის მოსე ჯანაშვილი ენათმეცნიერებაზე უდიდეს იმედებს ამყარებდა. ის ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ენების: ქართულის, მეგრულ-სვანურისა და აფხაზურის შესწავლას შეეძლო ქართველი ხალხის შორეული წარსულის მრავალი პრობლემა აეხსნა და გაეშუქებია. ასეთი შესწავლის შედეგად, მისი სიტყვით: „ხელში გვექნება უშრეტ-უღვეელი წყარო არათუ მარტო ენის, არამედ თვით საქართველოს ისტორიის შესასწავლადაც, ვინაიდან ქართველი ერის უძველესი ისტორია იმდენად მატინანებში არ შენახულა, რამდენადაც ენაში დაცულა“¹. მართლაც, 1906 წელს, მოსე ჯანაშვილმა თავისი „ქართული გრამატიკა“ გამოაქვეყნა. მასში განხილულია: ეტიმოლოგია (მეგრულ-სვანური ნიმუშებითურთ), სინტაქსი, პერიოდი და ლექსთა წყობა. როგორც მეთაური სიტყვიდან ირკვევა, ავტორს ქართული ენისა და მისი კილოკავების შესწავლისათვის მოუნდომებია თავისი სიცოცხლის „უმეტესი ნაწილი“ და ეს გრამატიკაც მას უმდიდრეს მორფოლოგიურსა და ლექსიკურ მასალებზე დაუმყარებია.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მოსე ჯანაშვილის ღვაწლი ქარ-

¹ ნაშრომი. ტფილისი. 1907. გვ. 84.

თული ეთნოგრაფიის შესწავლის მიმართულებითაც. მან განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლა საქართველოს „ნაპირები“: აფხაზეთი, მესხეთი და საინგილო ე. ი. მხარეები, რომელთაც განაპირა მდებარეობასთან ერთად დაახლოებით ერთნაირი ისტორიული ხვედრი ახასიათებდა. თითოეული აქ დასახელებული ქვეყნის შესწავლა მან სპეციალური მონოგრაფიით დაავგვირგვინა. ამ მხრივ მისთ „Абхазия и абхазцы. Этнографический очерк (1895)“

„მესხეთი“ (1915) და „საინგილო“ (1913) განსაკუთრებული ღირებულებისანი არიან დღესაც. რაც მთავარია, დასახელებულ ნაშრომებში მკვლევარი მეცნიერული დაკვირვებისა და ეთნოგრაფიული აღწერის ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა ყველგან.

ღვაწლმოსილ მეცნიერს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ისტორიის ისეთი დამხმარე დარგები, როგორცაა ქრონოლოგია და ნუმისმატიკა. თუ ჩვენ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ წარსულში, ჩვენ წინაპრებს ფულის ერთეულები და დროის აღრიცხვის წესები სულ სხვანაირი ჰქონდათ, ვიდრე ეს ახლა ჩვენ გვაქვს, გასაგები იქნება ცოდნის აღნიშნული დარგების განსაკუთრებული მნიშვნელობა საისტორიო წყაროების სწორად გაგებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების საქმისათვის საერთოდ. აკად. მარიბროსეს მსგავსად, მოსე ჯანაშვილმაც ეს საქმე პირველწყაროების შესწავლით დაიწყო. სათანადო დაკვირვებათა შედეგად მან საზოგადოებას წარუდგინა ნაშრომები: „ქრონიკონები“ (1903), „წელთა და ჟამთა აღრიცხვა ქართული“. მართალია, ამ ნაშრომებში ის არ ისახავდა მიზნად დროის აღრიცხვასთან დაკავშირებული თეორიული საკითხების გაშუქებას, მაგრამ სათანადო წყაროთა გაცნობის შემდეგ ისიც იძულებული გამხდარა განეცხადებია „ჯერ 974 წელსვე ქართველებს ზედმიწევნით სცოდნიათ მზისა და მთვარის ტრიალზე დამოკიდებული ცვლილებანი დღისა და ღამის შემცირება ანუ გადიდება, აგრეთვე სცოდნიათ მნიშვნელობა ზედნადებისა, მცხრალისა, ხუთეულისა, 30-ულისა და სხვა. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს აკად. მარიბროსეს მიერ უფრო ადრე გამოთქმული ანალოგიური დებულების გარკვეულ გამოძახილთან. ისიც, როგორც ცნობილია, წელთაღრიცხვის ძველი ქართული წყაროების გაცნობის შედეგად განცვიფრებული აცხადებდა: „საოცრად უნდა მიგვაჩნდეს, რომ ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რო-

19

მელთაც 1582 წელს აიძულეს პაპი გრიგორ მე-XIII გაესწორებია რომაული კალენდარი“.

ასევე გულმოდგინედ სწავლობდა მოსე ჯანაშვილი ქართულ ნუმისმატიკასაც. მან ჯერ კიდევ 1885 წელს, საფუძვლიანად განიხილა პირველი ქართველი ნუმისმატის მიხ. ბარათაშვილის ცნობილი ნაშრომით „Нумизматические факты грузинского царства“ და გამოქვეყნდა მისი ვრცელი რეცენზია სათაურით: „ქართული ფული“. უთუოდ საგულისხმოა მეთოდოლოგიური თვალსაზრისი, რომლითაც მოსე ჯანაშვილი ძველ ფულებს სწავლობდა. ფულები, მისი აზრით, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, გამოსა-

დეგია მეფეთა პორტრეტებისა და ჩაცმულობის დასადგენად და შესასწავლად.

საქართველოს ისტორიის წყაროთა შორის მოსე ჯანაშვილი ხუროთმოძღვრულ ძეგლებს უკანასკნელ ადგილს როდი უთმობდა. მან ჩინებულად იცოდა, რომ ყოველი ასეთი ძეგლი არა მარტო შედეგია ადამიანის ნაღვაწისა და ნაფიქრისა, არამედ ის იმავე დროს წარუშლელი კვალიცაა საზოგადოების ქონებრივი თუ კულტურული ავლადიდებისა და უტყუარი საბუთი ქვეყნის ოდინდელი ძლიერებისა. ბუნებრივია, რომ მოსე ჯანაშვილს, რომელმაც შეიძლება ითქვას, სამეცნიერო მოღვაწეობა სწორედ ამგვარი ძეგლების შესწავლით დაიწყო, არა ერთი ხუროთმოძღვრული ძეგლი შეუსწავლია და მათ შესახებ არა ერთი სპეციალური ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. ასეთია, მაგალითად, მისი: „მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ა“ წრომის ტაძრის შესახებ, (1882) „დ ა თ ვ ა ლ ი ე რ ე ბ ა მ ე ტ ე ხ ი ს ტ ა ძ რ ი ს ა“ (1884), „ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი ს კ ვ ა ლ ი ს ა ჩ ე ჩ ნ ო შ ი“ (1884), „წ მ ი დ ა ა დ გ ი ლ ი“ – სვეტიცხოვლის განახლების გამო და მრავალი სხვა.

დიდ ყურადღებას უთმობდა მოსე ჯანაშვილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას თავის ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებშიც. ამის ბრწყინვალე ნიმუშად შეიძლება მისი „საინგილო“ დავასახელოთ. ამ მხრივ უმნიშვნელო როდია მისივე „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“, ან კიდევ: „ქ. გორის აწმყო და წარსული“, სადაც დასახელებული ქალაქების თავგადასავალთან ერთად, არა ერთი არქიტექტურული ძეგლია აღწერილი და შესწავლილი.

მიუხედავად იმისა, რომ მოსე ჯანაშვილი საქართველოს ის-
20

ტორიის ყოველგვარ წყაროს ასე სათუთად და დიდი გულისხმიერებით სწავლობდა, წერილობითი წყაროების განსაკუთრებული მნიშვნელობა მას ოდნავადაც არ ჰქონდა მივიწყებული. პირიქით, ძველი ქართული მ წ ე რ ლ ო ბ ი ს ძეგლებს: ეპიგრაფიკულ მასალებს, ხელნაწერ წიგნებსა და ოფიციალურ საბუთებს ის უ მ თ ა ვ რ ე ს ადგილს სამართლიანად უთმობდა. სინამდვილეშიც მას არსად იმდენი დრო და ენერგია არ დაუხარჯავს, რაც საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების შესწავლას მოანდომა.

მაგრამ მოსე ჯანაშვილი ჩინებულად ხედავდა, რომ მაშინ ძველი ქართული მწერლობის ძეგლები დაფანტული იყო და მათი გამოყენებაც უალრესად გაძნელებული ჩანდა. მისი სიტყვით: „ამ სიძნელის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ჩვენებური სამწერლო

საბუთები განზნეულია: ზოგი ლპება მონასტრებ-ეკლესიებში, ზოგი კერძო პირთა და კოლექციონერთა ხელშია, ზოგი სხვადასხვა მუზეუმებსა და წიგნთსაცავებშია, ზოგი თვით საქართველოს გარეთ (არის – მოსკოვს, პეტერბურღს, ლონდონს, პარიჟს, იტალიას, ათონს, იერუსალიმს, სინას და სხვა“. მოსე ჯანაშვილი მწუხარებით იუწყებოდა წერილობითი ძეგლების ხეირიანი კატალოგებისა და სრულყოფილი სიების უქონლობასაც, რის გამოც „რა გვაქვს დღეს არ ვიცით, რა გვექნება ხვალ არ ვუწყით“¹ – დასძენდა მხცოვანი მეცნიერი.

მაშინ, მართლაც, წერილობითი ძეგლების მდიდარი კოლექციები ეკლესია-მონასტრებში ბევრგან მოიპოვებოდა. რაც მთავარია, საზოგადოებისათვის მათი არსებობა ხშირად არ იყო ცნობილი და არც მათი დაცვა-შენახვის საქმე იყო უზრუნველყოფილი.

სწორედ ამიტომ, მოწინავე ინტელიგენციის თაოსნობით, რომელსაც გამოჩენილი ისტორიკოსი დ. ბ ა ქ რ ა ძ ე მეთაურობდა, 1888 წელს ქ. თბილისში ს ი ო ნ ი ს ტაძართან დაარსდა საეკლესიო მუზეუმი. ამიერიდან ამ დაწესებულებას საქართველოს ეკლესია-მონასტრებში შემონახული წერილობითი ძეგლები წარმოეჩინა და მათი შეკრება-შენახვა-შესწავლის საქმისათვის მტკიცედ უნდა მოეკიდა ხელი.

ქართველთა შორის წ ე რ ა-კ ი თ ხ ვ ი ს გ ა მ ა ვ რ ც ე ლ ე ბ ე-ლი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გვერდით საეკლესიო მუზეუმის გახსნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის XIX საუკუნის ისტორიაში.

¹ ნაშრომი. თბილისი 1907. გვ. 9.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, როგორც ცნობილია, გაზეთ „ი ვ ე რ ი-ა შ ი“ ამ მოვლენას მეთაური წერილით გამოეხმაურა („საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო“) სადაც ის წერდა: „თუ ამ მუზეუმის გამგებელთა საკმარისი გულმოდგინება გამოიჩინეს არ გავა ოთხი-ხუთი წელიწადი, რომ ეს ახლად დაწყებული საქმე არ გაძლიერდეს და ისეთი რამ არ შეიქნას, რომ სხვისი ყურადღებაც მოიზიდოს, როგორც ნივთთა და ნაწერთა სიმრავლითა, ეგრეც ღირსებითა და გამსადგეობითა“¹. დიდი მწერლის ეს სიტყვები წინასწარმეტყველური გამოდგა. სულ მალე ეს დაწესებულება ძველი ქართული მწერლობის უმდიდრეს საგანძურად იქცა. იქ თავი მოიყარა ეტრატის სქელტანიანი ხელნაწერებისა და საბუთების დიდმა რაოდენობამ; იქ იყო უძველესი ქართული ხელნაწერები – პალიმფსესტები (V – VI საუკუნისა), დიდი ხელოვნებით შემკულ-

მოხატული წიგნები და სხვა მრავალი უნიკალური ძეგლი.

ამ მხრივ დამახასიათებელია მუზეუმის დამთვალეირებელთა ზოგიერთი ჩანაწერი. აი რას წერდა კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი, ეპისკოპოსი პლატონი 1903 წლის 7 ივლისს საეკლესიო მუზეუმის დათვალეირების გამო: „...поразился массою рукописного материала, драгоценнейшего в литературном и церковно-историческом отношении, неведомого науке и миру. Прошу учащуюся грузинскую молодежь обратить свое исключительное внимание на эти три с редчайшими сокровищами шкала“².

მოსე ჯანაშვილის ღვაწლი და დამსახურება საეკლესიო მუზეუმის დაარსებისა და მისი შემდგომი საქმიანობის სფეროში უაღრესად თვალსაჩინოა. ის იყო მუზეუმის ერთადერთი თანამშრომელი და უცვლელი გამგე ოცდაათი წლის განმავლობაში: 1897 წლიდან 1926 წლამდე.

მუზეუმს, მართალია, ხელმძღვანელი კომიტეტიც ყავდა, მაგრამ მისი წარმატებანი მნიშვნელოვანწილად მაინც მისი გამგის თავდადებულ მუშაობაზე იყო დამოკიდებული. ის ნამდვილი „სული“ იყო მუზეუმის მთელი მიმდინარე საქმიანობისა. ამის შესახებ მისი გულთბილი მიღებით მოხიბლულ სტუმართა არა ერთი სამადლობელი ჩანაწერიც საკმარისად მეტყველებს. ერთ-ერთი მათგანი ასე იკითხება: „С 10 по 16 ноября 1904 года занималась

¹ ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტომი II. თბილისი. 1941. გვ. 508.

² М. Г. Джанашивили. Церковный Музей духовенства грузинской епархии (1888 – 1916). Тифлис. 1916. გვ. 14

здесь изучением минитюрных рукописей, которыми так богато древнехранилище Сионского собора, и глубоко благодарна за то внимание и содействие, которое нашла в лице заведывающего Хранилищем М. Г. Джанашивили. Графиня Уварова“¹.

თავის მხრივ საეკლესიო მუზეუმი იყო ის სამოქმედო ასპარეზი, თუ შთამბრუნებელი გარემო, რომლის კედლებში მიმდინარეობდა მოსე ჯანაშვილის მთელი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობა ასე დიდი ხნის განმავლობაში.

სწორედ იქ, მუზეუმის კედლებში, დაიწერა მოსე ჯანაშვილის თითქმის ყველა ნაშრომი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. საკმარისია, დავასახელოთ მისი: „საინგილო“, „მესხეთი“, „საქართველოს დედაქალაქი ტფილისი“, „თამარ მეფე“, „გიორგი სააკაძე“, „მეფე ერეკლეს“, „Известия грузин-

Грузинской церкви“ და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა და რომელიც ჩვენ ამ ნაშრომის სხვადასხვა გვერდზე ნაწილობრივ მაინც უკვე დასახელებული გვაქვს.

ქართული მწერლობის ძეგლების შეკრებასა და მათ ჯეროვან დაცვა-შენახვასთან ერთად, მოსე ჯანაშვილი მუზეუმში ხელნაწერთა სრული აღნუსხვისა და მათი აღწერის საქმეს განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა. მან ჩინებულად იცოდა, რომ ასეთი აღწერის გარეშე ხელნაწერი ძეგლები, თუნდაც მუზეუმში თავმოყრის პირობებში გამოუყენებელი დარჩებოდა მეცნიერებისათვის. სწორედ ამიტომ მოსე ჯანაშვილმა გულმოდგინედ გააგრძელა თავისი სახელოვანი წინამორბედის თ. ჟო რ დ ა ნ ი ა ს მიერ კარგად დაწყებული საქმე. მან აღწერა საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა კოლექციის ბოლო ნაკვეთი (წინა ნაკვეთი კი აღწერილი იყო თ. ჟო რ დ ა ნ ი ა ს მიერ) ორასორმოცი ხელნაწერის მოცულობით (№№ 801 – 1040) და ის გამოაქვეყნა კიდევ სათაურით: „Описание рукописей Церковного Музея, духовенства грузинской епархии“, книга III. Тифлис. 1908“. ასევე მნიშვნელოვანია მის მიერ შედგენილი „Каталог предметам Церковного Музея грузинского духовенства“, რომელიც 1914 წელს იქნა გამოქვეყნებული.

მაგრამ ამის შემდეგაც ძველი ხელნაწერები უწყვეტ ნაკადად მიედინებოდა საეკლესიო მუზეუმისაკენ და იქ მათი ფონდი დღე-

¹ М.Г. Джанашили, Церковный Музей духовенства грузинской епархии (1888 – 1916). Тифлис, 1916. გვ. 14.

თი დღე ივსებოდა და მდიდრდებოდა. თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდისათვის ხელნაწერთა საერთო რაოდენობამ მუზეუმში 1804 შესანახ ერთეულს მიაღწია. ამიტომ მოსე ჯანაშვილს კიდევ ერთხელ დასჭირდა იქ ხელნაწერთა აღწერის გაგრძელება, რაც მან თავისი სიცოცხლის ბოლო ხანებში მთლიანად დაამთავრა და ეს საქმე ღირსეულად დააგვირგვინა. დაახლოებით იმავე პერიოდში მან დაამთავრა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებისეული მუზეუმის ხელნაწერთა სრული აღწერილობაც (№ N 1 – 5331). სამწუხაროდ მოსე ჯანაშვილი ვერ მოესწრო თავისი ამ ორი უკანასკნელი დიდმნიშვნელოვანი ნაშრომის გამოქვეყნებას.

საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერასთან ერთად, ზოგიერთ ერთეულს მოსე ჯანაშვილი სპეციალურადაც სწავლობდა. ხოლო წერილობითი ძეგლების ასეთ შესწავლას ის თითქმის ყოველთვის ცალკე ნაშრომით აგვირგვინებდა. ასეთია, მაგალითად, მისი: „დიდი ხელნაწერი საეკლესიო მუზეუმის N 186“ (საუბარი

გელათის ცნობილ გულანს შეეხება), „ათონის ტყავზე ნაწერი კრებული“, „თულაშვილების საგვარეულო სიგელი“, „კორიდეთის ოთხთავი და მისი ქართული წარწერები“ და მრავალი სხვა.

საეკლესიო მუზეუმში მუშაობისას და მის კედლებგარეთაც მოსე ჯანაშვილს არაერთხელ ჰქონია ბედნიერება საქართველოს ისტორიის, მანამდე უცნობი წყაროსთვის მიეგნო და აღმოეჩინა. ამ უკანასკნელთა შორის განსაკუთრებით ორია აღსანიშნავი: „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, რომელიც IX – X საუკუნის საქართველოს ისტორიის ძვირფას წყაროს წარმოადგენს. ეს ძეგლი მანამდე ცნობილი არ იყო. მოსე ჯანაშვილმა იგი საეკლესიო მუზეუმის ერთ-ერთ ძველ ხელნაწერში (№ 69) აღმოაჩინა. მან პირველმა გამოსცა იგი და მკვლევართა ფართო წრეებისათვის ხელმისაწვდომი გახდა. ამის შემდეგ, ცნობილმა ბელგიელმა მეცნიერმა პ. პეტიერს მ ა ეს ძეგლი სწორედ ამ გამოცემის მიხედვით ლათინურად თარგმნა და დაბეჭდა კიდეც ¹.

მაგრამ ჩვენ მოსე ჯანაშვილის განსაკუთრებულ დამსახურებად მის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს აღმოჩენა მიგვაჩნია.

1906 წლის 21 მაისს ქ. თბილისში მოსე ჯანაშვილმა ძველი წიგნებით მოვაჭრე გივი მათურაძის მაღაზიაში ქართლის ცხოვრების ერთი, მანამდე უცნობი ხელნაწერი აღმოაჩინა. აღმოჩნდა

¹ ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურ. ი პროფ. კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციით და გამოკვლევით. ტფილისი. 1935. გვ. 99.
24

ვახტანგისეული ქართლის ცხოვრების ადრინდელი, ძალიან საგულთსხმო ნუსხა, რომელიც ახლა სამეცნიერო ლიტერატურაში მისივე („ჯანაშვილისეული“) სახელწოდებითაა ცნობილი. რაც მთავარია, ამ ხელნაწერში აღმოჩნდა ქართლის ცხოვრების „გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა“ -კომისიის კოლექტიური ნაშრომი, რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია XIV – XVIII საუკუნეებისა და შედგენილია ვახტანგის ბრძანებით XVIII საუკუნის დამდეგისათვის. აღმოჩნდა „გაგრძელების“ სწორედ ის კაიხელად დაწერილი ცალი, რომელიც მეცნიერ კაცთა კომისიას მუშაობის დამთავრებისთანავე რუსეთში მყოფ ვახტანგისათვის უახლებია. მაგრამ იქ ვახტანგს, გასაგებ მიზეზთა გამო „არღარა განუხილავს ვითარები მისი“ და ეს ძეგლი გარკვეული დროის შემდეგ კვლავ საქართველოში დაბრუნებულა.

აღნიშნულ „გაგრძელებას“ მოსე ჯანაშვილმა „ახალი ქართლის ცხოვრება“ უწოდა და გამოაქვეყნა იგი ამ სახელწოდებით (იხ. მისი „ნაშრომი“ თბილისი. 1913). გარდა ამისა, ქართლის

ცხოვრების პრობლემას მან რამდენიმე ნაშრომიც მიუძღვნა: „ქართველთა მატთანე“, „წინასიტყვაობა ქართლის ცხოვრების მეორე ტომისა“, და განსაკუთრებით კი: „Картлис Цховრება – Жизнь Грузии“, რომელშიც ავტორი ქართლის ცხოვრების წყაროთა წარმოჩენას და მისი ორიგინალური ხასიათის დამტკიცებას ცდილობდა.

მიუხედავად იმისა, რომ მის მიერ აღმოჩენილი „გაგრძელება“ ახალი ქართლის ცხოვრება არ იყო და მხცოვანი მეცნიერი აქ აშკარად ცდებოდა, მისი ნაშრომების მნიშვნელობა საკმაოდ დიდია და საერთოდ მისი წვლილი ძველი ქართული ისტორიოგრაფიის ამ სწორუპოვარი ძეგლის შესწავლის საქმეში უთუოდ თვალსაჩინოა.

ასეთია მოკლედ მოსე ჯანაშვილის ღვაწლი და დამსახურება საქართველოს საისტორიო მეცნიერების წინაშე. აი ყველაფერი ის, რაც მან სამშობლო ქვეყნის „სრული“ (მეცნიერული) ისტორიის დასაწერად ასე უანგაროდ გააკეთა. მართალია, მას აღარ დასცალდა ასეთი ისტორია თითონვე დაეწერა, მაგრამ არჩეულ საქმეს ის მაინც დიდი სიყვარულით ემსახურებოდა. მან ჩინებულად იცოდა, რომ მის მიერ გაწალდულ გზაზე სხვები უფრო ადვილად გამოივლიდნენ და მისი ნაღვაწ-ნაშრომიც მოძმეს ტვირთის სიმძიმეს შეუმსუბუქებდა. მოსე ჯანაშვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა და თავისი მოვალეობაც ქვეყნის წინაშე ღირსეულად მოიხადა.

შოთა ძიბიგური

მოსე ჯანაშვილი მრავალმხრივი და ნაყოფიერი მკვლევარი იყო. მას მეცნიერების სხვადასხვა დარგში უხდებოდა მუშაობა და ყველა ამ დარგიდან დაგვიტოვა მნიშვნელოვანი ნაშრომები. თავისი მოწოდებით მ. ჯანაშვილი ისტორიკოსი იყო, მაგრამ თუ იგი პარალელურად ლიტერატურის ისტორიისა და ენათმეცნიერების საკითხებსაც იკვლევდა, ეს ძიებანი მას წარმოედგინა საისტორიო კონცეფციის მასალად, როგორც საქართველოს ისტორიის საერთო სურათის შემადგენელი ნაწილი. ამისდა მიუხედავად, ჯანაშვილის ნაკვლევს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ქართველურ ენათმეცნიერებაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს და ეს ნაშრომები ამ დარგების განვითარებაში საპატიო ადგილს იჭერენ.

ამ მკვლევრისათვის დამახასიათებელი ფართო დიაპაზონი-მეცნიერების სხვადასხვა სფეროთი დაინტერესების მხრივ – კარგად ჩანს ენათმეცნიერების დარგშიც: აქაც ფართოა და მრავალმხრივი ის პრობლემატიკა, რომელიც აინტერესებდა მ. ჯანაშვილს, როგორც ენათმეცნიერს. გრამატიკა, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგიები, ქართველურ ენათა შედარებით შესწავლა, ქართველურ ენათა გენეალოგიური ურთიერთობა მსოფლიოს ენებთან, ქართულისა და კავკასურ ენათა ურთიერთობა, – აი ის დარგები, რომელთაც შეჰხებია მ. ჯანაშვილის დაუღალავი კალამი.

გრამატიკა

1906 წ. გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა“. ეს ნაშრომი ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარების მეორე პერიოდს განეკუთვნება. პირველი პერიოდი ანტონის გრამატიკული სკოლის ბატონობის ხანაა არსებითად. მიჯნად პირველსა და მეორე პერიოდს შორის ჩვენ ვრაცხთ იმ რეფორმებს, რომლებიც ჩატარებულ იქნენ ქართული ორთოგრაფიისა და სალიტერატურო ენის სფეროში ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ხელმძღვანელობით თუ მონაწილეობით. ლოგიცისტური გრამატიკის

26

პრინციპებზე მდგომ ანტონ კათალიკოსისათვის გრამატიკა არის ხელოვნება სწორმეტყველებისა და სწორწერისა. „ღრამმატიკაჲ არს შემძლებელობა მართლ-უბნობად და მართლ-წერად“, – გვეუბნება ანტონი. აქედან გასაგებია ის ტენდენცია, რომელიც ავალეებს გრა-

მატიკოსს – თავის ნებაზე წარმართოს თვით ენის განვითარება, გადააკეთოს არსებული მეტყველება გრამატიკის შაბლონის მიხედვით, დაუმორჩილოს გრამატიკის პრინციპებს ენის ფორმები. ამ თვალსაზრისს მივყავართ უნივერსალიზმისაკენ: ლოგიკა ერთია, საყოველთაო, მაშასადამე, გრამატიკა უნდა იყოს საყოველთაო, ერთიანი. აქედანვე გამომდინარეობს ის შეზღუდვა, რომელიც ისახება ცალკეული ენების გრამატიკული სისტემის აგების მიმართ ბერძნულ-ლათინური გრამატიკის ტრაფარეტი სავალდებულოდ იქნა მიჩნეული სხვა ენებისათვის, და, ამდენად, ასე აგებული გრამატიკა, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა ენის სპეციფიკური თვისებების ამსახველი. მიუხედავად ანტონის დიდი დამსახურებისა ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში, მაინც მისი გრამატიკა ხელოვნურია და მოურგები ჩვენი მეტყველების ბუნებრივი ვითარებისათვის. მე-19 ს-ის პირველ ნახევარში ანტონის სკოლის მეთოდოლოგიურ საფუძველზეა აგებული მთელი რიგი გრამატიკები.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში ერთგვარი გარდატეხის საფუძველია ის ლიტერატურული მოძრაობანი, რასაც ადგილი ჰქონდა გასული საუკუნის შუა წლებში. ახალი სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, ორთოგრაფიული რეფორმები და, იმავე დროს, ქართული ენის მეცნიერული დამუშავების დასაწყისი ინდოევროპული ენათმეცნიერების უკანასკნელ მიღწევათა გაცნობა, – ყველაფერი ეს, ზოგად ხაზებში, ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იმისათვის, რომ ქართული სასკოლო გრამატიკა ახალ ნიადაგზე დამდგარიყო.

ეს მეორე პერიოდი განსხვავდება პირველი პერიოდისაგან როგორც მასალობრივად, ისე მეთოდოლოგიურად. მეორე პერიოდში იბადება აუცილებლობა შემუშავდეს ახალი სალიტერატურო ქართულის გრამატიკა.

მეორე მხრით, გრამატიკის ბუნების ანტონისეული გაგება უკუგდებულა და დამყარებულია ახალი თვალსაზრისი გრამატიკის მიზან-ამოცანების გაგებაში: გრამატიკა არის შეჯამება ენაში არსებული წესებისა და კანონებისა მხოლოდ (წინა პერიოდში ამ მხრივ და სხვა მხრივაც გამონაკლისს წარმოადგენს დიმ. ყიფიანის გრამატიკა).

27

ასეთი თვალსაზრისიდან ბუნებრივად გამომდინარეობს მეორე განმასხვავებელი მომენტი თუ ტენდენცია ახალი გრამატიკული ლიტერატურისა დაიწეროს ქართული გრამატიკა, ე. ი. ისეთი გრამატიკა, რომელშიც აღნუსხული იქნება ქართული ენის

გრამატიკული სტრუქტურის სპეციფიკური ნიშნები, არ იქნება მიჩქმალული თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ე ბ ა ჩვენი ენისა სხვა ენებთან შეპირისპირებით.

მესამე მხრით, არის ცდები, ქართული ენის გრამატიკული ფორმები განიხილებოდეს მოძმე ენებთან (მეგრულ-სვანურთან) შედარების ფონზე.

მოსე ჯანაშვილი მკვეთრად იმიჯნება გრამატიკის საგნის ანტონისეული გაგებისაგან: „გრამატიკის დამწერი კანონმდებელი არ არის: – აცხადებს ავტორი, – კანონები თვით ენაშია: საჭიროა მხოლოდ გრამატიკის შემდგენელმა ეს კანონები უმეტესკლებოდ გამოარკვიოს, გამოარჩიოს, ჩასწეროს“.

მ. ჯანაშვილის გრამატიკა ა ხ ა ლ ი სალიტერატურო ქართულის გრამატიკაა. ქ ა რ თ უ ლ ე ნ ა დ მ. ჯანაშვილი მიიჩნევს ს რ უ ლ ი ა დ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე ნ ა ს – როგორც საკუთრივ ქართულს (თავისი კოლოკაციებით) ისე მეგრულ-ჭანურ-სვანურს. აქედან გასაგებია ავტორის განზრახვა: შეემუშავებინა ისეთი გრამატიკა, რომელშიც წარმოდგენილი იქნებოდა სრულიად საქართველოს ენა – საკუთრივ ქართული და მეგრულ-ჭანურ-სვანური, აქვე გათვალისწინებული ყოფილიყო დიალექტების მონაცემებიც. ავტორი წინასიტყვაობაში გარკვევით ამბობს: „ქართ. გრამატიკაში ჩვენ შევიტანეთ იმდენი და ისეთი მასალა, რომელიც... ქართველს მისცემს შეძლებას, შეისწავლოს თავისი ღვიძლი, სრულიად საქართველოს, ენა“. ამგვარად დამუშავებული გრამატიკა, რა თქმა უნდა, სცილდება ს ა ს კ ო ლ ო გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ფარგლებს და ერთგვარად მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი გ რ ა მ ა ტ ი კ ი ს ხასიათს ატარებს „ჩვენთვის, – განაგრძობს მ. ჯანაშვილი, – ვითარცა ქართ. გრამატიკის შემდგენელისათვის, ერთნაირად ძვირფასი იყო და არის როგორც ქართული ბრუნვა და უღვლილება, ისე სვანური და მეგრული მიმოხრა, უღვლილება თუ კანკლედობა. ვინც არ იცის ქართული მის წარსულსა და აწმყოში, არსება, პირობანი და კანონები და მისი კილო-კავებისა, მას, ვეჭვობთ, ესმოდეს მშვენიერება იმ დიად მეტყველებისა, რომელიც არის საეროვნო, საგვარტომო ენა, გადაშლილი და გადაფურცვნილი მრავალ ტოტებად“.

ავტორს მოცემული აქვს პარადიგმებში პარალელურად მეგ-

28

რული და სვანური ფორმები. კროგორც ბრუნების, ისე უღვლილების გარჩევას ავტორი არ ივიწყებს იმავე თანმიმდევრობით და წესით მეგრულ-სვანურის კანონზომიერების გათვალისწინებას. შეპირისპირებულია აგრეთვე სიტყვაწარმოებითი ფორმები.

გრამატიკაში არის ახალი მომენტები, რომლებიც მას გარკვეულ ადგილს განაკუთვნიან ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში. მაგალითად, მნიშვნელოვანია ბრუნების სისტემიდან ტერმინოლოგიური სიახლე, რომელსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვს: ავტორი მოქმედებითს ბრუნვას უწოდებს შემოქმედებითს, ვითარებითისათვის მოცემული აქვს ზმნისზედათი და, რაც განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, მოთხრობითი ბრუნვის ნაცვლად ხმარობს სახელობით მეორეს. სახეობითისა და მოთხრობითის გაერთიანება სახელწოდებით ეფუძნება ამ ბრუნვათა სინტაქსურ ფუნქციას და, ამავე დროს, როგორც დღეს ცნობილია, ისინი ისტორიულადაც ახლო მდგომნი არიან; თუმცა სხვადასხვა ფორმაციისანი არიან, მაგრამ ორივე ნაცვალსახელური წარმოშობისა... ეს ტერმინოლოგიური ერთიანობა ამ ბრუნვათა ურთიერთობის სწორი გაგებისა და ავტორის ლინგვისტური აღლოს მაჩვენებელია.

გარდა ამისა, „ქართულ გრამატიკაში“ შედარებით სხვა იმდროინდელ გრამატიკებთან, ვრცლადაა წარმოდგენილი სიტყვაწარმოება, ფართოდაა განხილული უღვლილების ტიპები; აღსანიშნავია ამასთანავე რთული წინადადების სინტაქსის უფრო ვრცლად წარმოდგენა.

ამგვარად, მ. ჯანაშვილის „ქართული გრამატიკა“ ერთგვარად შედარებითი გრამატიკის ხასიათისაა. რასაკვირველია, მას ვერ მივიჩნევთ ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკად, მაგრამ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც რომ მასში ცდაა – ქართული გრამატიკული მოვლენები განიხილებოდეს მეგრულ-სვანურის სათანადო ფორმებთან შეპირისპირებით. ამ მხრივ მ. ჯანაშვილის გრამატიკას ისტორიული მნიშვნელობა აქვს ქართული გრამატიკული აზროვნების განვითარებაში.

თავის ლოთზე მ. ჯანაშვილის გრამატიკამ გარკვეული გამოძახილი პოვა ქართულ პრესაში. მის გამოსვლისთანავე დაიბეჭდა რეცენზიები ისეთი ცნობილი პირებისა, როგორიც არიან ლუარსაბ ბოცვაძე, ალ. ხახანაშვილი, იუსტ. აბულაძე. სამივე რეცენზენტი გრამატიკის მთავარ ღირსებად მიიჩნევდა მეგრულ-სვანურთან შედარებების შემოტანას.

ეტიმოლოგიური ძიებები

მ. ჯანაშვილის ნაშრომებში უხვად ვხვდებით ეტიმოლოგიურ ძიებებს. საამისოდ მას გამოყენებული აქვს ფართო ენობრივი მასალა: ძველი ქართულის მონაცემები, დიალექტები (პირველ რიგში ინგილოური და ხევსურული), მეგრული, ჭანური, სვანური... ვახუშტის გეოგრაფიის გამოცემის წინასიტყვაობაში და უმთავრესად ტექსტში შენიშვნების სახით რედაქტორს მოცემული აქვს ეტიმოლოგიური ანალიზები უამრავი ტოპონიმიკური ტერმინისა. ამ ძიებებში ბევრია ხალხური ეტიმოლოგიის ხასიათისა, ბევრი კიდევ მისაღები ან, ყოველ შემთხვევაში, სადავო.

1893 წ. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილია ავტორის საყურადღებო წერილი სათაურით – „მცირე შენიშვნა“, რომელიც არსებითად ეტიმოლოგიური ხასიათის ნაშრომია. აქ განხილულია ტერმინები ზ ა ფ ხ უ ლ ი, ზ ა მ თ ა რ ი. ავტორი ამ სიტყვებს შლის ასე: ზ ა + ფ ხ უ ლ, ზ ა + მ თ ა რ. ზა, მ. ჯანაშვილით, სვანური ზა არის რომელიც ნიშნავს წელიწადს, ხოლო ფხულ ძველ ქართულში ფხიანს, თავთავიანს, ფოთლიანს უდრისო. ზ ა მ თ ა რ -ში ზ ა იმავე წელიწადის აღმნიშვნელია, ხოლო მ-თ ა რ ი უდრის თოვლს (შეადარე მეგრული თ ი რ ი – თოვლი). მაშასადამე, თოვლიანი წელიწადი... ეს ეტიმოლოგიები გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში. 1904 წ. გამოცემულს ვახუშტის გეოგრაფიაში მ. ჯანაშვილს განმეორებული აქვს ასეთივე მსჯელობა, ოღონდ დამატებული აქვს ზაფხულის განმარტების დროს საპირისპირო ფორმა – აფხაზური ა ფ ხ ე ნ, ე. ი. ფ ხ უ ლ-ს უკავშირებს აფხაზურ ძირს ა-ფ ხ ე ნ. სამეცნიერო ლიტერატურაში ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ეტიმოლოგიის შესახებ იხსენებენ პეტრე ჭარაიას, რომელმაც 1912 წ. გამოსულს ნაშრომში ქართ. ფ ხ უ ლ-ს დაუპირისპირა აფხაზური ა ფ ხ ე ნ, გამოყო რა ამ სიტყვებში ზა. ნამდვილად: ზა-ს გამოყოფა და სვანურთან დაკავშირების ისტორია იწყება გაცილებით ადრე – 1893 წ., და მისი დამდგენია მ. ჯანაშვილი, ხოლო აფხაზურის სათანადო ძირთან მისი შეპირისპირებაც იმავე მკვლევრის მიერაა მითითებული პირველად.

1893 წელსავე დაბეჭდილია მ. ჯანაშვილის ნაშრომი: „ლაშა ორბელიანი-ილიძის წარმოსდგა თუ აფხაზურ ენიდამ შემოვიდა ქართლის ცხოვრებაში“. აქ იგი ეკამათება გ. წერეთელს, რომელმაც ლ ა შ ა (გიორგი ლაშა) რუსული სიტყვიდან ორბელიანი მომდინარედ მიიჩნია. ამ სიტყვას კი (ორბელიანი) თამარი პირველად გაიგონებდა თავისი პირველი ქმრისაგანო. მ. ჯანაშვილი უარყოფს ამ გულუბრყვილო ახსნას

და აღნიშნავს, რომ ეს სახელწოდება აფხაზთა ენიდან, ე. ი. აფხა-ზურიდან არის შემოტანილი. აფხაზურად ა ლ ა შ ა რ ა, ავტორის სიტყვით, ნიშნავს სინათლეს, და ამასვე უნდა უკავშირდებოდესო ფშავ-ხევსურული ლ ა შ ა რ ი.

იმავე წელს გამოქვეყნებულ ეტიმოლოგიურ ნაშრომში – ბიბლიოგრაფიული შენიშვნა“ – მ. ჯანაშვილი იძლევა ს ა გ ა ნ-სიტყვის სწორ ეტიმოლოგიას. დღეს ეს ეტიმოლოგია დადგენილია და საბოლოოდ გადაწყვეტილი პროფ. ვუკ. ბერიძის მიერ. იმავე ნაშრომში გარჩეულია ქართული შ ე წ ი რ ვ ა, სვანური ლ ი - მ ზ ი რ. ავტორის დასკვნით, წარმართობის დროს კერპების შეწირვას ერქვა მ ზ ო რ ვ ა, ს ა მ ზ ო რ ა ვ ი, უ ზ ო რ ა (უწირა). აქედან ზ ვ ა რ ა, ზ ვ ა რ ა კ ი (შესაწირავი). ნაშრომში – „ქართული ენა და ქართვე-ლები“ მ. ჯანაშვილი იძლევა ნ ა ხ შ ი რ - სიტყვის სწორ ეტიმოლო-გიას. დღეს გაზიარებულია ესეც.

ტოპონიმიკურ თუ ეთნიკურ ტერმინთა ანალიზიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს ბევრი რამ, მაგრამ აქ მივუთითებთ შემდეგ-ზე: ეთნიკურ ტერმინებში ჯ ა ვ ა ხ, ტ ა ო ს, მ ე ს ხ, მ ო ს ო ხ და მის-თანებში ხ-ს მიჩნევა მრავლობითი რიცხვის სუფიქსად, რომელიც დროთა ვითარებაში შეხორცებია ფუძეს, ლიტერატურაში მიეწერება ნიკო მარს. გაცილებით ადრე ეს აზრი გამოთქვა მ. ჯანაშვილმა.

ლექსიკოლოგია

გასული საუკუნის 90-იან წლებში მკვეთრად ისმება საკითხი ქართული ლექსიკონის შედგენის შესახებ. ინტელექტუალური ცხოვ-რების გაზრდილ მოთხოვნილებებს ვეღარ უპასუხებდა მაშინდელი ქართული ლექსიკოგრაფიის სინამდვილე. საბას უკვდავი ლექსიკო-ნი, ჩუბინაშვილის თარგმნითი ლექსიკონები და ზოგიერთი სხვა უკმარი იყო ახალი მწერლობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფი-ლებლად. ხელშეუხებელი კილოური მასალა, ეგზომ მრავალფეროვანი და მდიდარი, ელოდა შინაგანი ლექსიკური მარაგის გამომშხეურე-ბელს, დამამუშავებელს. ამას კარგად გრძნობდა იმდროინდელი მოწინავე ქართული ინტელიგენცია. და აქ ერთი პირველთაგანი მ. ჯანაშვილი იყო, რომელიც გულისტკივილით აღნიშნავდა ქარ-თული ლექსიკონის საქმის მოუგვარებლობას და ენერგიულად მუ-შაობდა ამ მიმართულებით.

1895 წ. „ივერიის“ ფურცლებზე („ქართველები და ქართული ენა“) სინანულით აღნიშნავს მ. ჯანაშვილი, რომ ყველა გავიძახით – რა მდიდარი ენა გვაქვსო და არ კი ვფიქრობთ – შევისწავლოთ, გამოვამხეუროთ ჩვენი ენის ლექსიკური საუნჯენიო. ავტორი დაწ-

ვრილებით ჩერდება დიალექტების ნაირსახეობაზე და მათ მნიშვნელობაზე ლექსიკური ფორმების სხვადასხვაობის წარმოშობაში. ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საჭიროა ყველა კუთხეში ვიყოლიოთ მომზადებული პირები, ადგილობრივი ინტელიგენტები სიტყვების შესაგროვებლად. „ყოველი შეგნებული ქართველი მოვალეა დაეხმაროს სამშობლო სიტყვიერებას და მიჰბადოს ფუტკარს, რომელიც ყვავილების სურნელებას თაფლად აქცევს და მერე თავისი ნაყოფით თვითონაც სარგებლობს“, – დასძენს ავტორი. თავის მხრით მას შეუკრებია საინგილოში 600 სიტყვა, ქართლში – 200, ივერიელს, ვინმე მესხს – სამცხეში რამდენიმე ასეული ძვირფასი სიტყვა და სხვ. დასასრულ ავტორი ამბობს, რომ სავსეა ლექსიკური ფორმებით რაზიკაშვილის, გ. წერეთლის, ნინოშვილის ნაწერები და ყველა ამის აღწერა უნდა დაევალოს ქართულ ლექსიკონს, რომლის შედგენაც ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა.

ამ წერილის ვრცლად გადმოცემა ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ მ. ჯანაშვილის დასახასიათებლად. ეს ა ა გ ა მ ო ხ ა ტ უ ლ ე ბ ა ი მ დ რ ო ი ნ დ ე ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ა ზ რ ი ს ა. ამასვე ჩივიან სხვანიც (თედო სახოკია, გრ. ყიფშიძე, სილ. ხუნდაძე, პ. მირიანაშვილი, ი. აბულაძე) ამავე საგანზე გულისტკივილით ლაპარაკობს შემდეგ „სახალხო გაზეთის“ ფურცლებზე აკად. ნ. მარი (იხ. მისი წერილი სათაურით: „ერთი დიდი საკითხის შესახებ“. ავტორი ლაპარაკობს ქართული ლექსიკონის საქმის დაჩქარებაზე და მოითხოვს კვალიფიციური პირების შემოკრებას ამ დიდი წამოწყების ირგვლივ).

მ. ჯანაშვილი იმთავითვე შეუდგა ქართული ლექსიკონის შედგენას. ეს ვრცელი ლექსიკონი მან დაასრულა თავისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, და იგი დღეს გამოცემას ელის. მასში შეტანილია 105 ათასამდე სიტყვა. ამ ლექსიკონის რეცენზენტი პროფ. ვუკ. ბერიძე აღნიშნავს, რომ „ესაა წიგნი, თავისებური ენციკლოპედია, საიდანაც სპეციალისტები და ჩვენი კულტურის მოყვარენი ბევრ რასმე საჭიროსა და სასარგებლოს გამოიტანენ ენონობრივი საკითხების დამუშავებისას“.

„სახალხო გაზეთის“ ნომრებში მოთავსებულია მ. ჯანაშვილის ვრცელი რეცენზიები ქართ. ლექსიკონებისა. კარიჭაშვილის „ვეფხის-ტყაოსნის“ ლექსიკონს“ მან მიუძღვნა რამდენიმე სტატია, სადაც მოცემულია შესწორებები და შევსებები. რამდენიმე სტატია უძღვნა აგრეთვე ავტორმა დ. ჩუბინაშვილის სამენოვანი ლექსიკონის განხილვას. მასვე ეკუთვნის ილ. ჭყონიასა და ვუკ. ბერიძის

ლექსიკონების რეცენზიები. მასვე დამუშავებული აქვს ინგილოურის ლექსიკონი.

32

დიალექტოლოგია

მ. ჯანაშვილამდის ქართულ დიალექტოლოგიაში თითქმის არაფერი იყო გაკეთებული. ქართული კილოების შესახებ ცნობები აქა-იქ მოიპოვებოდა ადრინდელ ქართველოლოგიურ ნაშრომებში. ვენის უნივერსიტეტის პროფ. ფრანც ალტერი 1798 წ. გამოქვეყნებულ წიგნში მხოლოდ *Über Georgianische Literatur* ქართულ კილოებად მიიჩნევს მხოლოდ ქართლურსა და იმერულს, ეყრდნობა რა პაოლინისა და პალასის ლექსიკონებს. ქართველთმეტყველების ფუძემდებელი ბროსე 1834 წ. (*Nouveau Journal Asiatique*) გამოყოფს 5 დიალექტს – კახურს, იმერულს, გურულს, მეგრულს. ცენტრალურ ქართლურს და 4 „პატუას“. – „კავკასიის სვანურს“, „ლაზიკის ჭანურს“, აფხაზურს და მესხურს. როგორც ხედავთ, აქაც დამაკმაყოფილებელი სურათი არ არის: ერთ სიბრტყეზეა მოთავსებული ენები და დიალექტები, ამასთანავე ქართული კილოები სისრულით ჩამოთვლილიც არაა. ქართული კილოების ფაქტები აქა-იქ გვხვდება გამოკვლევებში ქართველი ტომების ეთნოგრაფიიდან და ისტორიიდან. მაგალითად, რადეს ნაშრომში *Die Chewsuren und ihr Land* (1878) მოცემულია ხევსურული ონომატოლოგიური და ტოპონიმიკური ტერმინები. ერკერთის წიგნში *Die Sprachen des Kaukasischen Stammes* (1895) დახასიათებულია ზოგადად ხევსურული (როგორც არქაული დიალექტი), იმერული, ინგილოური, გურული, ფშაური და თუშური. ინგილოურს ავტორი ყოფს ორ კილოკავად: „მთის ინგილოურად“ და „სამხრულ ინგილოურად“. ყველა ეს ცნობა მას მიღებული აქვს ჯანაშვილისაგან პირადი მიწერ-მოწერის გზით. პირადი მიწერ-მოწერით სარგებლობს არსებითად აგრეთვე დიდი ენათმეცნიერი ჰუგო შუხართი ცთავის სხვადასხვა ქართველოლოგიურ ნაშრომში.

მაგრამ ყველაფერი ეს ცოცხალი მეტყველების შესახებ მკრთალსა და ზერელე წარმოდგენას იძლეოდა.

ქართული დიალექტების საფუძვლიან შესწავლას სათავე დაუდო მოსე ჯანაშვილმა. ამდენად მისი დვაწლი ქართულ დიალექტოლოგიაში დიდია.

1896 გამოქვეყნდა მ. ჯანაშვილის „ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი შრომანი“. ამ წიგნში დამატების სახით მოცემულია ავტორის დიალექტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგი, ესაა პირ-

ველი შემთხვევა ცალკეული კილოს სერიოზული შესწავლისა. დახასიათებულია ინგილოურის თავისებურებანი და მოცემულია 800-მდის ინგილოური სიტყვის განმარტება.

33

მისივე ფართო შრომა ამ კილოს შესახებ დაიბეჭდა 1913 წელს „ძველი საქართველოს“ II ტომში („საინგილო“). გარდა გრამატიკული დახასიათებისა და ლექსიკონისა, იქვე მოცემულია ვ რ ც ე ლ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი, რომლებშიც წარმოდგენილია მდიდარი და ქართული დიალექტოლოგიისათვის საყურადღებო კილო – ინგილოური. დიალექტოლოგიური ტექსტების პირველი აკადემიური პუბლიკაცია ეკუთვნის აკად. ნ. მარს (იმერხეული ტექსტები, რომლებიც დაერთვიან ხანძთელის გამოცემას) ამის შემდეგ აღსანიშნავია ჯანაშვილისეული ტექსტების გამოქვეყნება.

მართალია, გრამატიკული ინტერპრეტაციები ავტორისა არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, ასევე არც ლექსიკონია უნაკლოდ შედგენილი მაგრამ ეს მაინც არ ამცირებს ღირებულებას ამ ნაშრომისას, რომელიც დღემდის ინარჩუნებს ცხოველ ინტერესს საენათმეცნიერო ლიტერატურაში.

უკანასკნელი ხანების ჩანაწერებმა ცხადყო, რომ ჯანაშვილისეული ტექსტები აკადემიური ხასიათისაა, სიზუსტის თვალსაზრისით ძირითადად ეჭვმიუტანელია, და ის სხვაობანი, რომლებიც შეიმჩნევა ამჟამად ფიქსირებულ ტექსტებში, უმთავრესად მაჩვენებელია ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დიალექტის სახეცვალებისა. ეს კიდევ უფრო ზრდის მ. ჯანაშვილის ნაშრომის მნიშვნელობას, რამდენადაც მასში აღნუსხულია ის ფორმები, რომლებიც დიალექტის განვითარების დღევანდელ საფეხურზე განსხვავებული სახით წარმოგვიდგება.

ეს ნაშრომი თავის დროზე ჯეროვნად შეაფასა ისეთმა სამეცნიერო ორგანომ, როგორცაა „Записки Восточн. Отд. Имперского Археологического Общества“ (1915), სადაც მოთავსებულია აკაკი შანიძის ვრცელი რეცენზია.

ხანმეტ-ჰაემეტ ტექსტების აღმოჩენასთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილმა ინგილოურში ჰაემეტობის კვალი დაინახა (ჰუთხრა ჰუხარიან). გიორგი ახვლედიანი თავიდანვე მართებულად გამოთქვამდა ეჭვს: „საკითხი ასე უნდა დაისვას, – ამბობს გ. ახვლედიანი, – ინგილოური ჰაე არის წმინდა ფონეტიკური წარმოშობის, თუ მორფოლოგიური მნიშვნელობის მატარებელი“. დღეს დამტკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ინგილოურში ჰაე ფონეტიკური წარმოშობისაა და არა მორფოლოგიური დანიშნულებისა (იხ. სპეციალური გამოკვლევა სტ. მენთეშაშვილისა – „ჰაემე-

ტობა ინგილოურში“. ადრე ეს ცხადი გახადა აკ. შანიძემ).

მე-19 ს-ის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ რომანტიკული ფილოსოფიის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეს ხალხურ 34

მეტყველებას, როგორც არქაულ ფენომენს. ენათმეცნიერული გეოგრაფიის სკოლამ თვალნათლივ ცხადყო, რომ თანამედროვე დიალექტებში ზოგჯერ დაცულია უფრო ძველი გრამატიკული თუ ლექსიკური ფორმები, ვიდრე რამდენიმე ათეული საუკუნის წინათ ფიქსირებულ ენობრივ ძეგლში. ერთი შეხედვით, ეს დებულება პარადოქსად გამოიყურება, მაგრამ დიალექტოლოგიურმა ძიებამ უამრავი ცალკეული ფაქტის საფუძველზე ნათელი გახადა თანამედროვე კილოთა მეტი არქაულობა ძველ ლიტერატურულ ენასთან შეპირისპირებითი მ. ჯანაშვილი იმდროინდელი დიალექტოლოგიური დისციპლინის სიმაღლეზე დგას. მას შეთვისებული აქვს ახალი მეთოდოლოგიის მონაპოვარი ხალხური მეტყველების არსებითი ნიშნის გაგებაში. მან კარგად იცის, რომ დიალექტის მონაცემები მნიშვნელოვანია ენის ისტორიის კვლევა-ძიებისას. მკვლევარი ცდილობს კილოურ მასალაზე დაყრდნობით აღადგინოს ქართული ენის უძველესი ფორმები. ეს ისტორიზმი გამოსჭვივის ყოველ მის დიალექტოლოგიურ ძიებაში. მ. ჯანაშვილი ამბობს: „კილოკავების უგულებელყოფა, კარჩაკეტილობა მათ შესწავლაში მავნებელია იმ მხრივაც რომ სწორედ ამ კილოკავებში, ვით ხელუხლებელს სალაროში, შენახულია მრავალი, ძველისძველადგანვე ქართველებისაგან შემენილი სიტყვიერი საუნჯე რომელიც საჭიროა გამომზევდეს და მიემატოს საერთო ქართულს, გაუერთიანდეს სრულიად საქართველოს სამწერლო-საეროვნო ენას... კილოკავები და აგრედწოდებული „გაქვავებული“ სიტყვები უშრეტი წყაროა სამწერლო ენისა. როგორც რომელიმე მდინარე დიდდება თავისი ნაკადულების შემორევებით, ისე ენაც, თავისი წინსვლის დროს, უნდა მრავლად იღებდეს საზრდოს თავის კილოკავებიდან. უამისოდ იგი დიდ მანძილს ვერ გაივლის, საფანელი შემოაკლდება, გადატაკდება და სწორედ ის დაემართება, რაც ქვიშნარში მიმდინარე ხევს, რომელიც სათავეებში, წყარო-ნაკადულების სიცოტავის გამო, ზღვამდის ვეღარ აღწევს“.

ქართველურ ენათა შედარება

ცნობილია რომ შედარებითს ქართველურ ენათმეცნიერებას სათავე დაუდო პროფ. ა. ცაგარელმა, რომელმაც შეუპირისპირა ქართული მეგრულ-სვანურს, და ამგვარად „ქართულ ენათა ჯგუ-

ფად“ წარმოგვიდგება ქართული, მეგრულ-ჭანური და სვანური.

პირველი მკვლევარი და, შეიძლება ითქვას, ერთადერთიცი, რომელმაც ქართველური ენათმეცნიერების შედეგები თავის დროზე გადმოიტანა საქართველოში – ქართულ გრამატიკულ ლიტე-

35

რატურაში – გახლავთ მ. ჯანაშვილი იგი არა მხოლოდ რეცენზიებით გამოეხმაურა პროფ. ცაგარლის ნაშრომს „Мингрельс-Кие Мтуды“ და სხვ., არამედ თავდადებული დამცველი გახდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურის ერთობლიობისა. ეს შედარებები, როგორც აღვნიშნეთ, მას მოცემული აქვს „გრამატიკაში“. ამავე პარალელებით აღსავსეა მისი დიალექტოლოგიური ნაშრომები. ვახუშტის გეოგრაფიის შესავალ წერილში რამდენიმე ფურცელზე გადაშლილია ქართულ-მეგრულ-სვანური პარადიგმები და სხვ. საერთოდ კი: ვერ ნახავთ მის ვერც ერთ საენათმეცნიერო ნაშრომს, სადაც არ იყოს მოყვანილი ფაქტები მეგრულ-სვანურიდან, თუმცა ზოგჯერ ნაძალადევი შედარებანი, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი და საყურადღებო. წ ი თ ე ლ ი ზ ო ლ ი ვ ი თ გ ა ს დ ე ვ ს ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ნ ა შ რ ო მ ე ბ ს ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ე ნ ა თ ა ე რ თ ო ბ ლ ი ბ ი ს ი დ ე ა .

მაგრამ ერთი რამაა ხაზგასასმელი: მეგრულსა და სვანურს ე ნ ე ბ ა დ არ მიიჩნევს მკვლევარი. მათ ქართული ენის კ ი ლ ო ე ბ ს, უწოდებს. მისთვის ამოსავალია ი ს ტ ო რ ი უ ლ - კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი კრიტერიუმი, როდესაც მეგრულ-სვანურს დედაქართულის კი-ლ ო ე ბ ა დ რაცხს და არა ე ნ ე ბ ა დ, რა ტერმინოლოგიურ სხვა-ობასაც ყოველთვის შეეძლო გარკვეული გ ა უ გ ე ბ რ ო ბ ა დაეზადებინა. ამ გაუგებრობის ეშინია მოსე ჯანაშვილს, და იგი უთუოდ მართალია, მით უმეტეს მაშინდელს პირობებში, როდესაც არსებული ნაციონალური პოლიტიკა ცარიზმისა ხელს უწყობდა ეთნიკური მთლიანობის დარღვევას და მთლიანი ეროვნული სხეულის, დაქუცმაცებას. გავიხსენოთ თუნდაც სვანური თუ მეგრული ანბანის შემოღების ცდები... და ვინ იცის, ეგების ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ი თვალსაზრისითაც მეგრულ-სვანურის ე ნ ე ბ ა დ მონათვლა მაშინ მცდარი არ იყო. რამდენადაც იმდროინდელ მეცნიერებაში ენისა და დიალექტის გამიჯვნის კრიტერიუმები ზუსტად დადგენილად არ ითვლებოდა.

არ ეთანხმება მ. ჯანაშვილი აკად. ნიკო მარს, რომელიც ჭანურს ე ნ ა დ მიიჩნევს. სტატიაში – „ლაზური კილო და არა ენა“ ავტორი არჩევს მარის „ჭანურის გრამატიკას“ და მიდის იმ დასკვნამდის, რომ მეგრული და ჭანური იმდენად ახლოს დგანან ერთმანეთთან, რომ ერთმანეთის მიმართ კილოკაურს ურთიერთობაში

იმყოფებიან. აქ იგი ადარებს მეგრულსა და ჭანურს როგორც ლექსიკის, ისე ბრუნებისა და უღვლილების დარგში. საყურადღებოა, რომ ერთ ადგილას მეგრულ-ჭანურის ფორმებს - დ ა ლ ე ფ ი ჯ ი მ ა ლ ე ფ ი, ქ უ ა ლ ე ფ ი, ჯ ა ლ ე ფ ი - უდარებს ქართულს მ მ ა ნ ე ბ ი - დ ა ნ ე ბ ი-ს და მათ ერთობლიობას ხედავს.. ავტორი

დაასკვნის: „ეს ლაზური ენის გრამატიკა განსხვავდება მეგრულისაგან იმდენად, რამდენადაც „იმერული ენის“ გრამატიკა „ქართული ენის“ გრამატიკისაგან და „გურული ენის“ გრამატიკა „ქართული ენის გრამატიკისაგან“.

ამ საკითხში სიმართლე ჯანაშვილის მხარეზეა: დღეს მეცნიერებაში დამტკიცებულად ჩაითვლება მეგრულისა და ჭანურის კილოური მიმართება.

ლაზურის შესახებ მსჯელობისას ავტორი ეყრდნობა გრიგოლ ვოლსკის მიერ ჩაწერილ მასალას, რომელიც მას შეუგროვებია მ. ჯანაშვილის თხოვნით. ამ რვეულს აწერიაო, ამბობს ავტორი, „ჭანური ლექსიურ-ღრამატიკული მასალა. შეკრებილია ბათუმელი ჭანისაგან ხასან ეფენდი მოლლა ოღლისაგან“.

ქართველურ ენათა გენეალოგიური ურთიერთობა სხვა ენებთან.

ქართული ენის ნათესაობის გარშემო მეცნიერებაში რამდენიმე თეორია არსებობს. „ასეთი ბაზილონის გოდოლისებური არევი-დარევი აზრების და შეხედულების ქართულს ენაზედ, – ამბობს მ. ჯანაშვილი. – აიხსნება იმითაც, რომ ყველა მათ, ვინც ქართულის ენის სხვა ენებთან მონათესაეობასა სჯიან, ზედმიწევნით ვერ გაუცვნიათ ქართული ენა, მისი სივრცე-სიგანე, მისი მთელი აგებულება და აშკარაა, რომ ქართული ენის შესწავლა მაშინ მოიტანს შესაფერს ნაყოფს, როდესაც იგი ყველა შტოებიანად იქნება ბეჯითად შესწავლილი. შედარებული და გამოკვლეული“ ამას წერს მ. ჯანაშვილი 1888 წელს წერილში: მეცნიერთა აზრი ქართულის ენის შესახებ“. აქ განხილულია ყველა თეორია.

აკადი ნ. მარის მიერ წამოყენებულ თეორიას ქართულის სემიტურ ენებთან მონათესაობისას მ. ჯანაშვილმა რამდენიმე წერილი უძღვნა: „ქართულ ენის სემიტურობისა და სხვათა კითხვების გამო“. „ვითომ მონათესაობა სემიტურებთან“ და სხვ. იგი არ ემხრობა ნ. მარის აზრს და ცდილობს გააკრიტიკოს იგი კონკრეტული მასალის საფუძველზე. მ. ჯანაშვილი პირველი იყო ჩვენში, რომელმაც გააკრიტიკა ქართულ-სემიტური თეორია.

ავტორს, პირველ ყოვლისა, დაუჯერებლად მიაჩნია ბევრი ად-
დგენილი ფორმა, რომელიც ვარსკვლავის ქვეშაა მოცემული. აგ-
რეთვე ზოგჯერ ხელოვნურ ფორმების დამოწმებას უწუნებს ნ. მარს.
მაგალითად, ნ. მარი ქ ო ნ ა ზმნასთან იძლევა ფორმა ა ქ უ ნ ს. მ. ჯა-
ნაშვილი შენიშნავს, რომ ა ქ უ ნ ს არ გვაქვს ძველ ქართულში, ვინა-
იდან ნ და ს მესამე პირის მაჩვენებლებია: დ გ ა ნ = დ გ ა ს , ჰ ნ ე -
ბ ა ვ ნ = ჰ ნ ე ბ ა ვ ს. ასევე: ა ქ უ ნ = ა ქ უ ს. არსადაა ა ქ უ ნ ს.

37

მ. ჯანაშვილი ემხრობა ქართულის ინდოევროპულ ენებთან
მონათესაობის თეორიას. ეს თეორია წამოაყენა ფილოსოფოსმა
ლ ა ი ბ ნ ი ც მ ა და შემდეგში განავრცეს ლინგვისტური მეცნიერე-
ბის ფუძემდებელმა ბ ო პ მ ა და ქართველთმეტყველების ფუძემ-
დებელმა ბ რ ო ს ე მ. ბოჰმა ამოწურა ყველა ის მასალა, რომე-
ლიც კი შეიძლებოდა მოგვეყვანა ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ. მი-
ღებულ იქნა ნეგატიური შედეგი: საბოლოოდ დამტკიცდა, რომ
ქართული არ ენათესავება ინდოევროპულ ენებს. მიუხედავად ამი-
სა, მ. ჯანაშვილისათვის ეს თეორია მისაღებია. მაგრამ ავტორი არა
დგას ლაიბნიცის გზაზე: ნათესაობის დასამტკიცებლად ნასესხები
სიტყვების ანალიზს არ ეყრდნობა. იგი ცდილობს ქართულ ფორ-
მებში მონახოს პარალელები. მასალა. რომელიც ავტორს მოცემუ-
ლი აქვს, არ არის დამარწმუნებელი...

ავტორმა ვრცელი შრომა უძღვნა ქართველურ ენათა ნათე-
საობას სლავურ ენებთან: Картвельский язык и славяно-русский.
აქაც მკვლევარი სიტყვების გარეგნულ მსგავსებას ეყრდნობა. ვა-
ხუშტის გამოცემის წინასიტყვაობაში მ. ჯანაშვილს მოჰყავს საბუ-
თები ქართულის მონათესაობისა ალაროდიული ჯგუფის ენებთან.
მაგალითების ამ რიგში ბევრი რამ ანგარიშგასაწევად გამოიყურება.

ქართველური ენების დამოკიდებულება კავკასიურ ენებთან

მ. ჯანაშვილი ყურადღებას აქცევს ქართულისა და აფხაზურის
ანალოგიებს. ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებში ავტორი უპირის-
პირებს, მაგალითად, ვ ი მ ყ ო ფ ე ბ ი – ვ ი მ ყ ო ფ ი - ს აფხაზურ
ს ჰ-ყ ო უ ჰ-თან და იძლევა უღვლილების მთელ სურათს. იმავე
დროს მის ყურადღებას იპყრობს აფხაზურის წესი – ა-ს დართვა
და მოაქვს სათანადო მაგალითები: კაბა – აკაბა, კალთა – აკალთა,
ხერხი – ახუარხი, და მრავალი სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის ქართულისა და ჩ ა ჩ -
ნ უ რ ი ს ლექსიკური შეხვედრები. მ. ჯანაშვილს მოჰყავს უეჭვე-
ლად დამაფიქრებელი ფაქტები, როგორიცაა: პეპელა – პოლუ,

ბზა – ბაზა, ღმერთი – დელი (შეად. ოდელია და სვანური დალი), მარხილი – მეხი, სერი (სალამო) – სურე, ხევი – ხი, ქათამი – კოთამ, ხახვი – ხოს, ცხვარი (სვან. ჟინალ) – ჟი და მისთანანი. ეს აღნიშნულია შრომაში: „ქართული ენა და ქართველები კავკასიაში“ (1893 წ., გაზ. „ივერია“). ავტორი დაასკვნის: „დროა შევისწავლოთ არა თუ ქართლოსიანთა, არამედ კავკასიანთა ენაც. ენა მკვიდრი კავშირია ერთობისა, ძმობისა და ძლიერებისა“. მ. ჯანს-38

შვილს კარგად ესმოდა რომ კავკასიურ ენათა მეცნიერული დამუშავება გადაუდებელი ამოცანაა და ეს ვალია ქართველ მეცნიერთა.

*
* *

მოსე ჯანაშვილი ერთი პირველთაგანია. თუ არა პირველი, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ეწეოდა ზოგადი ენათმეცნიერების მიღწევათა პოპულარიზაციას, კომენტირებას. გასული საუკუნის 80-იან წლებში პირველად გაისმის ჩვენში მ. ჯანაშვილის მიერ სახელები ბოპისა, შლაიხერისა, ჰუმბოლდტისა, გრიმისა, ბიურნუფისა და სხვათა. იგი აცნობს ქართველ მკითხველებს ინდოევროპულ, სემიტურ, თურანულ ენათა ოჯახებს, ლაპარაკობს მსოფლიოს ენათა ურთიერთობაზე, ენის წარმოშობაზე და საერთოდ თეორიული ენათმეცნიერების პრობლემებზე. წერილების სერიაში – „რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი“ ავტორი ამჟღავნებს ზოგადი ფონეტიკის რიგიან ცოდნას.

მისი ყურადღების გარეშე არა რჩება გამოკვლევები კავკასიური და ქართველური ენათმეცნიერებიდან საზღვარგარეთ. ასე, მაგალითად, 1895 წელს ბეჭდავს ერკერტის წიგნის Die Sprachen des Kaukasischen Stammes ვრცელ ანოტირებულ ბიბლიოგრაფიას, 1902 წ. აქვეყნებს შუხართის ქართველოლოგიური ნაშრომების რეცენზიებს, და ასე ამგვარად, აცნობს ქართველ ფართო მკითხველ საზოგადოებრიობას იმ შედეგებს, რომლებიც მოპოვებულია ევროპაში ქართული ენის კვლევა-ძიებიდან.

მ. ჯანაშვილს პირადი ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ევროპელ მეცნიერებთან. მ. ჯანაშვილის არქივში ბევრი საყურადღებო წერილია ისეთი გამოჩენილი ენათმეცნიერებისა, როგორც არიან ჰუგო შუხართი, ლემან-ჰაუპტი, ერკერტი და სხვანი. ერკერტისაგან, მაგალითად, მას მიღებული ჰქონდა 58 წერილი... ლემან-ჰაუპტს იგი 1899 წ. ასწავლიდა ქართულს სრულიად უანგაროდ.

ასეთია მოკლედ სქემატურად ის დიდი საენათმეცნიერო მუშაობა, რომელიც ჩაუტარებია მ. ჯანაშვილს თავისი შინაარსიანი ცხოვრების განმავლობაში.

მ. ჯანაშვილის ნაშრომები ს ა ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ო დ ა ს ა-
ბ უ თ ე ბ ა ა ქართველი ხალხის მთლიანობისა, ეროვნული ერთობ-
ლიობისა. „ქართულ ენად ჩვენ მიგვაჩნია, – ამბობს ავტორი, –
ჯამი იმ სიტყვიერ და სამეტყველო საუნჯისა, რომელიც დროთა
განმავლობაში შეუქმნია და შეუმუშავებია არა ქართლელს ან კა-
ხელს, არა იმერელს ან მესხს, არა სვანს ან მეგრელს, არა აჭარა-

39

კლარჯელს ან ჭანს, არამედ მთელს ქართველობას, ქართველთა
გვარტომს“. აი ეს დევიზი მოჩანს ყოველ მის ნაკვლევეში.

ეს ნაშრომები პროფესორ მ. ჯანაშვილს ნაყოფიერი ენათ-
მეცნიერის სახელს უმკვიდრებს. ქართული ენის მეცნიერული შეს-
წავლის ისტორია არ დაივიწყებს იმ ამაგს, რომელიც დასდო მან
ჩვენში ენათმეცნიერული დარგის განვითარებას... როდესაც დღეს
ვაფასებთ მ. ჯანაშვილის ლინგვისტურ მემკვიდრეობას, აქ ზოგი
რამ შესაძლოა საცილობლად მივიჩნიოთ, მაგრამ ის გ ზ ა, რომე-
ლსაც ადგა განსვენებული კვლევა-ძიების დროს, უეჭველად სწორი
და გამართლებულია. იგი იდგა იმდროინდელი ლინგვისტური
ცოდნის სიმაღლეზე და ჰქონდა ჩინებული ენობრივი ალღო. და
იქ, სადაც ზოგჯერ მისი მსჯელობა დასაბუთებული არ არის,
მ ი გ ნ ე ბ ა მაინც სწორია.

გარდა იმ პოზიტიური ნაკვლევისა, რაც დაგვიტოვა მოსე
ჯანაშვილმა, უეჭველად ხაზგასასმელია მისი ღვაწლი საქართველოში
ს ა ე ნ ა თ მ ე ც ნ ი ე რ ო კ უ ლ ტ უ რ ი ს დამკვიდრების საქმეში...

და ყველგან და ყოველთვის ჩვენ წინაშეა მ თ ლ ი ა ნ ი პ ი-
რ ო ვ ნ ე ბ ა, რომელიც მშობლიური მეცნიერების აღორძინების
აქტიური მონაწილეა და, კერძოდ, ქართული ენის – მოსე ჯანაშვი-
ლის სიტყვით – სრულიად საქართველოს ენის, – უსაზღვრო სიყ-
ვარულით გამთბარი და მისი დიდი მოამაგე.

კ.კეკელიძე

ქართული ლიტერატურის ისტორია და მოსე ჯანაშვილი

მოსე ჯანაშვილის სახელის მოგონებასთან დაკავშირებით ხედმეტი არაა განმეორება ძველი დროის ერთ-ერთი მოაზროვნის სიტყვებისა: „მოიხსენებით წინამძღუარნი იგი თქუენნი, რომელნი გეტყოდეს თქუენ სიტყუათა მათ მეცნიერებისათა, და ხედვიდით აღსასრულსა მას ცხოვრებისა მათისასა და ჰბამევდით შრომასა მათსა“ (ებრ. XIII, 7). ამ სიტყვებში გამოიხატება ჩვენი კრძალუ-ლება და პატივისცემა მათდამი, რომელნიც გვიკავავდნენ ეკლიან გზას ჩვენი მომავალი მუშაობისათვის.

განსვენებული მოსე ჯანაშვილი ეკუთვნის ჩვენი კულტურული მოღვაწეების იმ თაობას, რომელიც თავისი უანგარო, კეთილსინ-დისიერი: ენერგიული და თავდადებული შრომით ნიადაგს უმზა-დებდა იმ სამეცნიერო საქმიანობას, რომელმაც ამ უკანასკნელი 35 წლის მანძილზე ასე მძლავრად გაიდა ფესვები და გაშალა ტოტები ჩვენში. თითქმის სამოცი წლის განმავლობაში (1876 – 1934) მოსე ჯანაშვილი სანთელივით იწვოდა მეცნიერების შან-დალზე, ის ხედავდა და შეჰხაროდა იმ დღის მოახლოებას, როდესაც ჩვენში დაინთებოდა უმაღლესი ცოდნის ლამპარი. ის მოეს-წრო კიდეც იმ მომენტს, როდესაც ჩვენში შეიქმნა უნივერსიტე-ტი, რომელმაც ის თავის წევრად და თანამშრომლად გამოაცხა-და მისთვის პროფესორის წოდების მინიჭებით მოსე არამცთუ მეცნიერებას ემსახურებოდა გატაცებით, ასეთივე გატაცებით ევ-ლებოდა თავს იმ ახალგაზრდებს, რომელნიც მეცნიერული მუშაო-ბის ინტერესს იჩენდნენ, ყოველნაირად ეხმარებოდა მათ თავისი ცოდნით და გამოცდილებით, ტკბილი სიტყვით ამხნევებდა მათ და შრომას უადვილებდა.

მოსე ჯანაშვილს მუშაობა უხდებოდა, ყოველ შემთხვევაში თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, იმ დროს, როდესაც ჩვე-ნი მეცნიერული აზრი დიფუზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც მან არ იცოდა დიფერენციაცია მეცნიერული მუშაობი-სა და სპეციალიზაცია. ამით აიხსნება, რომ ის თავის ნაშრომებ-ში გვევლინება როგორც ისტორიკოსი, – საეკლესიო და სამოქა-

41

ლაქო, – ისე ლიტერატურათმცოდნეობის წარმომადგენელი, რო-გორც არქეოლოგი: ისე ეთნოგრაფი, როგორც ლინგვისტი, ისე პალეოგრაფი და ა. შ.

ამ წერილში გვინდა მოკლედ გავითვალისწინოთ ის მხარე მოსე ჯანაშვილის მუშაობისა, რომელსაც მხედველობაში ჰქონდა ქართული ლიტერატურა და მისი ისტორია.

მოსე ჯანაშვილის კვლევა-ძიების ობიექტს შეადგენდა უმთავრესად ძველი ქართული ლიტერატურა. ახალი ქართული ლიტერატურიდან მისი საგანგებო კვლევითი ყურადღება მიიპყრო მხოლოდ ილია ჭავჭავაძემ, რომელსაც, მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო, 1907 წელს მან მიუძღვნა ვრცელი წერილი („ნამრომი“ № 2, გვ. 3 – 27). ამ წერილში მოხდენილადაა დახასიათებული ილიას ლიტერატურული მოღვაწეობა და, ამასთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურულ-საზოგადოებრივი მდგომარეობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისა. სამაგიეროდ ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმეში მას უთუოდ საპატიო ადგილი უკავია. თავის უამრავ ნარკვევებში განსვენებულს დაუგროვებია მეტად მნიშვნელოვანი მასალა ძველი ლიტერატურის ისტორიისათვის. ეს ნარკვევები გაფანტულია სხვადასხვა დროის ქართულსა და რუსულს პერიოდულ გამოცემებში, დაწყებული ოთხმოციანი წლებიდან, ამიტომ ადვილი არაა დღეს გათვალისწინება და კლასიფიკაცია მისი მეცნიერული მემკვიდრეობისა, მაგრამ რამდენადაც ძნელია ეს საქმე, იმდენად აუცილებელი და საჭიროა არა მარტო განსვენებულის სახელისათვის, არამედ ქართული ფილოლოგიის ინტერესებისთვისაც.



რა გააკეთა მოსე ჯანაშვილმა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის?

ჩვენი ძველი მწერლობის სისტემატური შესწავლა შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენში მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, სადაც თავს უყრიდნენ ხელნაწერებს და ამით მათ, ერთის მხრით, იცავდნენ მოსპობა-განადგურებისაგან, მეორე მხრით კი, ხელმისაწვდენს ხდიდნენ დაინტერესებულ პირთათვის. მოსე ჯანაშვილი ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი იყო ამ საქმისათვის, მას თავის მნიშვნელოვანი

წვლილი შეჰქონდა ისეთი მსხვილი კოლექციების შექმნისა და ორგანიზაციის საქმეში, როგორც იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნთსაცავისა და „სა-

ციები. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია მისი ღვაწლი „საეკლესიო მუზეუმის“ დაარსებისა და მისი ზრდა-განვითარების საქმეში. 1888 წლის 15 ივლისიდან, როდესაც ფაქტიურად გაიხსნა მუზეუმი, ათი წლის განმავლობაში ის ახლო დგას მუზეუმთან, ჯერ როგორც თანამგრძნობი მისი საქმიანობისა, 1897 წლიდან წევრი სამუზეუმო კომიტეტისა, ხოლო 1898 წლის 10 აპრილიდან ის ხდება გამგე მუზეუმისა; ამის შემდეგ ის მუზეუმში რჩება თითქმის გარდაცვალებამდე. მის ხელში, მის თვალწინ ყალიბდებოდა მდიდრდებოდა და იზრდებოდა მუზეუმი, მისი მზრუნველობით მოიპოვა მან პოპულარობა და ცნობილი გახდა სამეცნიერო წრეებში. მუზეუმი იყო ნამდვილი მისი შვილი, მისი სისხლი და ხორცი; მისი რუდუნებით შექმნილია უდიდესი ნაწილი ამ უმდიდრესი კოლექციისა, მის ხელში გაუვლია ყველა აქ თავმოყრილ ხელნაწერს, მის მიერაა გადაფურცლული თვითეული მათგანი, გადანომრილი და პაგინირებული. ის შეჰხაროდა ამ დაწესებულების წარმატებას, მას გული შესტკიოდა მისთვის და საკუთარ ოჯახზე უფრო ევლებოდა მას თავს. აქ თავმოყრილ საგანძურს ის სამართლიანად „ქართველთა მილიონებს“ უწოდებდა („ივერია“ 1894 წ., № 135).



მუზეუმში თავმოყრილი ხელნაწერები მკვდარ და მეცნიერებისათვის გამოუდევარ მასალად დარჩებოდა, თუ მათ ცნობაში არ მოიყვანდნენ ამ საქმის მთავარი სიმძიმე მოსე ჯანაშვილსავე აწვა კისერზე. მან შეადგინა პირიველი, წინასწარი კატალოგი მუზეუმის ხელნაწერებისა და სიგელ-გუჯრებისა, რომელშიც მოკლედ აღწერილია 484 ხელნაწერი და 994 სიგელ-გუჯარი¹. ის ღებულობდა საქმიანს, მაგრამ ჩუმს მონაწილეობას იმ აღწერილობაში, რომელიც 1902 წელს ორ ტომად გამოვიდა თ. ჟორდანიას სახელით და შემდეგი სათაურით: Описание рукописей Тифлисского Церковного Музея карталино-кахетинского духовенства. რადგანაც ეს აღწერილობა შედგენილი იყო თ. ჟორდანიას მიერ სხვადასხვა დროს და ის უმისოდ იბეჭდებოდა, მ. ჯანაშვილს უხდებოდა არა მარტო სისტემაში მოყვანა აღწერილობისა და მისი კორექტურის წარმოება, არამედ საჭირო შემთხვევებში აღწერილო-

¹ იხ. მისი Тифлисское церковное древнехранилище, стр. 31 – 100, 1898 г. Каталог Церковного Музея Грузинского Экзархата, стр. 3 – 14, 1899.

ბის თვით ხელნაწერებთან შედარებაც. თ. ჟორდანიას „აღწერილობაში“, რომელსაც, მიუხედავად მისი დეფექტებისა, დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა, შევიდა 800 ხელნაწერი, 1908 წელს გამოვიდა მესამე ტომი ამ „აღწერილობისა“, რომელიც მთლიანად ეკუთვნის განსვენებულს მოსე ჯანაშვილს. ამ ტომში აღწერილია 240 ხელნაწერი (801 – 1040) და ის თავისი მოცულობითაც (372 გვერდი) უჩვენებს, რომ თ. ჟორდანიას აღწერილობასთან შედარებით, ნაბიჯს წარმოადგენს წინ. იმაში დაკმაყოფილებულია თითქმის ყველა მთავარი მოთხოვნილება მეცნიერული აღწერილობისა, ყოველ შემთხვევაში ის საკმაოდ სრულს წარმოადგენს იძლევა ამა თუ იმ ძეგლის შესახებ. დღეს ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულებით ვართ ვიცინებოთ უფრო სრულყოფილ აღწერილობაზე, მაგრამ თავის დროისათვის ის უეჭველად დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მოსესვე ეკუთვნის გაგრძელება ამ აღწერილობისა. ჯერ მის მიერ აღწერილია მოკლედ 1041 – 1109 ხელნაწერი ¹, ხოლო ეგვიპტე ხელნაწერები და სხვებიც (რიცხვით 674), რომლებიც მუზეუმში შემოვიდა 1908 წლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც ის „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის“, შემადგენელ ნაწილად იქცა (1930 წელს), აღწერილია მის მიერ დაწვრილებით 1921 – 1928 წლებში. ეს აღწერილობა ხელნაწერის სახით ინახება „საქართველოს მუზეუმში“ და დიდ სამსახურს უწევს ყველა მეცნიერ მუშაკს. სასურველია მისი გამოცემა. აუწერია მას, შედარებით მოკლედ, მთელი კოლექცია „წერაკითხვის საზოგადოების“ მუზეუმისა. ისიც ხელნაწერადაა დარჩენილი.



გარდა ამისა, მოსე ჯანაშვილს ხელნაწერთა შესახებ აღმწერილობითი საინფორმაციო ცნობები მოთავსებული აქვს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში სხვადასხვა დროს, იმისდა მიხედვით, თუ როდის შემოდიოდა ესა თუ ის ხელნაწერი მუზეუმში. ამ გზით ის აცნობდა საზოგადოებას მუზეუმის თითქმის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერს. ამ მიზნისათვის ყველაზე მეტად ის იყენებდა ი. ჭავჭავაძის „ივერიას“ ².

¹ იხ. მისი Каталог предметов Церковного Музея Грузинского Духовенства, 1914 г.

² იხ. მისი Каталог Церковного Музея Грузинского Экзархата, стр-12, примеч: აგრეთვე Указатель к статьям и материалам в грузинской периодической печати (1852 – 1910), под редакцией И. К и п ш и д з е,

მოსე ჯანაშვილი იძლეოდა ხელნაწერთა არა მარტო აღწერილობას, არამედ გამოცემასაც. ჯერ კიდევ ხელნაწერთა აღწერილობაში შეუტანია მეტად ვრცელი ამონაწერები ამა თუ იმ თხზულებიდან. საკმარისია, მაგალითად, გადაათვალიეროთ მის მიერ შედგენილი მესამე ტომი მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობისა, რომ ეს ნათელი გახდეს; აქ მოცემულია: ცხოვრება აბიბოს ნეკრესელისა (გვ. 25 – 28), ექსცერპტები ბალავარიანიდან (28 – 44), გიორგი მეფის ბრძოლის ისტორია დემნა ბატონიშვილთან (94 – 100), წამება რაჟდენისა (152 – 156), კორიდეთის ოთხთავის მინაწერები (238 – 250), ერთ-ერთი თარგმნილი გეოგრაფიის აღწერილობა (261 – 265), იოანე ანჩელის საგალობელნი (308 – 312), ლექსი ქვაბთხევის მონასტრისა (199 – 200), წმ. გიორგისა (303 – 305) და სხვა. უფრო საყურადღებოა, რასაკვირველია, მისი ისეთი გამოცემები, რომლებშიაც შესულია მთლიანი სახით მთელი რიგი როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური ლიტერატურული ძეგლებისა.

ნათარგმნი ძეგლთაგან მას გამოუცია: 1) ცალკეული თავები ე. წ. შატბერდული კრებულისა, სახელდობრ: ეპიფანე კვიპრელის „თუალთათჳს“¹ და „საზომთათჳს და საწყაულთა“², აგრეთვე „სიტყუ – მკურნალთაგან“ უცნობი ავტორისა³. 2) გიორგი პისიდას (VII) „თხრობად“ კონსტანტინოპოლის მოცვისა „სპარსთა და ბარბაროთაგან“⁴. 3) გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილი „სვინაქსარიდან“ ამოკრეფილი ცნობები ქართველთა მეზობელ ხალხებში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ⁵. 4) აპოკრიფული ცხოვრება იოანე ღვთისმეტყველისა, ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი⁶ 5) ორი ფსევდოეპიგრაფიკული „საკითხავი“ წმ. ნინოსი⁷. 6) ანდრია მოციქულის მიმოსვლა⁸.

Петроград, 1916 г.; П а г и е в Д. Алфавитный указатель к пятиверстной карте Закавказского края, Тифлис, 1913 г.

¹ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, в XXIV.

² „აღვადგინე“, გვ. 118 – 134, 1891 წ.

³ მწერლობა IX – X საუკუნისა, 1891 წ.

⁴ Сборник материалов для описания. в. XXIV. აქ დაბეჭდილია ნაწილი მოთხრობისა; მთლიანად ის გამოსცა პ. კარბელაშვილმა 1903 წ. (მუზეუმის გამოცემა, № 7).

⁵ Известия грузинских летописей и историков о Херсонесе, Готфин, Осетии, Хазарии, Дидоетии и России (Сборник материалов, 22)

⁶ ათონის ივერიის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, გვ. 111 – 175.

⁷ История грузинской церкви I, 80 – 98.

⁸ ქართული მწერლობა 11, 49 – 53.

ორიგინალურ ქართულ ძეგლთაგან მის მიერ გამოცემულია:

1. ცხოვრება იოანე და ექვთიმე ათონელებისა (ათონის კრებული, გვ. 1 – 68) მათი სახელობის საგალობლებითურთ (გვ. 109 – 110, 187 – 215). 2) ცხოვრება ილარიონ ქართველისა და საგალობლები მისი (გვ. 69 – 108, 177 – 186). 3) აღაპები ათონის ივერთა მონასტრისა (გვ. 216 – 274). 4) ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა საგალობელითურთ (გვ. 279 – 358). 5) ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა (ქართული მწერლობა II, 1 – 48). 6) იოანე ბოლნელის ქადაგებანი (1911 წ.). 7) აბდულ-მესიანი იოანე შავთელისა, ორჯერ (1915, 1920). 8) „აღლუზიანი“ იოანე იაღლუზისძისა ¹.

როგორ გამოიყურებიან ეს გამოცემანი? შეგვიძლია თუ არა მივიჩნიოთ ისინი კრიტიკულ გამოცემად? ამისათვის ჯერ საჭიროა გაირკვეს ზოგადად, როგორი უნდა იყოს კრიტიკული გამოცემა ამა თუ იმ ძეგლისა. კრიტიკულია, ჩვენი გაგებით, ის გამოცემა, რომელიც ისტორიულ-ლიტერატურული ხაზით იძლევა ძეგლის სწორ გაგებას და ინტერპრეტაციას, ხოლო ლინგვისტურით – ავტორის თუ მთარგმნელის ეპოქაში გაბატონებული ენობრივი ნორმების მიხედვით დადგენილ ტექსტს. შეეძლო თუ არა მ. ჯანაშვილს დაეკმაყოფილებია ეს პირობები თავის გამოცემებში? არ შეეძლო, რადგანაც იმ დროს, რომელსაც ეკუთვნის მისი ზემოჩამოთვლილი გამოცემები, ჯერ კიდევ არ არსებობდა ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა, თუგინდ იმ სახით და გაგებით, რომელიც ჩვენ დღეს მოგვეპოვება, თან არც ისტორიულ-ლიტერატურული ცოდნის დონე იყო ჩვენში მაშინ ისეთი, რომ ამომწურავი და ზუსტი ცნობა ყოფილიყო მოსალოდნელი ამა თუ იმ ძეგლის შესახებ, განსაკუთრებით თუ ეს ძეგლი ნათარგმნი იყო. სამაგიეროდ, რის გაკეთებაც კი შეეძლო იმ დროს განსვენებულ მკვლევარს, გაკეთებულია მის მიერ საერთოდ დამაკმაყოფილებლად, სახელდობრ: ის 1) იწერდა ტექსტებს ზუსტად და უცვლელად, 2) უჩვენებდა ვარიანტებს, თუ ასეთები მოიპოვებოდა, 3) ურთავდა მას საჭირო შემთხვევაში ლექსიკური ხასიათის განმარტებებს. ამ თვალსაზრისით მისი გამოცემები არცთუ ისე დასაგმოგია როგორც მათ ჰგომობდა თავის რეცენზიებში განსვენებული ნ. მარი. თუ რამე ესაყვედურებოდა მას ამ შემთხვევაში, მხოლოდ ის, რომ ყოველთვის საუკეთესო ნუსხებს არ მიმართავდა ხოლმე გამოცემის დროს. ასე, მაგალითად, გიორგი ათონელის

¹ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXII.

ცხოვრება მან გამოსცა 1773 წლის (A 170) ნუსხიდან, როდესაც წერა-კითხვის საზოგადოების კოლექციაში მას შეეძლო ეპოვა უძველესი, თვით XI საუკუნისა და მომდევნო ხანის ნუსხები.



მ. ჯანაშვილს, რომელმაც დაგვიტოვა „ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე“ (1900 წ. „ქართული მწერლობა“, I), „ქართული მწერლობა IX – X საუკუნისა“ (1891 „ქართული მწერლობა XII საუკუნემდე“ („ივერია“ 1899 წ. № № 98 – 103), 158 162), ორი წიგნი „ქართული მწერლობისა“ (1900 და 1909) და ორი „ნაშრომისა“ (1907 და 1910), არ უცდია ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი მიმოხილვა და არ დაუწერია მისი სისტემატური კურსი, თუგინდ იმ სახისა და ღირებულების, როგორცაა მისი „საქართველოს ისტორია“ (1906) და „История Гruzинской церкви (1898). მართალია მის თხზულებაში, რომელსაც ეწოდება, Царица Тамара“ (1900 წ. ჩვენ ვპოულობთ თავს, – Краткий обзор грузинской истории и литературы до эпохи Тамары (стр. 1 – 24), მაგრამ აქ მხოლოდ რამდენსამე გვერდზე (19 – 22) ავტორს გაკვრით აღუნიშნავს ზოგიერთი თხზულება და მნიშვნელოვანი ხელნაწერი თამარის წინააღმდეგობისა, აგრეთვე საგანმანათლებლო ცენტრები საქართველოში და საზღვარგარეთ, რომელთა შესახებ უფრო ვრცლად ის ლაპარაკობს თავის სხვა შრომაში „Грузинские обитатели вне Грузии“. ზემოდასახელებულს თამარის ისტორიაში, მეათე თავში (გვ. 73 – 93), მას თითქოს განუზრახავს ქართული მწერლობის უძველესი პერიოდის მიმოხილვა, მაგრამ, პროფ. ა. ცაგარლის შრომიდან ამოღებული ორიოდე ცნობის შემდეგ, ის ჩერდება საგანგებოდ რუსთაველზე და მთელი რვა გვერდი დაუკავებია პ. იოსელიანის ზოგადი, ცნობილი მსჯელობით ვეფხისტყაოსნის ღირსების შესახებ.

განსვენებულს აინტერესებდა ცალკეული პრობლემები და დარგები ძველი მწერლობისა, რომლებზედაც ჩვენ შევჩერდებით. ჩვენს მიმოხილვაში არ შევლენ საისტორიო მწერლობის პრობლემები და ძეგლები, რომელთაც, განსაკუთრებით მატთანებმა, შთანთქმეს დიდი ნაწილი მ. ჯანაშვილის შემოქმედებითი ენერჯისა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც განსვენებულის საგანგებო ყურადღებას იპყრობდა, არის საკითხი ქართული ბიბლიისა და მისი გადმოთარგმნის შესახებ მ. ჯანაშვილს აინტერესებდა როგორც ცალკეული ბიბლიური წიგნები, ისე მთელი ბიბლია. ცალკეულ წიგნთაგან მას განუხილავს „დავითნი“ („ივერია“ 1899, № 27) და

„სახარებანი“: მეტეხის სახარება 1049 წლისა (ივერია 1892 წ. № № 76, 79, 80, Кавказ 1892 г. № 88). განსაკუთრებით კი ე. წ. ურბნისის სახარება (ივერია 1904 წ. № 2I, ნაშრომი II). ინტერესი ამ სახარებისადმი გამოწვეული იყო მისი თარიღით ხ რ ი, რომელიც, როგორც ახლა ირკვევა, შემდეგშია მიწერილი და უჩვენებს 602 (ბერძნულით), 506 (ქართულით) წელს. მკვლევარმა შეადარა ზოგიერთი ადგილი ამ სახარებისა თანამედროვე ქართულს, სომხურსა და რუსულს, ბერძნულს ტიმენდორფისეულს და ძველი ნუსხებისას, A 18, S 405-ს, აღნიშნა მისი მცდარი წაკითხვები, ნაკლულოვანი ადგილები („ნაშრომი“, II) და ბოლოს მოსკოვის სარქეოლოგიო საზოგადოების მინდობილობით თავიდან ბოლომდე გადაწერა ასომთავრული ხელით და გამოსაცემად დაამზადა, თუმცა, არ ვიცი – რა მიზეზით, ის არ გამოსულა. „ჩვენ არ გვსურს, – ამბობდა განსვენებული, – სინამდვილეს წინ გავუსწროთ და ბლომა და მტკიცე საბუთების მოუგროვებლად რაიმე გადაჭრილ აზრს დავადგეთ ურბნისის სახარების დედნის შესახებ“ (ნაშრომი II, გვ. 63), რაც შეეხება მისი გადმოთარგმნის დროს, „ჩვენ ვერ დავიჟინებთ“, ამბობს ის, რომ, ურბნისის სახარება იყოს გადაწერილი სწორედ 602 ან 506 წელს“ (გვ. 41), მაგრამ „დაუჯერებელი არაა, რომ ეს IX – X საუკუნის სახარება იყო პირი 602 წელს ძველის დედნიდამ სიტყვა-სიტყვით გადაწერილის სახარებისა“ (გვ. 41).

უწერია განსვენებულს აგრეთვე გიორგი ათონელის, „სამოციქულოს“ შესახებაც (ივერია 1909 წ. № 32). მთლიან ქართულ ბიბლიას მ. ჯანაშვილმა მიუძღვნა წერილები „ჩვენს დროებაში“ (1912 წ. № 24), „სახალხო გაზეთში“ (1910 № № 175, 187) და განსაკუთრებით „ნაშრომის“ მესამე წიგნში (გვ. 37 – 70). ამ უკანასკნელში ის ლაპარაკობს მის მიერ აღმოჩენილი ნუსხის შესახებ (A 570 და 646), რომელნიც მეცნიერებაში შევიდნენ „ჯანაშვილისეული“ ვერსიის სახელით. მისი სიტყვით, ამ ვერსიებში, რომელნიც გადმოთარგმნილნი არიან უფრო ადრე, ვიდრე 978 წლის ბიბლია, სახელდობრ – არა უგვიანეს VI საუკუნისა (გვ. 37, 38, 62), შენახულა განურყვნელად თავდაპირველი ტექსტი ქართული ბიბლიისა (გვ. 62). მეორე საკითხი, რომელსაც მკვლევარი სვამს, ასეთია: რომელი ძველისძველი მსოფლიო ვარიანტიდანაა თარგმნილი ეს თავდაპირველი ტექსტი? მკვლევარი ჩამოგვითვლის ბიბლიური ტექსტის სხვადასხვა რეცენზიას და ასკვნის, ყოველგვარი საბუთიანობის გარეშე, რომ „ქართული დაბადება თითქმის ყველგან 70-თა თარგმანია“ (გვ. 64). ავტორის შრომაში საყურად-

ღებოა, ერთის მხრით, დასახელებული ვერსიების შედარება ერთის მეორესთან, აგრეთვე მცხეთისა და 978 წლის ბიბლიების ტექსტთან, მეორეს მხრივ, იმათგან ძველისა და იშვიათად ხმარებული სიტყვების ამოკრეფა.

ბიბლიოლოგიაში მკვლევარისათვის დიდად მნიშვნელოვანია საკითხი ქართული ბიბლიის თარგმნის ორიგინალის შესახები ის დაუნდობლად, თავგამოდებით ებრძვის ნ. მარის საბუთებს თავდაპირველი ქართული ბიბლიური ტექსტის სომხურიდან მომდინარეობის შესახებ, მკაცრი კილოთი ეკამათება დ. ბაქრაძესაც, რომელმაც ურბნისის სახარების ტექსტში აღნიშნა არმენიზმები და ასკვნის: „მეზობლად მცხოვრები ერები ველურები იქნებოდნენ, რომ ერთმანეთისაგან არა ესესხნათ, არ გადმოეღოთ რა, თუ ქართველები სთარგმნიდნენ სომხურიდანაც საჭირო წიგნებს, ქებად ჩაეთვლებათ. მაგრამ არა გვჯერა, რომ იერუსალიმიდან მოსულ წინოს იქ არ გაეცნო, ზედმიწევნით არ შეესწავლა ბერძნული სახარება და ამ სახარების თარგმნისათვის არ ეზრუნა საქართველოს მოქცევის შემდეგ, რომ საბერძნეთიდან ქრისტიანობისა და აგრეთვე სასულიერო იერარქიის მიმღებ ერს სახარებაც ბერძნებიდან არ მიეღო და ეს სახარება თავის ენაზე არ ეთარგმნა ბერძნული საერთაშორისო და სამეცნიერო ენიდან, არამედ სომხურიდან, ენიდან იმ ერისა, რომელსაც ბერძენქართველთა მსოფლიომ ადრიდგანვე დაუწყო ბრძოლა როგორც „მწვალებლობის“ მომხრეს და გამღვიძებელს“. („ნაშრომი“ № 2, გვი 43 – 47, განსაკუთრებით 47).



მეორე დარგი უძველესი სასულიერო მწერლობისა, რომელიც ჩვენს მკვლევარს იზიდავდა, არის აგიოგრაფია; ეს დარგი ჭარბადაა წარმოდგენილი მის გამოცემებში, რომელიც ზემოთ ჩამოვთვალეთ. კვლევა-ძიების მხრივ ნათარგმნი აგიოგრაფიიდან მისი ყურადღების ცენტრში იყო „დიდი სვინაქსარი“ გიორგი მთაწმინდელი-სა, რომელშიაც მას აინტერესებდა ისტორიული ცნობები როგორც საქართველოს, ისე მისი მეზობელი ერების შესახებ (ივერია, 1898 წ., 1909 წ. № 35), და ანდრია მოციქულის „მიმოსვლა და ქადაგება“, ექვთიმე ათონელის მიერ გადმოთარგმნილი. ამ უკანასკნელი თხზულებით ის დააინტერესა განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევამ ანდრიას ქადაგების შესახებ საქართველოში, რომლის მთავარ დებულებებს ის ვერ ურიგდებოდა („ქართული მწერლობა“ 11,

მელნიც ამ ნათარგმნ თხზულებაში გვაქვს. განსვენებული მხედველობაში არ იღებდა, თუ ამ უკანასკნელში საიდან და როგორ გაჩნდა ეს ცნობები. უფრო მეტი გააკეთა მან ორიგინალური აგიოგრაფიის დარგში. აქ მას აინტერესებდა: 1) წმ. ნინოს ცხოვრება, რომელსაც მან უძღვნა პოლემიკური ხასიათის ნაშრომი „აღვადგინე, სადაც გარჩეულია ექ. თაყაიშვილის გამოცემა ნინოს ცხოვრების შატბერდული რედაქციისა, შესწორებულია ბევრი ადგილი გამოცემისა და აღდგენილია მისი წარყვნილი ადგილები. 2) ესტატე მცხეთელის მარტვილობა. ამ მარტვილობას ავტორმა უძღვნა სპეციალური წერილი, რომელშიც ის ცდილობს დაარღვიოს ივ. ჯავახიშვილის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებანი ამ ძეგლისა და მასთან დაკავშირებით ქართლის მეფობის შესახებ VI – VII საუკუნეებში (ქართული მწერლობა II, 108 – 119). 3) განსაკუთრებით მის მიერ აღმოჩენილი და გამოცემული „ცხოვრება“ სერაპიონ ზარზმელისა. მართალია, ამ ძეგლთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებში ავტორი ჯეროვნად ვერ ერკვეოდა, მაგრამ გამოცემა მისი, რომელშიც, გარდა სერაპიონის ცხოვრებისა, განხილულია ცხოვრება-მოღვაწეობა იოანე პეტრიწისა და ბედი ქართულ მწერლობაში მისი ფილოსოფიური შრომისა („კავშირნი ღმრთისმეტყუელებითნი“), არც ისე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს, როგორც ეს ეჩვენებოდა განსვენებულ ნ. მარს, რომელიც კერძო წერილში მწერდა: Жизнь Зарзмского строителя отвратительно издано, жемчужины сообщения в этом виде зарыты, извините за выражение, в навозную кучу издательского (с переписчиком отчасти) невежества. ასეთი შეფასება ამ გამოცემისა პასუხი იყო უფრო იმ კრიტიკული წერილებისა ნ. მარის წინააღმდეგ, რომელიც გამომცემელმა მოათავსა სერაპიონის ცხოვრებასთან ერთად და რომლის შესახებ ნ. მარი იმავე წერილში იწერებოდა: просмотрел критические статьи Джанашвили; какой кошмар! И это печаталось в двадцатом веке! И пишется! დამშვიდებულს სულიერ მდგომარეობაში ის ალბათ უფრო ობიექტურად შეაფასებდა ამ გამოცემას.



შემდეგი დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომელშიაც განსვენებულს უწარმოებია კვლევა-ძიებითი მუშაობა, არის ჰიმნოგრაფია ლიტურგიკა – ჰომილეტიკითურთ. ქართულ ჰიმნოგრაფიას

მიუძღვნა მან თავისი შრომა „საუნჯე მეათე საუკუნისა“ (1891 წ.).

50

აქ განხილულია მიქელ მოდრეკილის იადგარი (S 425) და მისი შინაარსი. ავტორი ეხება კრებულში მოხსენებულ ჰიმნოგრაფებს და საგალობლებს, აქ მოცემულ ნოტებსა და ტერმინს „მეხური“, რომელიც მისი გაგებით, ნიშნავს „სომხურს“. ლიტურგიკის დარგში მას აინტერესებდა იაკობ მოციქულის „ჟამისწირვა“, რომლის ტექსტი მას თავისი ხელით გადმოეწერა თავის დროს. ამ საყურადღებო ძეგლს, რომელიც დღეს უკვე გამოცემულია და თარგმნილი რუსულად და ინგლისურად, მან ერთმა პირველთაგანმა მიაქცია ყურადღება და უძღვნა რიგი წერილებისა (ივერია 1897, № № 258, 261, მისივე „ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე“, 1900 წ.) რომელშიაც ის ცდილობს გაარკვიოს რაობა თხზულებისა, დრო მისი გადმოთარგმნისა და მისი უძველესი ხელნაწერის (A 86) გადაწერისა. თუ ეს ცდა ცდად დარჩა მხოლოდ, იმიტომ, რომ აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა ბერძნული დედნისა და მისი ისტორიის გაუთვალისწინებლად შეუძლებელი იყო. ჰომილექტიკური მწერლობიდან განსვენებულს ყურადღება მიუქცევია იოანე ბოლნელის ქადაგებათათვის, ამოუკრებია ისინი სხვადასხვა ხელნაწერიდან (ათონის ნუსხა ამ ქადაგებისა მას არ სცოდნია) და აღუდგენია მთლიანი სახე ამ მოღვაწისა, როგორც მწერლისა.



არანაკლები შრომა გაუწევია განსვენებულს ძველი ქართული საერო ლიტერატურის შესწავლის საქმეში. ამ მწერლობიდან მ. ჯანაშვილს კლასიკური ხანა უფრო აინტერესებდა, ვიდრე ე. წ. აღორძინების, უკანასკნელზე ის სერიოზულად არ შეჩერებულა. აღორძინების ხანიდან ერთს წერილში ის იძლევა ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას პეტრე ლარამის „დილარიანის“ შესახებ (ივერია 1905, № 23), მეორე წერილში გადმოგვცემს შინაარსს პოემა „ვახტანგიანისას“ (საქართველო 1917, № 163), მესამე წერილში ათავსებს რეცენზიას დავით გურამიშვილის თხზულებათა გამოცემაზე. გარდა ამისა „აღლუზიანის“ ტექსტის გამოცემას მან დაურთო თავის დროისათვის მიუღებელი და გაუზიარებელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევი, რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ აღდევნონ ისტორიული პირია, რომელიც მერვე საუკუნის ნახევარში ცხოვრობდაო ¹.

თმოგველის „დილარიანს“, ამირანდარეჯანიანს, ვეფხისტყაოსანს და მეხოტბეებს. სარგის თმოგველის ჩვენამდე არ მოღწეული „დილარიანის“ ნაწილად ის სთვლიდა თავდაპირველად ხაზართა მეფეების, – ჯიმშერისა და მისი შვილის არმოკლას – ცნობილს ამბებს, რომელიც მან რუსულადაც სთარგმნა ¹ და რომელსაც ის „პატარა დილარიანს“ უწოდებდა. მაგრამ მას შემდეგ რაც დაიბეჭდა პეტრე ლარამის „დილარიანი“, რომელიც მან სარგისის ნამდვილ „დილარიანად“ მიიჩნია, დარწმუნდა, რომ შემცდარი იყო (ქართული მწერლობა II, 128). გაზეთ „ტრიბუნაში“ (1823 № 506) მოთავსებულ წერილში ის ეკამათება ს. კაკაბაძეს და ამტკიცებს, რომ „დილარიანი“ არის ნაწარმოები არა მეცამეტე საუკუნის ნახევრისა, არამედ თამარის დროისა, და ავტორი მისი არის, სარგის თმოგველი. გარდა ტრადიციისა არავითარი საბუთი მას ამისათვის, რასაკვირველია, არ გააჩნია.

ამირანდარეჯანიანის შესახებ მკვლევარი ლაპარაკობს საგანგებო ნარკვევში. რომელიც 1895 წელს გამოვიდა („მოსე ხონელი და მისი ამირანდარეჯანიანი“). აქ ის ამტკიცებს, რომ რომანი, რომელსაც, თანახმად მის მიერ ნაჩვენები სავსებით დამაჯერებელი პარალელებისა, დიდი გავლენა მოუხდენია ვეფხისტყაოსანზე, დაწერილია თამარის დროს მოსე ხონელის მიერ და ორიგინალური ნაწარმოებთ. უკანასკნელი დებულების სასარგებლოდ მას მოჰყავს ისეთი არგუმენტები, რომელნიც ნ. მარმა თავის რეცენზიაში კატეგორიულად უარყო (ЖМНПрос. 1896 № 10), ამან გამოიწვია საპასუხო წერილი მოსე ჯანაშვილისა, – О происхождении грузинских классиков, ² – რომელშიც ის ცდილობს დაადვიოს ნ. მარის ბრალდებანი, და თავის მხრივ, იხილავს რა ნ. მარის შეხედულებებს ამირანდარეჯანიანის სპარსული წარმოშობის შესახებ ³, სამართლიანი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს და არანაკლები კატეგორიულობით უარჰყოფს მათ. 1904 წელს ი. ჯავახიშვილმა „ცნობის ფურცელში“ (№ 2466) მოათავსა წერილი, რომელშიაც ნ. მარის შეხედულებებს გამოექომაგა. საპასუხოდ იმავე წლის იმავე გაზეთში (№ № 2472, 2473) ⁴ მ. ჯანაშვი-

¹ Известия грузинских летописей о Херсонисе, Готфии, Осетии, Хазарии, Дидоэтии и России, стр. 15 – 93 (Сборник материалов, вып. XXII).

² „Новое обозрение“, 1896 г. № № 4279, 4280, 4284, 4285, გადაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში“ II, 148 – 170.

³ იგულისხმება ნ. მარის ორი ცნობილი წერილი.

⁴ გადაბეჭდილია „ქართულ მწერლობაში“, II, 133.

52

ლმა მოათავსა წერილი, რომელშიაც უფრო აზუსტებს მარისადმი მიმართულ საპასუხო წერილში გამოთქმულს თავის დებულებებს, ექვს გამოსთქვამს, რომ „ყისაჲ ჰამზა“ მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანს გულისხმობდეს და უმატებს: „შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ თვით მოსე ხონელმა, მსგავსად „ყისაჲ ჰამზისა“, თვით შესთხზა ამირანდარეჯანიანი და მასში შეიტანა ცნობები შესახებ სხვადასხვა გამიზნისა“ (ქართული მწერლობა, II, 129). ამის შემდეგ ის ამირანდარეჯანიანის საკითხს აღარ დაბრუნებია.

არც ერთ თხზულებას არ მიუქცევია განსვენებული მკვლევარის იმდენი ყურადღება, რამდენიც ვეფხისტყაოსანს. ამის მიზეზი თავისთავად გასაგებია. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, როდესაც გიორგი ქართველიშვილის სახლში ჩამოყალიბდა ვეფხისტყაოსნის საგამომცემლო კომიტეტი და მოსე ჯანაშიელმა იმაში საპატიო ადგილი დაიკავა, მას გადაუცია კომიტეტისათვის საკუთარი ხელნაწერი პოემისა, რომელიც, მისი ცნობით („ტრიბუნა“ 1923 წ. № 469), გახდა „დედანი“ ქართველიშვილის გამოცემისა. ამიერიდან იწყება საგანგებო დაინტერესება პოემით ჩვენი მკვლევარისა, რომელიც მის შესახებ აქვეყნებს გამოკვლევებს სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში თუ ცალკე წიგნაკებად. 1896 წელს მან გამოსცა ნარკვევი „შოთა რუსთაველი“, რომელშიც შეჯამებულია სხვადასხვა მკვლევარის შეხედულებანი ვეფხისტყაოსანზე. 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ № 3, 47) ათავსებს სტატიას „რუსთაველის განმაქიქებელნი“, რომელშიც მოითხოვს მკვლევართაგან, პირველ ყოვლისა, პოემის ენის საფუძვლიან ცოდნას. 1900 წელს სცემს თხზულებას „Царица Тамара“, რომელშიც, თავისი საკუთარი და სხვათა სიტყვებით, ვეფხისტყაოსნის საკითხებსაც ეხება. 1904 წელს („მომამბეში“ № № 2, 3, 4) ათავსებს წერილებს „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“ (ეს წერილები ცალკე წიგნადაც გამოუშვა ავტორმა). რომელშიც პოემა განხილულია, როგორც ნამდვილი წყარო თამარ მეფისა და მისი დროის ისტორიისა. 1910 წელს „ნაშრომის“ მესამე წიგნში მან მოათავსა ვრცელი წერილი „რუსთაველის გარშემო რომელიც გაგრძელება „ქართულ მწერლობაში“ მოთავსებული შენიშვნებისა. ამ წერილში მოცემულია ახსნა-განმარტება ვეფხისტყაოსნის სიტყვებისა. დასასრულ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ მან მოათავსა მთელი სერია წერილებისა „თამარ მეფის მეხოტბენი“-ს სათაურით, რომელშიაც შეჯამებულია მისი შეხედულებანი ამ პოემის შესახებ ¹. ამის შემდეგ სერიოზულად ის ვეფხისტყაოსანს

აღარ დაბრუნებია. განსვენებული მტკიცე და ერთგულ დარაჯად, უდგა ვეფხისტყაოსანს, იქამდის, რომ ყველას, ვინც სხვაფრივ, მასთან შედარებით, ფიქრობდა მის შესახებ, პოემის შემრყვნელად-მიიჩნევდა და თავგამოდებით ებრძოდა. ეს ერთგულება გადაჭარბებამდის კი მიდიოდა; მაგალითად, თეიმურაზ პირველის სახით მან აღმოაჩინა საშინელი „შემრყვნელი“ პოემისა, რომელიც რუსთველს ბრალსა სდებდა იმაში, რომ მას თითქოს არ სჯეროდა „ქალწულს ქალწულობით ძე ემოსო“ (ნაშრომი № 3, გვ. 3) ეს „განქიქება“ თეიმურაზისა შედეგია იმისა, რომ ვერ არის ჯერონად გაგებული რუსთველის სიტყვები „არჩილიანის“ მეცამეტე პასუხში (სტრ. 139, ტ. I, გამოცემა ა. ბარამიძისა).

მთავარი პრობლემები რუსთველოლოგიისა, რომელიც მ. ჯანაშვილს საგანგებოდ აინტერესებდა, არის: 1) ავტორი პოემისა, 2) დრო მისი დაწერისა, 3) პოემის ორიგინალობა, 4) პერსონაჟები პოემისა. ამ საკითხების შესახებ ის ყოველთვის ერთი აზრისა არ ყოფილა, მისი შეხედულება მათ შესახებ ევოლუციას განიცდიდა, საბოლოოდ კი მან მიიღო ის სახე, რომელიც წარმოდგენილია „ტრიბუნაში“, სახელდობრ: 1) ავტორი პოემისა არის მესხი შოთა თორელი ართავაჩოს ძე, თანამედროვე თამარისა და დავით სოსლანისა, რომელსაც თავის სიცოცხლეში (1155 – 1226 წ.) ვეფხისტყაოსნის გარდა, დაუწერია აგრეთვე „თამარიანი“. 2) პოემა დაწერილია თამარის სიკვდილის წინაწლებში, 1215 წლის მახლობლად. 3) ის უაღრესად ორიგინალური ნაწარმოებია, რადგანაც 4) იმაში მოცემულია ზუსტი ისტორია თამარის დროის საქართველოსი და მაშინდელი მუსულმანური აღმოსავლეთის ქვეყნებისა. მის შეხედულებებში განსაკუთრებით საინტერესოა ისტორიულ-გეოგრაფიული ინტერპრეტაცია პოემისა, რომელიც პირდაპირ უკიდურესობამდეა დაყვანილი. ერთხელ, ამბობს მკვლევარი, კინაღამ არ გაგვიყოლია რუსთველოლოგების იმ ბანაკმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ნესტანდარეჯანად პოემაში გამოყვანილია თამარ მეფე, ხოლო ტარიელად დავით სოსლანიო („ტრიბუნა“ 1923 წ. № 469). არა, აცხადებს ის, თამარი და დავით სოსლანი არიან არაბეთის ავთანდილი და თინათინი, ხოლო ინდოეთის ტარიელი და ნესტანი – სპარსეთის უკანასკნელი სელჩუკიანი შაჰი ტოღრილი (-ტარიელი), რომელსაც დახმარებას უწევენ მისი ტახტის (-ნესტანი) მიმტაცებელთა წინააღმდეგ თამარი და სოსლანი (-თინათინ-ავთანდილი). მიუხედავად ასეთი კატეგორიუ-

ლობთ, რომ ტარიელი და ნესტანი, რომელნიც ერთსა და იმავე სამეფო გვარს ეკუთვნიან და ერთადერთი მემკვიდრენი არიან უძეოდ გარდასული ფარსადანისა, წარმოადგენენ ალეგორიას თამარისა და დავით სოსლანისა, რომელნიც ბაგრატიონთა სამეფო გვარის არიან და ერთადერთი მემკვიდრენი უძეოდ დარჩენილი გიორგი მეფისა.

მე აღარ შევჩერდები განსვენებულის სხვა შეხედულებაზე რუსთველოლოგიაში, რადგანაც ამის შესახებ ლაპარაკი მაქვს სხვა ადგილას ¹, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ როგორც არ უნდა ვუდგებოდეთ დღეს ჩვენ ამ შესედეულებებს, განსვენებულის რუსთველოლოგიურ შტუდიებს საერთოდ თავის დროს – დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში იმ მხრივ, რომ ის აღვიძებდა და ამლიერებდა ინტერესს პოემისადმი და სტიმულს იძლეოდა საკითხზე ღრმად დაკვირვებისა და კვლევა-ძიების საქმეში ახალი ნაბიჯების გადადგმისას. თუ მისი ისტორიულ-ლიტერატურული მოსაზრებანი რუსთველოლოგიის დარგში, ზოგიერთები რასაკვირველია, მასზე ხანგრძლივი არ აღმოჩნდნენ, მისი ლექსიკოლოგიური შტუდიები, როგორცაა პოემის კლარჯულ-ინგილოური გლოსები და არაბიზმები (ტრიბუნა 1923, №№ 483, 490, 499) გინა თუ სიტყვით განმარტებანი (ნაშრომი № 3, გვ. 7 – 36), არასდროს, ყოველ შემთხვევაში დიდ ხანს, არ დაკარგავენ მნიშვნელობასა და ღირებულებას.



კლასიკური პერიოდიდან ვეფხისტყაოსნის შემდეგ მ. ჯანაშვილი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ხოტბებს: აბდულმესიანსა და თამარიანს. ამ თხზულებებს, ვეფხისტყაოსანთან ერთად, ის სთვლიდა თამარ მეფის ნამდვილ ისტორიად, ამიტომ მათ დიდ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“.

აბდულ-მესიანის შესახებ მას მოუთავსებია წერილები ჯერ 1902 წელს გაზეთ „ივერიაში“ (№ № 160, 162, 167). აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ის უფრო აზუსტებს ამ ოდის ორს გამოცემაში (1915 და 1920 წ.), ხოლო საბოლოოდ აჯამებს მათ 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№ № 463, 464). ის თავგამოდებით ებრძვის ნ. მარის შეხედულებას, რომ თხზულებაში შექცეულია მხოლოდ დავით აღმაშენებელი და ის დაწერილია ამ მეფის თანამედროვის

შავთელის მიერ, გულის ტკივილს გამოსთქვამს, რომ ასეთ რამეებს სკოლებშიაც კი ასწავლიან ბავშვებსო. მისი შეხედულებით, თხზულებებში შექცეულია თამარი და დავით სოსლანი, იოანე შავთელი არის თამარის თანამედროვე შავთელი, რომელსაც თავისი ოდა დაუწერია დავითის მოწვევის გასამართლებლად, ოდის გამოცემათა მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის ტექსტუალური შენიშვნა-განმარტებანი და ლექსიკური ხასიათის კომენტარები, რომლითაც ავტორ-გამომცემელს უხვად შეუმკვია ეს გამოცემანი.

თამარიანის შესახებ მკვლევარი ლაპარაკობს ჯერ 1902 წელს „ივერიაში“ (№ № 188, 199, 204, 223) და მერე 1923 წელს გაზეთ „ტრიბუნაში“ (№ 466). ავტორი არ იზიარებს ნ. მარის მიერ ამ თხზულების ცალკეულ ოდებად დაყოფას, უჩვენებს სტროფების იმ თანამიმდევრობას, რომელიც ახასიათებდა თხზულებას თავდაპირველად, და არკვევს, რომ თხზულება დამთავრებული უნდა იყოს 1212 წელს. ერთ რამეში ის ეთანხმება ნ. მარს, სახელდობრ იმაში, რომ „თამარიანი“ და ვეფხისტყაოსანი არის ნაწარმოები ერთი ადამიანისა – შოთა რუსთველისა, მხოლოდ, თუ ნ. მარს რუსთველის გვარად „ჩახრუხაძე“ მიაჩნდა, მ. ჯანაშილის, „ჩახრუხაძე“ მიაჩნია იოანე შავთელის, აბდულმესიანის ავტორის, გვარა. რატომ? იმიტომ, რომ აბდულმესიანი თამარიანზე ადრეა დაწერილი, დაწერილია ის „ჩახრუხაული“ ლექსით, აქედან, მაშასადამე, ჩახრუხაძე, საიდანაც წარმოდგა ტერმინი „ჩახრუხაული“, იყო გვარი შავთელისა.

ასეთია ზოგად ხაზებში ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შრომები და შეხედულებანი მოსე ჯანაშილისა.

* * *

ჩვენი მიმოხილვა სრული არ იქნებოდა, თუ ორიოდე სიტყვით მაინც არ აღვნიშნავდით მოსე ჯანაშილის ღვაწლს ქართულ ფოლკლორისტიკაში. ის გულმოდგინედ კრებდა, ამზეურებდა და აშუქებდა ხალხური შემოქმედების მდიდარ ნიმუშებს, სახელდობრ: აპოკრიფებს, ლეგენდებს, ზღაპრებს, გადმოცემებსა და თქმულებებს.

პირველ ყოვლისა განსვენებულს ყურადღება მიუქცევია აპოკრიფთა იმ კრებულისათვის, რომელიც გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ მარიამისეული ქართლის ცხოვრების დამატებად (გვ. 786 – 846). ამ წიგნში, რომელიც წარმოადგენს ე. წ. „განძთა

ქუაბს“, მ. ჯანაშვილმა დაინახა ქართლის ცხოვრებაში მოხსენებული „ნებროთის წიგნი“, თუმცა ის, აპოკრიფი, თითონ მიუთითებს „ნებროთის წიგნზე“, როგორც სხვა დამოუკიდებელ ნაწარმოებზე. მან სთარგმნა რუსულად ციკლი აპოკრიფებისა, როგორც 56

რიცა „საკითხავი ადამისა და ევას სამოთხით გამოსვლისა“, „დაბადებად ცისა და ქუეყანისა“¹. „ნებროთიანს“ ის ეხება კიდევ წერილთა იმ სერიასში, რომელიც მან მოათავსა 1899 წელს გაზეთ „ივერიაში“: „ერან-თურანთა ტალღა, ნებროთიანი, როსტომიანი“ (№ № 98 – 103, 158 – 165).

განსვენებული უფრო მეტად აქცევდა ყურადღებას ამირანის ციკლის თქმულებებს, რომელთა შესახებ მან მოათავსა რიგი წერილებისა „ივერიაში“ (1899 წ. № № 239 – 241, 244 – 245), მერე რუსულადაც იქნა თარგმნილი მის მიერ². ამ თქმულების სვანურ ვერსიას ის სპეციალურად შეეხო რუსულ ენაზე³.

„ამირანიანი“ მას მიაჩნდა უძველეს, ელინთა პრომეთეს პარალელურ მოვლენად.

ლეგენდათა ციკლიდან განსვენებული საგანგებოდ გვაცნობს სამს ნაწარმოებს, ესენია: 1) დიდი ხორეშანი (ივერია, 1887, № 93), 2) ხორნაბუჯის ციხე (სახალხო ფურცელი 1915, № 259), 3) Легенда о кахетинском море⁴. გარდა ამისა, თხზულებაში „Царица Тамара“ (1900) ის ლაპარაკობს რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ცნობილი ლექსის შესახებ და კატეგორიულად უარყოფს იმის შესაძლებლობას, რომ აქ დიდი თამარი იგულისხმებოდეს, მისი ჰიპოთეზით, ლერმონტოვის თამარი უნდა იყოს მეჩვიდმეტე საუკუნის ქალები: ან თეიმურაზ პირველის ასული ნესტანდარეჯანი, ან, უფრო, შაჰნაოზის (ვახტანგ V) ძმის შვილი თამარი, რომელიც დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავართა ხელიდან ხელში გადადიოდა (გვ. 36 – 38). ლეგენდათა ციკლს ეკუთვნის „ფარავანი“, რომელსაც მან უძღვნა წერილი (სახალხო ფურცელი 1915, № 256). წერილში „მზე“ (ივერია 1909 წ. № 14) მკვლევარი გვაცნობს ხალხურ მითებს მზისა და მთვარის შესახებ. განსვენებულს ყურადღება მიუქცევია აგრეთვე ზღაპრებისთვისაც. მისი ინტერესი ხალხური შემოქმედების ამ ჟანრისადმი გამომჟღავნდა იმ რეცენზიაში, რომელიც მან უძღვნა ს. მერკვილაძის მიერ შეკრებილ „ხალხურ ზღაპრებს“ (ივერია 1902, № 277) განსაკუთრებით კი თვით მის მიერ შეკრებილ და გამოქვეყნებულ „ინგილოური ზღაპ-

¹ Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXIX.

² Грузинския предания об Амирани, Сборник материалов, вып.

³ Сванетская версия об Амирани, „Кавказ“, 1896, № 261.

⁴ Известия Кавказского Отделения Русского Географического Общества, вып. XIV. газ. „Кавказ“ 1896, № 182.

რებში“. თავდაპირველად მან თარგმნა რუსულად ექვსი ინგილოური ზღაპარი¹, მერე კი თავის კაპიტალურ „საინგილოში“ (ძველი საქართველო, ტ. II) განყ. IV) მოათავსა 15 ზღაპარი და თქმულებანი „მოლა მასრადინისა“ და „თამარ დედოფლისა და ალექსანდრე მაკედონელის“ შესახებ (გვ. 181 – 221).



მე აღარ შევჩერდები მოსე ჯანაშვილის სხვა უამრავ შენიშვნასა და კრიტიკულ წერილზე, რომელნიც არსებითად წარმოადგენენ ზემოაღნიშნული მისი შრომების pendant-ს. საჭიროდ ვთვლით, დასკვნის სახით, ვაჩვენოთ ის ადგილი, რომელიც ეკავა ჩვენს მეცნიერებაში ამ უდავოდ ნიჭიერს, ენერგიით აღსავსეს, გონებაბამხვილსა და სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალულ მოღვაწეს.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან, როდესაც სამეცნიერო ასპარეზზე გამოდის აწ განსვენებული ნ. მარი, ჰუმანიტარულ ქართველოლოგიაში ჩაისახა ორი ერთიმეორის მოპირდაპირე ბანაკი, რომელთაც მიმდინარე საუკუნეში მკვეთრად ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე მიიღეს. ერთი იყო ე. წ. „პეტერბურგის შკოლა“, რომელსაც სათავეში ედგა თვითონ ნ. მარი. ეს შკოლა ცდილობდა ქართველოლოგიაში რეალ-კრიტიკული მეთოდის მომარჯვებას, მას საქართველოს წარსული შეკვავდა, როგორც მისი წარმომადგენელნი ამბობდნენ ხოლმე, „ზოგად-კავკასიური ფილოლოგიის ფართო ფარვატერში, სავსებით გარკვეული ორიენტაციით „წინააზიის“ მსოფლიოზე“ მეორე ბანაკმა სახელმძღვანელოდ გაიხადა ბროსესაგან შეთვისებული 17 – 18 საუკუნეთა ქართველი მეცნიერ-მწიგნობართა თეორია, რომელიც ბროსეს დროს გადაჭარბებით აკმაყოფილებდა აღმოსავლეთმცოდნეობის მოთხოვნილებას არა მარტო ჩვენში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც. ეს თეორია, უმთავრესად ტრადიციაზე დამყარებული და ამიტომ საგრძნობლად ცალმხრივი, საქართველოს წარსულს იღებდა, განსაკუთრებით ბროსეს მიმდევართა შრომებში, განცალკევებულად, იზოლირებულად აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყანათა წარსულისაგან, ანდა, თუ მიმართავდა იმას, მშობლიური წარსულის უპირატესობის საილუსტრაციოდ უმთავრესად. ამ მეორე ბა-

ნაკის ლოზუნგი იყო „მამულიშვილობა მეცნიერებაში“, პირველის კი ნ. მარის სიტყვები, მგოსნის აკაკისადმი მიმართული: ученый

¹ Сборник материалов для описания, вып. XXXII.

58

Перестал бы быть ученым с момента, когда он решил бы скрыть научную правду, потому, что она, положим, оказалась бы вредной его сородичам, не говоря уже о том, что если и может произойти вред, то не от правды, а от игнорирования ее. ამ ორ ბანაკს შორის გაჩაღდა, განსაკუთრებით მიმდინარე საუკუნეში, დაუნდობელი ბრძოლა, თუ შეიძლება ითქვას, „მამათა და შვილთა“ შორის, ახალსა და ძველს შორის, მსგავსი იმ ბრძოლისა, რომელიც გასული საუკუნის სამოციან წლებში გაიშალა ჩვენი ლიტერატურის წარმომადგენელთა შორის. ეს ბრძოლა ზოგჯერ მეცნიერთათვის შეუფერებელ ფორმებს ღებულობდა. მოსე ჯანაშვილი ამ ბრძოლაში გამოდის „მამათა“ მეზაირახტრედ და სულისჩამდგმელად. ამით აიხსნება, რომ იშვიათად გამოდიოდა მისი ხელიდან ისეთი რამე, რომელიც ნ. მარს არ უარეყო თავის პოზიციებიდან. მსგავსადვე იშვიათად გამოსულა რომელიმე შრომა ნ. მარისა, რომელიც მ. ჯანაშვილს, ამა თუ იმ ხაზით და მიმართულებით, არ გაეკილოს, და არა მარტო ნ. მარისა, არამედ მის შეგირდებისაც, ყოველ შემთხვევაში სანამ უკანასკნელნი ახლად შექმნილს თბილისის უნივერსიტეტში არ მოიყრიდნენ თავს სამუშაოდ. ამ პოზიციაზე დარჩნენ ორივე ბანაკის მეზაირახტრენი, სანამ უღმობელმა სიკვდილმა ორივენი თითქმის ერთდროულად არ მოაშორა სამეცნიერო ასპარეზს.

ვფიქრობ, ორივე ბანაკი აჭარბებდა: მამულიშვილობა მეცნიერებაში აუცილებელია, მაგრამ იმ პირობით, თუ ის იქნება სტიმული მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არა მ ე თ ო დ ი მისი. მ. ჯანაშვილის სასახელოდ მაინც უნდა ითქვას, რომ, მის ბანაკში მყოფთაგან განსხვავებით, მას მამულიშვილობასთან ერთად აუცილებლად მიაჩნია პირველწყაროების ცოდნაც. აი მისი სიტყვები: „ჩვენ თანამდებნი ვართ წმიდა ეროვნულ საუნჯეს ხელვეყოთ არა თუ მარტო მოწიწებით და მოკრძალებით, არამედ დაზურგულნი პაშტა სამზადისითა და ცოდნითი ვხმარობ კ ა შ ტ ა ს, რადგან ს რ უ ლ ი ს ცოდნის ქონა ქ ა რ თ უ ლ - მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ი ს ა დღეს თითქმის შეუძლებელია, რადგან არ გვაზადია საკუთარი სამეცნიერო აკადემია, არ გვაქვს კაი ლექსიკონები, არ გამოგვიცია ქართული ბიბლია, და სხვა წიგნები, არ შეგვისწავლია ქართული ენა და კილოკავები, არ გამოგვიცია საგმირო და სახალხო ნაწარ-

მოებნი არ გვაქვს ხელში მეცნიერულად შემუშავებული ისტორია ქართველი ერისა, მისი კანონმდებლობა და ეგვიტარი საბუთები მისი ცხოვრებისა და ყოფაქცევისა ცნობაში მოყვანილი, განმარტებულ-განმარცვლული არ მოგვეპოვება“ („ნაშრომი“ 111,5).

59

ამ სიტყვებს ის 1910 წელს სწერდა. მას შემდეგ 46 წელი გავიდა, ახლა ჩვენ შეგვიძლია სიამაყის გრძნობით ჩავძახოთ მას საფლავში. ჩვენ დღეს უკვე გვაქვს, სსვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებასთან ერთად, სამეცნიერო აკადემია, მამასადაამე, ამასთან დაკავშირებით, გვექნება კარგი ლექსიკონები, კარგი გამოცემანი ბიბლიისა და სხვა თხზულება-დოკუმენტისა, შესწავლილი იქნება ქართული ენა და მისი კილოკავები, დამუშავდება ქართული ისტორია და ლიტერატურა, და ამით ჩვენ მოვიხდით ჩვენს მოვალეობას როგორც მეცნიერების, ისე შენს წინაშე! დაუვიწყარ და უკვდავ იყოს შენი სახელი ქართველ მეცნიერთა შორის!

სერგი მაკალათია

მოსე ჯანაშვილი და ქართული ეთნოგრაფია

მოსე ჯანაშვილი იყო ღირსეული წარმომადგენელი მე-19 საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, რომელსაც მესვეურობდნენ ჩვენში ილია, აკაკი და იაკობ გოგებაშვილი.

ეს ჯგუფი რუსეთის ცარიზმის პირობებში მიზნად ისახავდა ქართველი ხალხის გათვითცნობიერებას სოციალ-პოლიტიკურ საკითხებში და აგრეთვე ხელს უწყობდა მას კულტურულ-ეკონომიურად დაწინაურების საქმეში.

თუ აკაკი ამისათვის იმარჯვებდა პოეზიას, ილია – პროზას, იაკობ გოგებაშვილი – დედა ენას, მოსე ჯანაშვილი ამ საქმისათვის იყენებდა მშობლიურ ისტორიას, ენათმეცნიერებასა და ეთნოგრაფიას.

მოსე ჯანაშვილმა კარგად იცოდა, რომ ხალხის გათვითცნობიერებისათვის თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისივე ისტორიული წარსულის, ენისა და ყოფა-ცხოვრების გაცნობა-შესწავლას.

ამისათვის საჭირო იყო ხალხთან ყოფნა და მისი უანგარო სამსახური. მ. ჯანაშვილმა ეს მოთხოვნა პირნათლად შეასრულა. იგი მიდის სახალხო მასწავლებლად, რომ აღზარდოს ახალგაზრდობა ღირსეულ მოქალაქედ, ჩაუნერგოს მას სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა.

ამისათვის სკოლა მას უქმნიდა ხელშემწყობ პირობებს. სკოლებში თავს იყრიდნენ საქართველოს ყველა კუთხის მოსწავლენი. მ. ჯანაშვილი აღნიშნავს თავის მოგონებებში: „ჩემს ხელში გაიარა მრავალმა მოწაფემ. მშველელი და მფარველი ვიყავი იმ მოწაფეებისა, რომლებიც იყვნენ საქართველოს განაპირა კუთხეებიდან: საინგილოდან, აფხაზეთიდან, ფშავ-ხევსურეთ-თუშეთიდან, მთიულეთიდან, ბორჩალოდან, ვაჩუქებდი წიგნებს და ვახალისებდი სწავლაში“.

სასკოლო მოღვაწეობამ მ. ჯანაშვილი დაარწმუნა, რომ ახალგაზრდობის აღზრდაში, ცარიზმის პირობებში, არ კმაროდა მარტო პედაგოგიური ხერხები, საჭირო იყო მათ გასათვითცნობიერებლად

მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შედგენა. ამ მიზნით მან პირველმა შეადგინა და გამოსცა 1889 წელს საქართველოს მოკლე ისტორია და 1906 წელს ქართული გრამატიკა. ამასთანავე იგი ეწეოდა ხალხის ყოფცხოვრების შესწავლა-დაკვირვებას და პირ-

ველად მ. ჯანაშვილმა 1877 წელს დაბეჭდა ეთნოგრაფიული ერთიანი: „ინგილოთა ცხოვრების ზოგი ვითარება“ („სასოფლო გაზეთი“ 1877, № 16).

ეს იყო ის პერიოდი, როდესაც იმდროინდელ რუსეთში და საქართველოშიც ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას აწარმოებდნენ საზოგადოების მოწინავე და შეგნებული წარმომადგენლები და საყურადღებო ეთნოგრაფიული მასალებიც იბეჭდებოდა მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში.

ეთნოგრაფიის მოყვარული ქართველი ინტელიგენციის ჯგუფი: ნ. ბერძენიშვილი (ბერძენოვი), პ. ჭარაია, პ. იოსელიანი, ს. ზვანბაია, ი. ცისკარიშვილი, რ. ერისთავი და სხვა აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ამ დიდ საქმეში.

მოსე ჯანაშვილიც მალე ჩაება ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლაში. თავის პირველ წერილში ინგილოთა ცხოვრების ვითარებაზე იგი წერდა: „საცოდნად კარგია ვიცოდეთ ჩვენი ხალხის ავი და კარგი თვისება, მეტადრე ზოგიერთის ჩვენი ქვეყნის მიყრუებულის ადგილისა. ამგვარი ადგილი არის ალაზან გაღმა ზაქათლისაკენ მდებარე ადგილი საინგილო“. შემდეგ იგი იძლევა ინგილოების დახასიათებას და ხაზს უსვამს, რომ „ინგილოებმა არ იციან შური და გაუტანლობა, ინგილო გამბედავია, უყვარს კარგ საქმეში წაბაძვა და კაი თვისებების ანუ საქმეების შეთვისება და მიღება“ თავის ეთნოგრაფიულ წერილებში მ. ჯანაშვილი იძლევა ინგილოთა ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელ იმ მოვლენების ზუსტ აღწერას, მაგრამ არა მშრალსა და უსულგულოს, არამედ იგი შერწყმულია მხატვრულ-ემოციურ განცდებთან. „ახალწლის მიგებებას საინგილოში“ იგი ასე იწყებს: „მიიწურა ძველი წელიწადი. მზე ჩაესვენა. შებინდდა. ინგილოების სოფლებში ასტყდა თოფის სროლა, ხმაურობა, ძაღლების ყევა. მთელი სოფელი ხმად გადაიქცა. რა ამბავია? ნუთუ ლეკის შემოსევამა და სისხლის ღვრამ ასტეხა ასეთი ღრიანცელი, ჭექა-ქუხილი?... არა, არა, ინგილოები არც მტერს შეუშინებია და არც სისხლის ღვრას! ინგილოები ეგებებიან ახალ-წელსა“

მ. ჯანაშვილი ეთნოგრაფიული აღწერისას იძლევა ამა თუ იმ მოვლენის ახსნა-განმარტებასაც. იგი ამბობს, რომ ახალწელს მკლავზე და დედაბოძზე ბამბის შემოხვევა მოგვაგონებს რგოლს, 62

რომელიც სიმბოლოა დაუსაბამობისა და ერთარსებისაო. ამ ჩვეულებით ინგილო გამოსახავს თავის სურვილს, რომ დამდეგ წელს მისი ოჯახი იყოს მთლიანი, დაუზიანებელი და დაურღვეველიო. (გაზ. „ივერია“, 1886, № 8).

მ. ჯანაშვილი რუსულადაც აქვეყნებდა ეთნოგრაფიულ მასა-
წლებსი. მას სურდა, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალები ხელ-
მისაწვდომი ყოფილიყო რუსი მკითხველისათვის და ამით გა-
მოეწვია მეტი დაინტერესება ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრების
გაცნობა-შესწავლის საქმეში.

1887 წელს იგი ჟურნალ „Труды Кавказского О – ва Сельс-
кого хозяйства“ № 3 ათავსებს წერილს „Краткий очерк Ках-
ского участка“, რომელშიც მთავარ ყურადღებას ამახვილებს
სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ შრომა-საქმიანობის აღწე-
რაზე. ამ საკითხში მ. ჯანაშვილი ამჟღავნებს საფუძვლიან ცოდნას
და იძლევა შრომის პროცესების დეტალურ აღწერას.

მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებისა და შრომა-საქმიანობის ასეთ
ეთნოგრაფიულ შესწავლას ხელს უწყობდა თბილისში იმ დროს
არსებული სამეცნიერო ხასიათის ჟურნალები და კრებულები, რო-
მელთა შორის აღსანიშნავია: „Записки“ და „Известия“ Кавказс-
кого Отд. Русского Географ. о – ва“, „Сборник материалов
по описанию местностей и племен Кавказа“. სამივე ამ გამო-
ცემაში მოსე ჯანაშვილი თანამშრომლობდა და ათავსებდა ეთნო-
გრაფიულ წერილებს.

1892 წელს მ. ჯანაშვილმა გამოაქვეყნა თავისი ეთნოგრაფიუ-
ლი ნარკვევი აფხაზეზზე „Абхазия и абхазцы, этнографический
Очерк“ („Записки“ КОРГО, кн. XVI, Тифлис, 1892).

მან ეს ნარკვევი შეადგინა არსებული ეთნოგრაფიული ლი-
ტერატურის გამოყენებით. მისი მიზანი იყო რუსი მკითხველისათ-
ვის გაეცნო აფხაზეზების ყოფა-ცხოვრება.

ამ ნარკვევს მ. ჯანაშვილი იწყებს მოკლე ისტორიული მიმო-
ხილვით და აღნიშნავს მაჰმადიანთა (თურქების) ძალმომრეობას
აფხაზეთში და ამბობს: „სუსტა და მცირერიცხოვან აფხაზეთს არ
შეეძლო ბრძოლა მაჰმადიანთა წინააღმდეგ, ქართველებს რომ არ
მოეწვიათ ჩრდილოეთის ბუმბერაზი (რუსეთი) კავკასიის ყველა
ძველი ერების დასაცავათ“.

ნარკვევში იგი ეხება აფხაზეზების ყოფა-ცხოვრების თითქმის
ყველა მხარეს და როგორც დაკვირვებული ეთნოგრაფი გადმოგვ-
ცემს მათ ადათ-ჩვევებს ცრუმორწმუნეობასა და რიტუალურ წე-
სებს განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საგვარეულო წყო-

63

ბილების გადმონაშთებზე და ბავშვების გამიძავებაზე. იმ დროისა-
თვის მოსე ჯანაშვილს ეს ეთნოგრაფიული ნარკვევი სანიმუშოდ
აქვს შედგენილი, რომელსაც დართული აქვს აგრეთვე აფხაზური
ენის გრამატიკული ფორმებიცა და ლექსიკონიც.

1893 წელს მ. ჯანაშვილმა დაბეჭდა მეორე ვრცელი ეთნოგრაფიული ნარკვევი „Картвельские поверья“, რომელშიც ძირითადად გამოყენებულია ქართლური, სვანური და ინგილოური მასალები. იგი აქ იხილავს ხალხურ რწმენასა და წარმოდგენას ქვეყნის შექმნაზე, ბუნების მოვლენებზე, ადამიანის წარმოშობასა და სხვა.

მასალის განხილვისას ავტორი მოხერხებულად იყენებს ხალხურ თქმულებებსაც. მაგალითად, როდესაც იგი აგვიწერს ინგილოების წარმოდგენას პირველ და მეორე ეპოქის ადამიანზე, ამბობს, რომ ინგილოების წარმოდგენით პირველი ეპოქის ადამიანები იყვნენ უზარმაზარი, აგრეთვე ყველა ცხოველი და საგნები. მაგრამ ამ ადამიანს ჭკუა ჰქონდა მოკლე: „თვითონ იყო აყლაყულა, ჭკუა ჰქონდა მოკლე-კულაო“. მეორე ეპოქაში (თანამედროვე ადამიანი) ტანი დაუპატარავდათ ადამიანებს, მაგრამ ჭკუა გაუდიდათო: „პატარა თავი, ჭკუა დიდი, პატარაა და მალხაზია“ (Сбор. материалов, 1893, ტ. 17, გვ. 144 – 192).

მოსე ჯანაშვილი ამასთანავე თვალყურს ადევნებდა ეთნოგრაფიულ ლიტერატურასა და ეთნოგრაფიული მასალებისა და ექსპონატების შეგროვების პროგრამებს, რითაც იგი ხელმძღვანელობდა პრაქტიკულ მუშაობაში. 1902 წელს იგი გაზეთ ივერიაში ათავსებს ბიბლიოგრაფიას „Программа для собирания этнографических предметов.“ იგი წერს, „პეტერბურგს არის მუზეუმი ალექსანდრე III-ისა, რომლის ეთნოგრაფიული განყოფილება თავის პროგრამას უგზავნის რუსეთის ყველა გაზეთს, მეცნიერს, მასწავლებლებს და სთხოვს წარმოუგზავნოს საეთნოგრაფიო მასალა. შემდეგ აღნუსხულია ამ პროგრამის მთელი შინაარსი და ბოლოს აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ყველა ამით ფრიად მდიდარია და იმედია აქედან ბევრს ცნობას მიაწვდიან ხსენებულ მუზეუმს („ივერია“, 1902, №, გვ. 4).

მოსე ჯანაშვილის ეთნოგრაფიული ნაშრომებიდან უფრო მნიშვნელოვანია „საინგილო“, რომელიც დაიბეჭდა 1913 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულში „მველი საქართველო“, ტ. II, განყ. IV, ეთნოგრაფია, გვ. 51 – 276.

64

ეს მონოგრაფიული ნაშრომი უნდა ჩაითვალოს ქართულ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში საუკეთესო და სანიმუშო თხზულებად. ამ ნაშრომში მოცემულია მ. ჯანაშვილის მშობლიური მხარის – საინგილოს ეთნოგრაფია, რომელიც მან უშუალოდ ადგილზე შეისწავლა და აღწერა ყველა ეთნოგრაფიული წესისა და ხერ-

ხების დაცვით.

ავტორი საინგილოს იხილავს ყოველმხრივ, როგორც ისტორიულ-ეთნოგრაფიულად, ისე ენობრივად და თანდართული აქვს ინგილოური კილოს ენობრივი მიმოხილვა და ლექსიკონი.

ისტორიულ მიმოხილვაში მოსე ჯანაშვილი გულისტკივილით მოგვითხრობს მტრის მიერ შემუსვრილ იქაურ ძეგლებზე: „რომ მტარვალს მის გარშემო მჩქეფარე თავისუფალი სული მოუსპია, ცხოვრება დაუესია. თითქო ჰაერი და მიწა ცოტა იყო, რომ შემურებია ქართველობისათვის მისი ოფლით მონაგარი, მისი წილი და კუთვნილი ჰაერი, წყალი და ქვეყანა!... ცხოვრება ბრძოლაა და ვაი მას, ვინც დროით გამჭრიახობას ვერ გამოიჩინს, ამბობენ ინგილითები“ (გვ. 66).

საინგილოს ბუნებისა და მინდორ-ველის აღწერაში მ. ჯანაშვილი მისაბამია. იქაურ ნადირთა და ფრინველთა ბუნებასა და ქცევას იგი ზედმიწევნით იცნობს და მათ მოქმედებას აღწერს განსწავლული ნატურალისტის თვალთახედვით. ხობბის აღწერისას, წიწილების დაზრდაზე ასე მოგვითხრობს: „გამოჩეკილ პაწიებს დედა იდეებს ფრთებ ქვეშ, შუშავს, ალონიერებს, მერე გამოშლის პურისა და ქერის მარცვლების ასაკენკად. პირველ ხანს წიწილებს ასხია მოყვითაწო გინგლი, რომელიც თანდათან მიხაკისფერდება. რა წამს ცოტა მოფერეაზდებიან, დედას ისინი მიჰყავს საკენკად. სასმელად დილის ცივი ცვარი ჰყოფნის ხოლმე და სხვა.

მასვე სანიმუშოდ აქვს აღწერილი „აბრეშუმის მოყვანა – მრეწველობა“ და თავშივე განმარტავს მის მნიშვნელობას: „რიგიანი შესწავლა ჭიის მოვლის ხელობისა შესამჩნევად აღამაღლებს ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ერსაც დიდად გაუადვილებდა ცხოვრებას. ამოტომ აქ აწვერო თუ ინგილოები როგორ უვლიან ჭიას და როგორ მოჰყავთ აბრეშუმი“ (გვ. 116).

მევენახეობასთან დაკავშირებულ შრომა-საქმიანობას ავტორი დაკვირვებით აგვიწერს და სხვათა შორის ჩართული აქვს ვაზის დოვლათიანობის რიტუალი ახალწლის მიგებების წესებში: „მეკვლე სახლის უფალთან ერთად წავლენ საახალწლო ხონჩით ვენახის საკვლელად. მივლენ და ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან დადგებიან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზსა, მერმე ააგებს, ჭიგოების

ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოაღბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაჰკლავს წითელფრთოსან მამალსა, წითელ ფრთებს მოგლეჯავს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზედ მიაკრავს და თან დაილოცება, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა“ (გვ. 12).

ყოფა-ცხოვრების აღწერისას ავტორს არ ახასიათებს მშრალი და უსულგულო გადმოლაგება ფაქტებისა, იგი ხშირად პირად გრძნობებსაც გვიზიარებს: „აქაურ ნანას გულმოსაკლავი და მწუხარებით სავსე კილო აქვს. ბევრჯელ მსმენია ინგილოური ნანა და ყოველთვის ამ ქვეყნის ბედშავი წარსული თვალწინ წარმომდგომია: მომგონებია დრო შაჰ-აბაზისა, მფლობელობა და ბატონობა ჭარ-ბელაქნელებისა, ელისოს სულთნისა“ და სხვა (გვ 132).

ნიშნობისა და ქორწილის აღწერისას მ. ჯანაშვილი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფაქტიური მასალის გადმოცემით, იგი ამასთანავე აღნიშნავს ამა თუ იმ წესის მნიშვნელობას: „ერთი უგუნური ჩვეულება საინგილოში ის ჩვეულებაა, რომ დედ-მამა თვითონ ვაჟის დაუკითხავად ითხოვენ ხოლმე შვილისათვის ქალსა და ქალის მშობლებიც ასევე იქცევიან. ამისთანა უგუნურ ჩვეულებას ყველამ იცოდეს რა ცუდი ბოლო აქვს, რადგან ბევრჯელ მოხდება რომ ძალად დაქორწინებით ცოლ-ქმარს ცხოვრება სამუდამოდ უმწარდება“ (სასოფლო გაზეთი, 1887, № 20, გვ. 2).

ავტორს დაწვრილებით აქვს გამოანგარიშებული ნიშნობა-ქორწილის დიდი ხარჯები და ამ ხარჯების გამო გლეხის ვალში ჩავარდნა და მისი მამულის ჩალის ფასად ჩარჩ-ვაჭრების მიერ დასაკუთრება.

ეთნოგრაფიული მოვლენების აღწერისას მ. ჯანაშვილი არ არის ძველი, დრომოჭმული მამაკაპური ჩვევების მოტრფიალე და მართებულად აღნიშნავს, რომ ეს მასალა ჩვენ გვეხმარება წარსულის გასაცნობად და გასაშუქებლად. ხალხის ეთნოგრაფიულ შესწავლას იგი უდგება მეცნიერული თვალსაზრისით და მოითხოვს საზოგადოების კულტურულ-ეკონომიური დაწინაურებით ძველი ყოფა-ცხოვრების გარდაქმნას, ახლით შეცვლას.

ცრუმორწმუნეობის აღწერისას მოსე ჯანაშვილი ამბობს, რომ ცრურწმენის ნაშთები საინგილოში ჯერ კიდევ ბევრია, თუმცა თანდათანობით ხალხს ყოველივე ეს მაგდენად აღარა სწამს, არც მკითხავეებისა სწამთ-რა. მან კარგად იცის, რომ ამ მავნე გადმონაშთისაგან ხალხის განთავისუფლება შეიძლება სწავლა-განათლების გზით და იგი ამაში იმედიანად შეჰყურებს ინგილოებს: „საზოგადოდ ინგილოებს ძლიერ ემარჯვებათ სწავლა. აქაურ ხალხს კარ-

66
გად ახასიათებს მათივე მამაკაპური თქმულება: „ნასწავლ კაც ასლანი (ლომი), არ ნასწავლ კი ზროხაჲს“.

ინგილოური ზღაპრებისა და თქმულებების ტექსტები მ. ჯანაშვილს ჩაწერილი აქვს სანიმუშოდ.

თხზულების დასასრულს მოსე ჯანაშვილი მადლობას უცხა-

დებს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას, რომ საქართველოს ყოველმხრივი შესწავლა დაიწყო „ჩემ სამშობლო მარად მზიან საინგილოდამ“.

ამ ნაშრომით მოსე ჯანაშვილმა საფუძველი განუმტკიცა ქართულ ეთნოგრაფიას და იგი ითვლება ქართული ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ფუძემდებლად.

ალ. ინაშვილი

მოსე ჯანაშვილი როგორც არქეოლოგი

გამოჩენილი მკვლევრისა და საზოგადო მოღვაწის პროფესორ მოსე ჯანაშვილის არქივის თუნდაც ზერელე გადათვალიერებითაც კი შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ ის ბევრსა შრომობდა აგრეთვე საქართველოს სიძველეთა შესწავლის დარგში. მას საკუთარი ფეხით შემოუვლია საქართველოს თითქმის ყველა კუთხე თავის თვალთ უნახავს და აუწერია მრავალი ძველი ტაძარი. ქვაზე წარწერანი და ფოტოთი გადაუღია იშვიათი ძეგლები.

ამას გარდა მას არა ერთხელ დაუკმაყოფილებია მაშინდელი ქართველი ახალგაზრდობის წყურვილი გასცნობოდნენ ჩვენ შესანიშნავ ძველ ძეგლებს – ბაგრატის ტაძარს, ჯვარის ტაძარს, შიომღვიმეს, ალავერდს, უფლისციხეს, ვარძიასა და სხვებს.

მოსე ჯანაშვილს განსაკუთრებით ემარჯვებოდა ძველი წარწერების ამოკითხვა. ამ მხრივ იმ დროისათვის შეიძლება ითქვას, მას მეტოქე ძალიან ცოტა ჰყავდა. ბევრი ჩვენი მეცნიერი ეწვეოდა ხოლმე მხცოვან მეცნიერს ამა თუ იმ წარწერის განმარტებისათვის. ისიც მათ თხოვნას დიდი ხალისით აკმაყოფილებდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი ხანგრძლივი ცხოვრების დღენი სავსებით უნაკლოდ მოახმარა მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს წარსულის შესწავლის საქმეს. ამავე დროს მას არც ჩვენი ქვეყნის აწმყო ავიწყდებოდა.

სიცოცხლის უკანასკნელი 10-15 წლის განმავლობაში მას იშვიათად ნახავდით ბინიდან გასულსა ის იჯდა თავის სამუშაო ოთახში და ძალიან ბევრსა შრომობდა. ამ დროს მისი ნახვის მსურველნი მასთან დაიარებოდნენ. მათ შორის იყვნენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ლინგვისტები, ლიტერატორები, პოეტები,

სოფლის მეურნე და სხვანი მრავალნი. ყველა ესენი მის აზრს დიდად აფასებდნენ.

მოსე ჯანაშვილმა დიდი მუშაობა ჩაატარა საქართველოს არქეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლისათვის. ამ მიმართულებით მისი ღვაწლი იმდროინდელმა მოსკოვის არქეოლოგიურმა საზოგადოებამ სათანადოდ შეაფასა და ის აირჩია თავის წევრ-კორესპონდენტად. ამის შესახებ აღნიშნული საზოგადოების 1894 წლის 68

19 მაისის დადგენილებაში წერია: „Во внимание к трудам Вашим По изучению древностей Востока оно (არქეოლოგიური საზოგადოება ა. ი.) в заседании своем 19 сего мая единогласно Избрало Вас в число своих членов-корреспондентов“. შემდეგში იგივე საზოგადოება მოსე ჯანაშვილს მადლობის წერილს უგზავნის ურბნისის სახარების ტექსტის გადაწერის გამო.

მ. ჯანაშვილის შრომებს დიდად აფასებდნენ ისეთი გამოჩენილი არქეოლოგები როგორც იყვნენ, მაგალითად, პ. უვაროვი, ანუჩინი, ტრუტოვსკი და სხვ.

მ. ჯანაშვილის მრავალრიცხოვან არქეოლოგიური ხასიათის შრომებიდან ყურადღებას იპყრობს „კრეტა-მიკენის მსოფლიო და ქართველები“. თბილისი. 1912 (ხელნაწერი). ცნობილია, რომ ევროპელ არქეოლოგებმა, კერძოდ ევანსმა და სხვ. წარსული საუკუნის მიწურულში ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კრეტაზე ჩაატარეს არქეოლოგიური გათხრები. ამ გათხრებმა ცხადყვეს თუ რა დიდი კულტურა ყოფილა აქ განვითარებული. მ. ჯანაშვილმა სცადა ამ განათხარებში მოპოვებული წარწერების თავისებური განმარტება და მეტად საინტერესო დასკვნებამდე მივიდა. შეიძლება თანამედროვე მკვლევარი მ. ჯანაშვილს ყველაფერში არ დაეთანხმოს, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ეს მკვლევარი წარწერების ამოკითხვასთან დაკავშირებით გასცნობია მრავალ წყაროს, გამოუყენებია და საფუძვლიანად შეუსწავლია ამ საკითხის ირგვლივ არსებული რუს, უცხო და ქართველ მკვლევართა ნაშრომები.

მოსე ჯანაშვილი განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ურარტუს წარწერათა ამოკითხვაზე. ამ მხრივ საინტერესოა მისი წერილი სათაურით „Из прошлого Грузии“ (ответ г. Габ-янцу). „Новое обозрение“ № 6413. 1903.

მოსე ჯანაშვილს მრავალი წერილი აქვს დაბეჭდილი ადგილობრივ რუსულსა და ქართულ პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე მოსკოვის სპეციალურ ორგანოებში შატბერდის, ხახულის, ტბეთის, ფარხალის, ოპიზისა და მთელი ძველი მესხეთის სხვა დიდებული ძეგლების შესახებ. მკვლევარი გულისტკივილით აღნიშ-

ნავს თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნენ ეს ძეგლები ადგილობრივი ქართველების იძულებით გამაჰმადიანების შემდეგ, თუ როგორ გაპარტახდა ეს მხარე, რომელმაც მისცა ძველ საქართველოს არა ერთი მწიგნობარი, მთარგმნელი, მხედართმთავარი, ხუროთმოძღვარი და სხვ.

1898 წელს ვინმე პასტორ ფაბერს, არარატის მახლობელ სოფელ ტაშბურუნიდან წარუტაცია ერთი ქვა ლურსმული წარწერით.

69

ამის შესახებ მ. ჯანაშვილი აღწვთებით აღნიშნავს, რომ „მრავალი სიძველენი მოგვეპოვება, მაგრამ მათი ღირებულების მცოდნენი – კი, სამწუხაროდ, ნაკლებად არიან, რის გამოც არა ერთი ტაშბურუნული ძეგლი უვარდება ხელთ ფაბერებსა და არა ერთი ჩვენი კულტურის საუნჯე ხდება უცხო სახელმწიფოთა მუზეუმების დამამშვენებლად“ (Новое обозрение, № 4900).

მ. ჯანაშვილი ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში, ეხება რა კ.უვაროვის წიგნს „Материалы по археологии Кавказа“, აღნიშნავს, რომ აჭარაში, შავშეთში, აფხაზეთსა და ოსმალეთის საქართველოს რიგ კუთხეებში დღემდის დარჩენილია მრავალი ძველისძველი ხიდი, რომლებაც გადაკიდულია თვალუწვდენელ უფსკრულებზე, თითო თალიანებია, და ისე მკვიდრად აშენებული და დადუღებული, რომ ახლაც შეადგენენ ერთ-ერთ საიმედო გზას. უვაროვი იხსენიებს ისეთ ნაშენებსაც, რომელთა შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება ვახუშტის გეოგრაფიაში. ამ ძეგლების შესახებ მ. ჯანაშვილი წერს: „ყურადღებას იპყრობს ტაძარ-მონასტრების სურათ-ხატები, უყურებ ამ შესანიშნავ ძეგლებს ფოთლებით, ყვავილებით, ფერადებით დიდ ხელოვნურად გამოქანდაკებულთ და გული გწყდება, რომ ამდენი ნაშთები და მათი მიდამოხრად და ვერანად გადაქცეულან. მათ არემარეზე აღარ გაისმის. ოროველა და ჰოპუნა ქართველი მუშაკისა, ყველა ამ მშვენიერ ნაშთების ამშენებელი ერისა“.

1906 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა მორელიმა „journal royal Asiatic Society“-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიც მოსე ჯანაშვილის შესახებ ამბობს შემდეგს: „დაულალავი არქეოლოგი მ. ჯანაშვილი, რომელმაც თავისი შრომით დიდი სამსახური გაუწია საქართველოს... ამგვარად ღირსეული გამგე მუზეუმისა დასავლეთის მეცნიერების დიდად საბედნიეროდ იკვლევდა თავის ქვეყნის ისტორიას, ეთნოლოგიას და ლიტერატურას... ვუსურვებთ მ. ჯანაშვილს ყოველ წარმატებას მისს სასარგებლო სამეცნიერო შრომაში“.

მ. ჯანაშვილს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავ-

კასიის განყოფილების წევრთა კრებაზე 1917 წელს წაუკითხავს მოხსენება ძველი ქართული 8 ხელნაწერის შესახებ. ამ უკანასკნელებში ლაპარაკია კონსტანტინოპოლის გარემოცვის შესახებ 621 წელს. მოსე ჯანაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ხელნაწერებში მოხსენებული არიან სკვითები აგრეთვე რუსებად. ამ საკითხს – არსებობდნენ თუ არა 621 წელს „როსები“ საზოგადოების წევრთა შორის დიდი ინტერესი გამოუწვევია. იმავე საზაადოების სხვა

70

სხდომაზე მ. ჯანაშვილი ეხება საქართველოში ანბანის შემოღების საკითხს, არჩევს ერთაწმინდის ერთ ხელნაწერს, რომელიც ეხება ბიზანტიის ოსმალთა მიერ აღების თარიღს და სხვ.

მ. ჯანაშვილს წერილში „სასახლეები საქართველოში“ (საქართველოს რესპუბლიკა. № № 289, 291. 1920) განხილული აქვს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აშენებული 47 სასახლე.

ცნობილ არქეოლოგ დ. ბაქრაძეს ამოუკითხავს არმაზის ტაძრის ერთ-ერთი წარწერა. მოსე ჯანაშვილი იმავე წარწერას სულ სხვაგვარად განმარტავს და დამარწმუნებლად მიუთითებს შეცდომებზე, რომლებიც დ. ბაქრაძეს დაშვებული აქვს ტექსტის განმარტებისას (Кавказ, № 122. 1892).

მოსე ჯანაშვილის მრავალრიცხოვან არქეოლოგიური ხასიათის ნაშრომთა შორის შეიძლება აღვნიშნოთ „არქეოლოგიურ კრებაზე“ (დროება, № 199. 1881), „ანჩისხატის ეკლესია“ (დროება, № 83, 1889), „საინგილო (არქეოლოგია)“ („ივერია, № 168, 1894), „ტბეთის სვეტი შავშეთში“ (სახალხო გაზეთი, № 955, 1913), „Лагодехский храм (Кавказ, № 33, 1884,) Вардзийский монастырь“ (Новое обозрение, № 2638, 1884,) „Археологические заметки о Кавказе“ (Кавказ, № 315, 1897), „К археологии Кавказа“ (№ 100 1894), „Историко-археологический очерк Гурии, Чорохского бассейна и Чанети“ (Батум и его окрестности. 1906, стр. 27 – 86), „Исторические приписки Эртацминдского“ храма (Известия Кавк. отд. археологического общ. вып. III, 1913, стр. 177 – 184), „Надписи древних памятников Кахетии, Дагестана и Чечни. Лагодехская надпись царя Агсартана“ (ხელნაწერი) და სხვა.

მოსე ჯანაშვილს მრავალი დაუბეჭდავი შრომა დარჩა, რომლებიც შეეხება საქართველოს სიძველეთა აღწერისა და შესწავლის საქმიანობას.

არჩ. ჯანაშვილი

მოსე ჯანაშვილი და საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებანი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, დამსახურებული პროფესორი მოსე ჯანაშვილი ეკუთვნოდა იმ მკვლევართა რიცხვს, რომელნიც უანგაროდ იღვწოდნენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სულიერი და მატერიალური კულტურის შესწავლისა და გამომზეურებისათვის, იბრძოდნენ იმისათვის, რომ მეცნიერებაში გზა გაეკაფათ მომავალი თაობისათვის. ეს პატრიოტული მოვალეობა მათ, და მათ შორის მოსე ჯანაშვილმა ბრწყინვალედ შეასრულეს.

მრავალფეროვანი იყო მოსე ჯანაშვილის საქმიანობა. ის იყო უანგარო მკვლევარი, დაუღალავი საზოგადო მოღვაწე, ენერგიული, ენთუზიასტი და თავდადებული პედაგოგი.

მოსე ჯანაშვილს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში ახასიათებდა მეტად ფართო დიაპაზონი. იგი ეხება მეცნიერების სხვადასხვა დარგს. რომელთაგან ზოგიერთს ურთიერთთან კავშირიც კი არა აქვს. მის ძირითად კვლევის საგნებს წარმოადგენენ ისტორია. ქართული ენა, ქართული ლიტერატურის ისტორია. მწერლობა. ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ბიბლიოლოგია, ნუმისმატიკა და სხვ. ამავე დროს იგი წერს შრომებს გეოგრაფიიდან, სოფლის მეურნეობიდან და ფაუნისტიკიდანაც კი.

ჩვენ ქვემოთ განვიხილავთ მოსე ჯანაშვილის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც ეხება საბუნებისმეტყველო და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა ზოგიერთი დარგის პოპულარიზაციის საქმეს.

მოსე ჯანაშვილმა ფასდაუდებელი ამაგი დასდო ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფიის“ გამოცემის, თარგმნისა და პოპულარიზაციის საქმეს.

როგორც ცნობილია, გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა, – ისტორიკოსმა და გეოგრაფმა, – ვახუშტი ბატონიშვილმა 1745 წელს დაამთავრა თავისი ერთ-ერთი უდიდესი ნაშრომი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია)“, რომელიც,

72

მიუხედავად ხანდაზმულობისა, დღესაც არაა მეცნიერულ ინტერესს მოკლებული.

ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ თითქმის ასი წლის განმავლობაში ხელნაწერის სახით ინახებოდა. იგი პირ-

ველად 1842 წელს ს.-პეტერბურგში, ქართულსა და ფრანგულ ენებზე ერთ წიგნად გამოსცა მარი ბროსემ.

ამის შემდეგ განვლო 50 წელმა. სანამ ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიას“ მეორედ გამოცემა ელირსებოდა და სათანადო გულშემატკივარი მკვლევარი მოევლინებოდა.

ასეთი იყო მოსე ჯანაშვილი. რომელმაც განიზრახა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის“ არა მარტო ქართულ ენაზე გამოქვეყნება, არამედ რუსულად თარგმნა და გამოცემა.

1892 წელს მოსე ჯანაშვილმა გამოაქვეყნა ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის“ პირველი ნაწილი სათაურით: „ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოს გეოგრაფია. I წიგნი. სამცხე. ვახუშტის საზოგადო „მესავალი“-თურთ“, ამ წიგნს დართული აქვს მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი ვუხუშტი ბაგრატიონის მოკლე ბიოგრაფია, შენიშვნები და განმარტებანი.

როგორც მ. ჯანაშვილი მოგვითხრობს „ამ წიგნის ტექსტი დაიბეჭდა შედარებით ვახუშტის გეოგრაფიის სხვადასხვა ვარიანტისა“. ერთი ამ ვარიანტთაგანი გადაწერილია 1774 წელს¹. შემდეგ გამომცემელი განაგრძობს რომ დასახელებული „გამოცემა იბეჭდება ბროსესაგან დასტამბულ „გეოგრაფიიდან“, რომელიც გადმოიბეჭდილია თვით ვახუშტის ხელ-ნაწერ დედნიდან უცვლელად“².

1895 წელს მოსე ჯანაშვილმა გამოსცა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის მეორე ნაწილი სათაურით: „ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. II წიგნი. ქართლი“. წიგნს დართული აქვს მ. ჯანაშვილის შენიშვნები და განმარტებანი.

როგორც ჩანს, მ. ჯანაშვილს თავდაპირველად განზრახული ჰქონია ვახუშტის „საქართველოს გეოგრაფიის“ გამოცემა ხუთ წიგნად ცალკე თავების შესაბამისად. ამის შესახებ მ. ჯანაშვილი მოგვითხრობს: „მიხედვისამებრ ვახუშტის წეს-რიგისა პირველ წიგნად დაიბეჭდა შესავალი და გეოგრაფია სამცხისა. მეორე წიგნად დავბეჭდავთ გეოგრაფიას ქართლისას, მესამედ – კახეთისას,

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. I წიგნი. სამცხე. გამოცემა მ. ჯანაშვილისა. ტფილისი. 1892. დამატება, გვ. 47.

² იქვე, გვ. V

მეოთხედ – იმერეთისა და ოვსეთ-კავკასიელთას, მეხუთე წიგნად გამოვა ვრცელი ჩვენი წინასიტყვაობა, რომელშიაც წარმოვადგენთ განმარტებას სხვა-და-სხვა საეჭვო და ვახუშტის მიერ განუმარტველ საკითხავთა და სიტყვათა (ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიულთა და სხ.) და აგრეთვე დამატებით ცნობების შესახებ სხვა-და-სხვ

ადგილთა, შენობათა, წესთა და სხ.“¹.

ცალკეულ ნაკვეთებად და, ამასთან, პატარა ფორმატის წიგნაკების სახით ვახუშტის „გეოგრაფიის“ გამოცემას მ. ჯანაშვილი ამართლებს იმით, რომ „ადვილ ხმარებისათვის ჩვენი გამოცემა მცირე ზომისა დავიჭირეთ“².

შემდეგში მ. ჯანაშვილს ამ განზრახვისაგან ხელი აუღია და ვახუშტის „გეოგრაფიის“ მთლიანად გამოცემა უმჯობინებია.

როგორც ირკვევა, მოსე ჯანაშვილს შედგენილი ჰქონია „საქართველოს გეოგრაფია“, მაგრამ მისი დაბეჭდვა აღარ განუხორციელებია. ამის შესახებ ის წერს: „საქართველოს გეოგრაფია შედგენილი მქონდა 1884 წელსვე, მაგრამ, ჩვენზედ დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ დაიბეჭდა“³. ეს შეიძლება აიხსნას შემდეგი გარემოებითი როდესაც მოსე ჯანაშვილს თავისი „გეოგრაფია“ შეუდარებია ვახუშტის „გეოგრაფიისათვის“ დარწმუნებულა, რომ „ვახუშტის გეოგრაფია შემკულია დიდის ღირსებით და ეს გეოგრაფოსი დაწვრილებითაც აღწერს ყოველს კუთხეს და ადგილს საქართველოსასა, ამიტომ საჭიროდ ვცანით მისი შრომის დაბეჭდვა“⁴. საყურადღებოა, რომ შემდეგში მხცოვან მეცნიერს თავისი „გეოგრაფია“ გადაუკეთებია, მაგრამ მისი გამოცემა აღარ უცდია. ამჟამად მ. ჯანაშვილის არქივში ინახება ზემოაღნიშნული გეოგრაფია შემდეგი სახელწოდებით: „მსოფლიო და საქართველოს გეოგრაფია“. თარიღი ისევ ძველი (1884) აქვს დატოვებული.

მ.ჯანაშვილი ვახუშტის „გეოგრაფიის“ გამოცემისას არ დაკმაყოფილებულა მ. ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტით და პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიიდან გამოუთხოვია ამ წიგნის დედანი. ეს უკანასკნელი მ. ჯანაშვილს გულდასმით შეუსწავლია, გაუანალიზებია და დაურთავს მისთვის ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა.

¹ ვახუშტი ბატონიშვილი. საქართველოს გეოგრაფია. I წიგნი. სამცხე. გამოცემა მ. ჯანაშვილისა. ტფილისი. 1892. გვ. IV – V.

² იქვე გვ. V.

³ იქვე, გვ. IV.

⁴ იქვე, გვ. IV.

მ. ჯანაშვილმა, გულდასმით შესწავლის შემდეგ, ვახუშტის გეოგრაფია გამოსცა 1904 წელს სათაურით; „ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით. რედაქცია მ. ჯანაშვილისა“.

თუ რა დიდი ამაგი გაუწევია მხცოვან მეცნიერს ვახუშტის „გეოგრაფიის“ მიმართ თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ამ წიგნს დარ-

თული აქვს მ. ჯანაშვილის მეცნიერული ნარკვევი 120 გვერდის მოცულობით. ამავე დროს ვახუშტის „გეოგრაფიის“ ძირითად ტექსტს სქოლიოში დართული აქვს მ. ჯანაშვილის 530 შენიშვნა, რომლებიც აწყობილია პეტიტით და საერთო ჯამში შეადგენენ 104 გვერდს. ამგვარად, მ. ჯანაშვილს ვახუშტის „გეოგრაფიისათვის“ დაურთავს იმაზე მეტი მეცნიერული ნარკვევი და შენიშვნები, ვიდრე თვით ვახუშტისეული „გეოგრაფიის“ ძირითადი ტექსტია (ეს უკანასკნელი დაახლოებით 220 გვერდს შეადგენს).

იმავე 1904 წელს მ. ჯანაშვილმა ვახუშტის „გეოგრაფია“ თარგმნა რუსულად, რომელიც რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გამოსცა შემდეგი სათაურით: „Царевич Вахушти. География Грузии. ЗКОРГО, V вып. , кн-XXIV“. თარგმანსაც წარმძღვარებული აქვს მ. ჯანაშვილის ვრცელი გამოკვლევა და შენიშვნები.

როგორც ზევეითაც აღვნიშნეთ, მოსე ჯანაშვილს დიდი ამაგი-აქვს გაწეული იმისათვის, რომ ვახუშტის „გეოგრაფიის“ ტექსტი დაედგინა რაც შეიძლება სრულყოფილად. ამ მიზნით მას გამოუყენებია რამდენიმე ვარიანტი. ჩვენს ბიბლიოთეკაში ინახება მ. ჯანაშვილის მიერ გამოცემული „სამცხისა“ და „ქართლის“ ის ეგზემპლარები, რომლებიც გამომცემელს (მ. ჯანაშვილს) თავისი ხელით (მელნით და ფანქრით) შეუსწორებია, როგორც ჩანს, რონელილაც ვარიანტთან შედარებისას. საყურადღებოა, რომ ამ ჩანასწორებთა დიდი ნაწილი არ ემთხვევა მოსე ჯანაშვილის მიერ-1904 წელს გამოქვეყნებულ ვახუშტის „გეოგრაფიის“ ტექსტს, რომელიც უკვე სხვა ვარიანტის მიხედვითაა დაბეჭდილი.

„სამცხის“ ერთ-ერთ ეგზემპლარზე მ. ჯანაშვილის ხელით მიწერილი აქვს: „ვარიანტი № 281: „მაღალაშვილი ნიკალაოსი – მდივნის ნაწერი დედანზე გადავწერე წელსა ჩლოდ 1774 თთვესა იანვარსა კდ, სანკტპეტერბურგში“.

მ. ჯანაშვილი ვახუშტი ბაგრატიონს, როგორც მეცნიერსა და მკვლევარს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის მუშაობაში. მან ცალკე გამოკვლევა უძღვნა ვახუშტისა და მის შრომებს და დაწერა ნაშრომი სახელწოდებით: „ვახუშტი და მისნი

75

შრომაში“, რომელიც შეიცავს 45 გვერდს და ამჟამად ხელნაწერის სახით ინახება.

მოსე ჯანაშვილის გეოგრაფიულ ნაშრომთა შორის საჭიროა დასახელებულ იქნას „საქართველოს დედაქალაქი თბილისი“, რომელიც მან გამოსცა 1889 წელს. ეს ნაშრომი პირველად დაიბეჭდა აკაკის კრებულში ამ წიგნში, რომელიც შეიცავს 180 გვერდს,

გარდა თბილისის დაარსების ისტორიისა და სხვა სახის მასალებისა მოცემულია მისი მოკლე გეოგრაფიული ცნობებიც.

გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომს წარმოადგენს მ. ჯანაშვილის „Гори и его окрестности, რომელიც დაიბეჭდა 1905 წელს კრებულში Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXXIV“. შემდეგში ამავე საკითხისათვის მოსე ჯანაშვილს დამატებითი წერილი მიუძღვნია, რომელიც გამოუქვეყნებია „Закавказская речь“-ში (№ 76, 1914).

მოსე ჯანაშვილს საინტერესო გეოგრაფიული ცნობები აქვს მოცემული საინგილოს აღწერისას¹, რომლებიც დღესაც არ არიან მეცნიერულ ღირებულებას მოკლებული. ამ ნაშრომში, საინგილოს ზოგადი გეოგრაფიული მიმოხილვის გარდა, მოცემულია დაწვრილებითი აღწერილობანი ცალკეული მხარეებისა და „შესანიშნავი სოფლებისა და ქალაქებისა“².

მ. ჯანაშვილს „საინგილოში“ საკმაოდ დაწვრილებით აქვს გადმოცემული იმდროინდელი საინგილოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, მოსაქმეობა, სოფლის მეურნეობა და სხვ. აქ დაწვრილებით ვეცნობით თუ როგორ თესდნენ და მოჰყავდათ ინგილოებს ჩალთუქი (ბრინჯი), ხორბალი, ფეტვი და სხვ.³.

მოკლე გეოგრაფიულ ცნობებს გვაწვდის მ. ჯანაშვილი „კახის უბნის“ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით აღწერისას⁴.

მ. ჯანაშვილს ცალკე შრომაში საკმაოდ დაწვრილებით აქვს განხილული ზაქათლის ოლქის რელიეფი, ნიადაგები, ფლორა, ფაუნა, კლიმატი, მინერალური სიმდიდრენი. ამავე შრომაში აღწე-

¹ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საინგილო. „ძველი საქართველო“. ტ. II, ცალკე ამონაბეჭდი. თბილისი. 1913. გვ. 3 – 41.

² იქვე

³ იქვე. გვ. 46 – 60.

⁴ М. Д ж а н а ш в и л и. Краткий очерк Кахского участка в географическом, этнографическом и сельскохозяйственном отношении. „Труды Кавказского общества сельского хозяйства“. № 3, 1887.

76

რილია აგრეთვე ხალხის მოსაქმეობა – მიწათმოქმედება. მეცხოველეობა, მებაღეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა ¹.

1915 წელს მ. ჯანაშვილმა გამოსცა ბროშურა „მესხეთი“ (24 გვერდი), რომელშიც მოცემულია მესხეთის როგორც ზოგადო გეოგრაფიული, ისე ცალკეული ქალაქებისა და სოფლების აღწერილობა. ამავე ბროშურაში მოკლედ მოთხრობილია მესხეთის ისტორია და ხალხის მოსაქმეობა. ნაშრომს დართული აქვს რუკა სა-

თაურით – „მესხეთი“. აქვე უნდა დავუმატოთ რომ „მესხეთის“ მასალები მ. ჯანაშვილს უფრო ადრე გაზეთში ჰქონია გამოქვეყნებული².

ყურადღებას იპყრობს მ. ჯანაშვილის შრომა „მცხეთა“ და-მისნი მიდამონი“³, რომელშიც გარდა გეოგრაფიული ცნობებისა მოცემულია აღნიშნული ადგილების ისტორიული მიმოხილვაც. აღსანიშნავია რომ უფრო ადრე ამ ნაშრომის სათაური ყოფილა „საქართველოს დედაქალაქი მცხეთა და არმაზი“ (1900), ხოლო შემდეგში იგი ძირფესვიანად გადაუკეთებია, მაგრამ მისი გამოცხობა მაინც ვერ მოუხერხებია.

შრომაში „არაგვის ხეობა“, გარდა აღნიშნული ხეობისა, მ. ჯანაშვილს გეოგრაფიული თვალსაზრისით მოკლედ აღწერილი აქვს ბაზალეთი, გუდამაყარი, მთიულეთი და ხევი.

მოკლე გეოგრაფიული ცნობები აქვს წარმდგარებული ნაშრომს „გორის აწმყო და წარსული“⁴.

გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომთა შორის ყურადღებას იპყრობს მ. ჯანაშვილის თხზულება „Абхазия и абхазцы“⁵, რომელშიც საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული აზხაზეთის ხალხის მოსაქმეობა და ეკონომიური ვითარება, გეოგრაფია და სხვ.

მ. ჯანაშვილი დიდად იყო დაინტერესებული საქართველოს ყველა კუთხის დაწვრილებითი ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლით. ის აუცილებლად თვლიდა, რომ „საპიროს საქართველოს ნაწილების შესწავლა ყოველ მხრივ“⁷. მაგრამ ამავე დროს ესმოდა, რომ ასეთი დიდი საქმის დაძლევა ერთი კაცი ვერ შესძლებდა

¹ М. Джанашили. Закатальский округ. (76 გვერდი).

² მ. ჯანაშვილი. მესხეთი. გეოგრაფიულ-ისტორიული მიმოხილვა. საქართველო, № № 45, 46. 1915.

³ მ. ჯანაშვილი. მცხეთა და მისნი მიდამონი 1918 (ხელნაწერი),

⁴ მ. ჯანაშვილი. არაგვის ხეობა. 1907 (ხელნაწერი).

⁵ მ. ჯანაშვილი. გორის აწმყო და წარსული. ქართლი. № 1.

⁶ М. Джанашили. Абхазия и абхазцы. ЗКОРГО, кн. XVI. 1893.

⁷ მ. ჯანაშვილი. მესხეთი. თბილისი. 1915. გვ. 23.

და ამიტომაც იყო, რომ ის მოუწოდებდა ყველა მეცნიერსა და მოღვაწეს, რომ საჭიროა „ჩავჭიდოთ ხელი ერთმანეთს და პატიოსანის შრომით აღვაყვავილოთ ჩვენი მარადმზიანი ტურფა სამშობლო“¹ სათანადო მეცნიერული ნარკვევებითა და გამოცემებითო.

მ. ჯანაშვილის ამ ოცნებათა და კეთილი სურვილების განხორციელება შესაძლებელი გახდა მხოლოდ საქართველოში საბჭო-

თა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც საქართველოს „ყოველ მხრივ“ შესწავლას აწარმოებენ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები, უმაღლეს სასწავლებელთა სათანადო კათედრები და სხვ.



მოსე ჯანაშვილი ბევრს წერდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებებიდანაც. ის მუდმივი კორესპონდენტი იყო გაზეთ „მეურნესი“. საყურადღებოა, რომ ზოგჯერ აღნიშნული გაზეთის ზოგიერთი ნომერი მხოლოდ მოსე ჯანაშვილის წერილებს შეიცავდა. ამის შესახებ ეს მცოვანი მეცნიერი თავის ავტობიოგრაფიაში წერს: 1889 „წელს რედაქტორ ვ. სულხანიშვილის მინდობილობით მისი გაზეთის „მეურნის“ ნომრები 18-დან 34-მდე გამოვიდა ჩემი გამგებლობით და ამ ნომრებში მოთავსებული წერილები თითქმის ყველა ეკუთვნის ჩემს კალამს. აქ მომყავს ზოგიერთი“². ამ ზოგიერთ წერილთა შორის მ. ჯანაშვილს ჩამოთვლილი აქვს შემდეგი: „ნიორი“, „ამერიკის ვაზი“, „ჩალთუკი (ბრინჯი)“, „ნესვი და საზამთრო“, „ალუბალი. კომში. ატამი. ნუში“, „კინკრუჟა“, „ზეთისხილი“, „სასარგებლო მცენარენი“, „ბამბა“, „თესლით ხილნარის მოშენება“, „ტყის მეურნეობის შესახებ“, „პირუტყვის ავადმყოფობანი“, „რძე“ და სხვ.

აღსანიშნავია მ. ჯანაშვილის ბროშურა „ბამბა და მისი მოშენება“ (1889), რომელიც წარმოადგენს გაზეთ „მეურნეში“ გამოქვეყნებული წერილის გადამუშავებულ ვარიანტს. ეს ბროშურა გამოქვეყნებულია ფსევდონიმით – „მ. ჯ – ლი“. აქვე უნდა აღვნიშნოთ. რომ დასახელებული ბროშურა აღნუსხულია „ქართული წიგნის“ პირველ ტომში (№ 1231), მაგრამ მისი ავტორის ვინაობა „რედაქციას, როგორც ჩანს, ვერ დაუდგენია“³. ცხადია „ქართული წიგნის“ რედაქციას უცნაურად ეჩვენა ფსევდონიმი „მ. ჯ – ლი“ მიეკუთვნა

¹ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. მესხეთი. თბილისი. 1915. გვ 23.

² მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ჩემი ამბვედი და ჩემი ნაწერები. 1926. (ხელნაწერი) გვ. 79.

³ ქართული წიგნი. ტ. I. თბილისი. 1941. გვ. 498.

78

ნებია მოსე ჯანაშვილისათვის, რომელიც ცნობილია როგორც ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი. პრქეოლოგი და სხვა და არა როგორც სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა მცოდნე.

სამეურნეო ხასიათის შრომებიდან ყურადღებას იპყრობს მ. ჯანაშვილის წერილი „კახის უბნის“ სოფლის მეურნეობის მდგო-

მარეობის შესახებ ¹. ასევე ითქმის თბილისის მაზრის სოფლის მეურნეობის შესახებაც ².

მ. ჯანაშვილს ყურადღების გარეშე არა რჩებოდა საინგილოს სამეურნეო ვითარება, კერძოდ მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საქმიანობა. ამ საკითხს მან საკმაოდ ვრცელი წერილი მიუძღვნა ³.

მ. ჯანაშვილი გარკვეულ ყურადღებას აქცევდა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ამა თუ იმ სახის მცენარის კულტურის განვითარების საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილები: „Волошский орех и его культура (Кавказское сельское хозяйство, № 48, 1894), „Культура“ риса в Закатальском округе“ (Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 12, 1889), „По Культуре риса“ (Новое обозрение, № 64, 1895).

მ. ჯანაშვილი საინტერესო ცნობებს, თუმცა მეტად მოკლედ, იძლევა თრიმლის მეურნეობის შესახებ საინგილოში ⁴.

განსაკუთრებული გულმოდგინეობით აქვს აღწერილი მ. ჯანაშვილს საინგილოში მეაბრეშუმეობის მდგომარეობა და განვითარება. ამ საკითხს ეხება მისი წერილი „აბრეშუმის მრეწველობა საინგილოში“ (ივერია. № № 87, 92, 112, 116. 1886). იმავე თემას მ. ჯანაშვილი უფრო დაწვრილებით ეხება თავის თხზულებაში „საინგილო“⁵. ამ ნაშრომში მკვლევარი იძლევა „აბრეშუმის მოყვანა-მრეწველობის“ მოკლე ისტორიულ მიმოხილვას არა მარტო საინგილოში, არამედ მთელ საქართველოში. აქვე ვეცნობით აბრეშუმის ჭიის მოვლისა და აბრეშუმის პარკის სამრეწველო დამუშავებას საინგილოს პირობებში.

¹ М. Джанашивили. Краткий очерк Кахского участка в географическом, этнографическом и сельскохозяйственном отношении. Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 3, 1887.

² მ. ჯანაშვილი. ტფილისის მაზრა. ისტორია. ეტნოგრაფია. მეურნეობა. ივერია. № № 12, 23, 1890.

³ М. Джанашивили. Винограводство и виноделие в Закатальском округе: Труды Кавказского общества сельского хозяйства, № 12. 1887.

⁴ მ. ჯანაშვილი. საინგილო. თბილისი. 1913. გვ. 60

⁵ იქვე, გვ. 64 – 81.

საქართველოში სოფლის მეურნეობის საერთო მდგომარეობისადმი მიძღვნილი მისი წერილი „ჩვენი ცხოვრება (სასოფლო საქმე)“ (საქართველო, № 20, 1915).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხცოვან მკვლევარს მეტად აწუხებდა საქართველოს საგრძნობ ადგილებში ჭაობების არსებობა.

ის ფიქრობდა ამა თუ იმ სახის, თუმცა მეტად მარტივს, ღონის-
ძიებებზე ჭაობთა ამოშრობისათვის. ამ საკითხისადრეა მიძღვნილი
მისი წერილი „Рис как осушитель болот“, Кавказское сельское
хозяйство. № 60. 1895.

* * *

მოსე ჯანაშვილი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ბუნებისმე-
ტყველ მეცნიერთა საქმიანობაშიც. საკმარისია აღინიშნოს რომ,
1913 წელს თბილისში შემდგარ „რუსეთის ბუნებისმეტყველთა და
ექიმთა XIII ყრილობაზე“ მოსე ჯანაშვილი გამოვიდა შესავალი
და საპროგრამო სიტყვით¹ და აქტიური მონაწილეობა მიიღო მის
მუშაობაში.

მ. ჯანაშვილი რომ საბუნებისმეტყველო დისციპლინებს იც-
ნობდა და ერკვეოდა მათში, მოწმობს ის ფაქტიც, რომ ის ხში-
რად გამოდიოდა საბუნებისმეტყველო ხასიათის ამა თუ იმ ნაშ-
რომის კრიტიკითაც და წერდა მათ შესახებ ბიბლიოგრაფიულ
სტატეებს².

მ. ჯანაშვილს რამდენიმე წერილი აქვს გამოქვეყნებული
ცხოველების შესახებაც. ამ მხრივ საყურადღებოა მისი წერილები
„Павлин на Кавказе“ (Новое обозрение, № 3731, 1893), „Кав-
казский фазан“ (Кавказское сельское хозяйство, № 45, 1894).
შემდეგში ხოხბის შესახებ მ. ჯანაშვილს მოთხრობილი აქვს „საინ-
გილოშიც“³. ამავე თხზულებაში ავტორი მოკლედ მოგვითხრობს
ფუტკრისა და საინგილოს პირობებში მისი მოვლის შესახებაც⁴.
მ. ჯანაშვილს მეტად საინტერესოდ აქვს აღწერილი შველზე ნადი-
რობა⁵.

¹ М. Джанашивили. Речь в Сионском соборе пред членами XIII
съезда русских естествоиспытателей и врачей. Дневник съезда. № 1. 1913.

² მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. ბიბლიოგრაფია. ი. ყიფშიძე. Краткие сведения о
горных богатствах Грузии. ბ. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი პრიქტიკული ჰიდ-
რაულიკა. ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. № 1. 1920.

³ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. საინგილო. თბილისი 1913. გვ. 61.

⁴ ი ქ ვ ე, გვ. 63

⁵ მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი. შველზე ნადირობა (მამის ნაამბობი), 1875. (ხელნა
წერი).

მოსე ჯანაშვილის მრავალრიცხოვანსა და ნაირფეროვან ნაშ-
რომთა შორის ყურადღებას იპყრობს პატარა ბროშურა „მერცხა-
ლი“, რომელიც შეიცავს 35 გვერდს და გამოცემულია 1881 წელს.
ამ პატარა ბროშურაში მეტად გასაგები და მხატვრული ენით აღ-
წერილია ერთი წყვილი მერცხლის ცხოვრება „სარკინეთის მთის

ძირში, მტკვრის პირას, ერთ სოფელში“ არსებულ ერთ-ერთ სა-
ხლში. როგორც დასახელებული ბროშურის თავფურცლიდან ჩანს
„მერცხალი“ არის „შმიდტის მოთხრობიდან გამდმოკეთებული
მ. ჯან – საგან“. აღსანიშნავია, რომ „მერცხალი“ მოსე ჯანაშვილის
ნაშრომებს შორის პირველი წიგნად გამოქვეყნებული თხზულებაა.

საყურადღებოა, რომ ეს ბროშურა „ქართული წიგნის“ პირველ
ტომში, რომელიც 1941 წელს დაიბეჭდა, არაა წარმოდგენილი,
როგორც ჩანს, ბიბლიოგრაფიული იშვიათობის გამო.

მოსე ჯანაშვილი

ჩემი ნაწერები

I ცალკე წიგნებად დაბეჭდილი

1881

1. მერცხალი. გამდმოკეთებულია შმიდტის მოთხრობიდან. ყრმათა
საკითხავი წიგნაკია. (გვ. 31).

1884

2. საქართველოს მოკლე ისტორია. გამოც. თამარ ქართველიშვილისა
სულ 240 გვ. მოწონებულია უმაღლეს მთავრობის მიერ ქარ-
თულ სკოლების სახელმძღვანელოდ. როგორც პირველმა სა-
ხელმძღვანელომ საქართველოს ისტორიისა და იმსახურა შე-
საფერი ყურადღება საზოგადოებისა, განსაკუთრებით კი ვახ-
ტანგ ორბელიანისა და მისი წრის მოღვაწეთა. მის გამოსვლას
მიეგება აგრეთვე გაზ. „Кавказ“ (1895 წ. № 75).

¹ ამოღებულია: მ. ჯანაშვილი: ჩემი ამბვედი და ჩემი ნაწერები. თბილისი.
1926. (ხელნაწერი). გვ. 72 – 132.

მ. ჯანაშვილს თავისი შრომების საკმაოდ დიდი ნაწილი გამოქვეყნებული
აქვს სხვადასხვა ფსევდონიმით. აქ მოგვყავს უმთავრესი:

„ესომ“

М. Д – ли.

ე – მ

М. Дж.

პ. პ.

М. Дж – вили.

ბერი	Дж.
ლასურიძე	М. Гиоргидзе.
მ. ჯ.	М. Георгидзе.
მ. ჯ – ლი	М. Г – ძე
მ. ჯან – საგან	Нео-археолог
მორწმუნე	Ан – ский
ვინმე ქართველი	Э.
М. Д.	რედაქტორი.
М. Д – й	

82

1886

- საქართველოს საეკლესიო ისტორია. გაზეთ „მწყემსის“ გამოცემა. მოწონებულია სასულიერო სასწავლებელთა სახელმძღვანელოდ. (გვ. 150).

1887

- Краткий очерк Кахского участка. სამეურნეო ხასიათის წიგნია და პირველად დაიბეჭდა თბილისის სამეურნეო საზოგადოების ჟურნალში Труды Кавк. общ. Сельск хозяйства. (გვ. 29).

1889

- ისტორია მართლმადიდებელ ეკლესიისა. გამოც. გ. ასათიანისა და ნ. მაჭარაშვილისა... მის შესახებ Новое обозрение. 1890 № 2169. (გვ. 104).

1891

- მწერლობა მე-X საუკუნისა. (გვ. 48). მის შესახებ Кавказ. 1891. № 1255ю
- საუნჯე მე-X საუკუნისა. გამოკვლევაა შესახებ ნოტებიანი ტყავზე ნაწერის წიგნი № 425. დართული აქვს თვით ნოტების ნიმუშებიც და ტბეთის ეპისკოპოსის იოანესი. (გვ. 53).
- აღვადგინე, „სამი ისტორიული ქრონიკა“ და „წმ. ნინოს ცხოვრების შესასწორებელი სახელმძღვანელო.

1892

- საქართველოს გეოგრაფია. სამცხე. (ვახუშტისა) გვ. 45 + XXXV.

1893

10. Абхазия и абзацы (этнографический очерк). (გვ. 64).

1894

11. საქართველოს ისტორია. გავრცელებულია წინანდელი მოკლე ისტორია და შევსებული. მასშია სულ 503 გვ. მის შესახებ Новое обозрение. 1895. № 3937.

12. Грузинские обители в святой земле. (გვ. 13).

83

13. ათას ერთი ღამე. არაბული ზღაპარი. ყრმათა საკითხავი. თარგმნ. რუსულიდან.

14. მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეჯანიანი კლასიკურ მწერლის თხზულებისათვის მიძღვნილია წერილი, რომ საზოგადოებამ მას მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. მის შესახებ. Новое обозр. 1895. № 4002.

15. საქართველოს გეოგრაფია. ა. ქართლი. (ვახუშტისა). (გვ. 96 + XXVI).

1896

16. ფარსადან გორგიჯანიძე და მისნი თხზულებანი. გამოკვლევა შისი ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი და სხვა მასალა.

17. შოთა რუსთაველი. გამოკვლევა. ვეფხის-ტყაოსნის მოთხრობა მისი იგავ-არაკნი და ბრძნული გამოთქმანი. (გვ. 183).

1897

18. Известия грузинских летописей и историков о Северном Кавказе. Поэма Алгузиани. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. XXII. (გვ. 206).

1898

19. მეფე ერეკლე (გვ. 44).

20. Тифлиское церковное древнехранилище. Устав. История основания. Каталог книг и гуджаров. (გვ. 106).

21. История грузинской цнркვი кн. I.

22. Драгоценные камни, их названия и свойства. Сборник мате-

риалов для описания местностей и племен Кавказа. Вып-
XXIV. ტექსტი ამოღებულია შატბერდის მეათე საუკუნის
წერილიდან – „თუალთაჲ“.

1899

- 23.Грузинские обители вне Грузии
აღწერილია ქართული მონასტრები პალესტინას, სინას და
სხვ. (გვ. 40).
- 24.Каталог церковного музея № 2.
- 25.საქართველოს დედაქალაქი ტბილისი.(180 გვ.). პირველად და-
ბეჭდა აკაკიმ თავის „კრებულში“
- 26.ბამბა და მისი მოშენება.
- 84

1900

- 27.ქართული მწერლობა. წიგნი I. მწერლობა მე-X საუკუნემდე.
- 28.უკვდავთა ღალადებანი (გვ. 280).
- 29.Царица Тамара.

1901

- 30.ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით.
გადაწერა ხელნაწერისა № 558 და ტექსტების ბეჭდვის ხელ-
მძღვანელობა ჩემით შესრულებულია. (გვ. 368).
- 31.Изречения Шота Руставели.

1902

- 32.აბდულ-მესიანი შავთელისა. წინასიტყვაობა და განმარტებანი
ჩემია.
- 33.Картвельский язык и словяно-русский. Точки соприкосновения
между ними.

1903

- 34.ქართველთა მატიაზე. (გვ. 165).
- 35.Краткий отчет по церковному музею за 1901/1902 г. (გვ. 16).
- 36.Шота Руставели.

1904

37. საქართველოს გეოგრაფია ვახუშტის ხელნაწერ დედნიდან, ჩემი ვრცელი წინასიტყვაობა-გამოკვლევა (გვ. 120) და ტექსტში 530 შენიშვნა. წინასიტყვაობაშივე შეტანილია პროფ. დ. ჩუბინაშვილის გამოკვლევა კაბადოკია-ჭანეთის ძველი დროის მოსახლეობის შესახებ (გვ. ლვ – ძბ). (გვ. 120 + 324 + XXV).
38. Царевич Вахушти. География Грузии. Введение, перевод и примечания М.Г. Джанашвили. Записки КОРГО, кн. XXIV. (გვ. XLIX + 241).

1905

39. მასალები საქართველოს ისტორიისათვის. ბატონიშვილ დავითისა და სხვ. ჟურნ. „მოგზაურის“ პრემია 1905 წლისა. (გვ. 187).
40. Картлис цховреба. გამოკვლევა წყაროებისა. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа. Вып. XXXV.

85

1906

41. ქართული გრამატიკა. ეტიმოლოგია და სინტაქსი, (გვ. 169).
42. საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან 985 წლამდე. ტ. I.
43. Историко-археологический очерк Гурии, Чорохского бассейна и Чанети. Оттиск. из книги „Батум и его окрестности“ (გვ. 33 – 87).

1907

44. ნაშრომი № 1. (გვ. 84).
45. ნაშრომი № 2. (გვ. 64).

1908

46. Описание рукописей церковного музея. кн. III. (стр. 332).

1909

47. ქართული მწერლობა. წიგნი 2. (გვ 179).

1910

48. ნაშრომი № 3. (გვ. 70).

1911

49.ქადაგებანი ივანე ბოლნელისა (მე-X ს.) (გვ. 64).

1912

50.К материалам по истории и древностям Грузии и России.
(გვ. 145).

51.საქართველო. ა) ქართული მწერლობა. ბ) რწმენანი და ჩვეულებანი.

1913

52.საინგილო. გეოგრაფია. ეთნოგრაფია. არქეოლოგია. ლექსიკონი
(გვ. 230).

53.О родстве грузинском языка с индо-европейскими. Доклад прочитанный на заседании подсекции этнографии и лингвистики 18 июня 1913 года.

54.Речь в Сионском соборе перед членами XII съезда русских естествоиспытателей и врачей 17 июня 1913 г. Дневник съезда. № 1.

1914

55.გიორგი სააკაძე და მისი დრო.(გვ. 52).

56.ივან-ბაბა ბულულაშვილი. (გვ. 16).

86

57.Торжество христианства на Ближнем Востоке. (გვ. 16).

58.Каталог предметов церковного музея. (გვ. 105).

1915

59.მესხეთი. მოკლე ისტორია. სიძველენი. (გვ. 23).

60.მზე და აკაკი. ა) გადმოცემა მზე ღმერთის შესახებ, ბ) გაცნობა აკაკისა. (გვ. 36).

1916

61.Церковный музей грузинского духовенства 1888 – 1916 г.
Кратный отчет. (გვ. 15).

1917

62.კათალიკოსი კირიონი. ბიოგრაფია სურათით. (გვ. 6).

63.თამარ მეფე. (გვ. 124).

1920

64.აბდულმესიანი შავთელისა. ჩემი წინასიტყვაობა და განმარტებები. მცირე ლექსიკონი. (გვ. 61).

1932

65.პოეტა აკადემია სსაქართველოში, შოთა რუსთაველი და ნიზამი განჯელი (გვ. 29).

II ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი სტატიები

1877

66.ინგილოთა ცხოვრების ზოგი ვითარება. „სასოფლო გაზეთი“. № №16, 19, 20, 23.

67.საინგილოს ვაჭრების შესახებ. იქვე. № 19.

68.ინგილოების ჩვეულებათაგან. იქვე. № 20.

69. საინგილოში. იქვე. № 21.

70. საინგილო. იქვე. № 21.

1878

71.საინგილო. „დროება“ № 229.

72.მოგზაურობა საინგილოში. იქვე. № № 234, 235, 236, 237.

73.ზაქათლის მაზრიდამ. იქვე. № № 236, 237.

87

1879

74.წერილი რედაქტორთან „დროება“ № 122.

75.საინგილო. იქვე. № 150.

1880

76.მოგზაურობა საინგილოში. „დროება“. № № 145, 146.

77.Мцхет (ფსევდონიმით АН – ский). „Обзор“. № 463. (ნიკო ნიკოლაძისა).

1881

78.თელავის სასულიერო სასწავლებელი. „დროება“ № 111.

79.მოგზაურობა კახეთში. იქვე. № № 113, 114, 115, 116, 117.

80.ჩენი სამღვდელოების ყრილობა. იქვე. № 119.

81.ერთი ახალი პროექტი. იქვე. № 133.

- 82.კახი, იქვე. № 151.
 83.ალიბეგლო. იქვე. 166.
 84.არქეოლოგიურ კრებაზე. იქვე. № 199.
 85.ჩენი სასულიერო საქმეები. იქვე. 202.
 86.სასმელებზე ბაჟის დადების გამო. იქვე. № 214.
 87.მცხეთის დღესასწაული. იქვე, № 207.
 88.შენიშვნა. იქვე. № 218.
 89.სპარსეთიდან ჩამოსულ ქართველის ნაამბობი. იქვე. № 263.
 90.საქართველოს მოკლე მატიაზე. ყურნ. „იმედი“ № №: ივნისი (გვ. 64 – 84), ივლისი (გვ. 75 – 98), სექტემბ. 53 – 69).
 91.К сведению V археологического съезда в Тифлиссе. გაზეთი „Кавказ“. № 111.
 92.К сведению предварительного комитета V археологического съезда. იქვე. № 192.

1882

- 93.მცირე შენიშვნა. „დროება“. № 24.
 94.მოგზაურობა ქართლში. იქვე. № 39, 54, 57, 58, 59.
 95.თუშეთში მკვდრის გლოვის გამო. იქვე. № 52.
 96.მცირე შენიშვნა. იქვე. № 81.
 97.შენიშვნა. იქვე. № 82.
 98.სიტყვა მცხეთის ტაძარში 2 მაისს ბატონიშვილ ირაკლი ალექსანდრეს ძის დასაფლავებაზე. „სახსოვარი“. გვ. 31 – 35.
 99.შენიშვნები ჩვენს წარსულზე. 34 გვერდი.
 88

1883

- 100.ტფილისიდან კახამდე. „დროება“. № 123.
 101. კაკი. იქვე. № 158.
 102. ორიოდ სიტყვა. იქვე. № 233.
 103. საინგილო. იქვე.

1884

- 104.დათვალიერება მეტეხის ტაძრისა. მწყემსი. № 16, გვ. 6 – 9.
 105.მამის ანდერძი. „დროება“. № 65.
 106. ქართველთა კვალი საჩეჩნოში. იქვე, № 66.
 107. მცირე შენიშვნა. იქვე. № 75.
 108. ანჩის ხატის ეკლესია. იქვე. № 83.
 109.ნინოს ჯვარი. გაზეთი „მწყემსი“. № 7.
 110. ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. „მწყემსი“ № № 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24.
 111.Курмухис-сакдари. „Кавказ“ . № 33.

112. Лагодехский храм. იქვე. № 143.
 113. Из Закатал. იქვე. № № 144, 146.
 114. Кахи. იქვე. № 150.
 115. Бицменди. იქვე. № 193.
 116. Исторические сведения об Иверской иконе Божьей матери.
 იქვე. № 213.
 117. Краткий очерк сельского хозяйства Сагурамской долины.
 იქვე. 217.

1885

118. ბიბლიოგრაფი. „Известия кавказского общества истории и
 Археологии“. ტ I, ჟურნ. „ივერია“. № 1. გვ. 138 – 154.
 119. ქართული ფული. იქვე. № № აპრილისა (გვ. 80 – 109), ივლი-
 სისა (გვ. 99 – 119).
 120. ქრისტიანობის გავრცელება. მწყემსი.
 121. ცნობანი ძველ მწერლებისა კავკასიაზედ. ჟურნ. „ივერია“.
 № 1, გვ. 87 – 107.
 122. კათოლიკოზი ანტონი II. მწყემსი. № I, გვ. 9 – 10; № 8,
 გვ. 6 – 8; № 3, გვ. 9 – 10; № 5, გვ. 6 – 9; № 6, 11 – 12;
 № 8, გვ. 7 – 8; № 12, გვ. 11 – 13; № 15, გვ. 14 – 15.

89

1886

123. ზაქათალა. გაზ. „ივერია“. № 5.
 124. ალიბეგლო. იქვე. № 10.
 125. კახი. იქვე. № 50.
 126. აბრეშუმის მრეწველობა საინგილოში. იქვე. № № 87, 92, 112.
 116
 127. ზოგიერთი ცნობანი და მოსაზრებანი საქართველოს შესახებ.
 „ივერია“. № № 93, 94, 95 (ბოლო დაიჭირა ცენზურამ).
 128. მიურიდობა და მიურიდიზმის დამაარსებელი მანსური. იქვე.
 № № 153, 154.
 129. კახი. იქვე. № 170
 130. ქართული ენქერი ქალაქ ტულაში. იქვე. № 247.
 131. მაჰმადი ისლამის დამაარსებელი. გაზეთი „მწყემსი“. № № 7, 8,
 9, 10.
 132. საინგილრ. „ივერია“. № № 191, 192, 193; 194, 196, 197,
 198.

1887

133. ახალწლის მიგებება საინგილოში. გაზეთი „ივერია“ № 1.
 134. ისტორიული შენიშვნა. იქვე. № 9.
 135. როგორ მოიგონეს ანბანი. იქვე. № 86, 87.

136. ალიბეგლო. იქვე. № 85.
 137. ალექსანდრე ივანიცკი. (მოლა მაგომეტ-ოღლი). იქვე. № 86.
 138. დიდიე ხორეშანა. (ლეგენდა) იქვე № 91.
 139. მცირე შენიშვნა (თევდორე კვალითელი). იქვე. № 98.
 140. რა დროს და საიდან შემოიღეს ქართული ანბანი. „ივერია“.
 № № 115, 116, 117, 118, 121, 122, 123, 126, 127, 128.
 141. გიორგია. ცისკარი. № № 5, 12.
 142. მცირე შენიშვნა. გაზ. „ივერია“. № 244.
 143. გელათის სახარება. იქვე. № 265.
 144. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები.
 შესავალი. „ივერია“ № 13.
 145. არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარას დ. ბაქრადისა.
 „ივერია“. № № 18, 19, 26, 28.
 146. Взгляд на историю и литературу Грузии м. Бросески. № №
 60, 61, 66, 82, 83.
 147. Описание миниатюр гелатского евангелия პოკროვსკისა. № №
 262, 265, 269.

90

148. Сведения о памятниках грузинской письменности ა. ტაგარ-
 ლისა. „ივერია“. № 242, 248.
 149. გიორგია. გაზ. „ცისკარი“. № 5.
 150. ვიზრუნოთ სამოთხისათვის. იქვე. № 12.
 151. Краткий очерк Кахского участка в географическом этно-
 графическом и сельскохозяйственном отношении. ჟურნალი
 „Труды Кавказского общества сельского хозяйства“. № 3
 152. Виноградарство и виноделие в Закаталском округе. იქვე.
 № 11, 12.
 153. По поводу статьи: „К вопросу о грузинской церковной
 историографии. გაზეთი „Пастыр““. № № 6, 7.
 154. ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული წერილი (თამარის შესახებ).
 „ივერია“. № 269.

1888

155. ძველი წესი ახალწლის მილოცვისა (ვახუშტიდან). „ივერია“.
 № 1
 156. ვარლამ და იოსაფატ. „ივერია“. № № 4, 7.
 157. ქართული პალეოგრაფია. იქვე. № № 27, 30;
 158. გლეხური ლექსი, ჩაწერილი ბიწმენდში. იქვე. № 34.
 159. ნიმუშები ძველ ქართულ სახარებისა. იქვე. № 42.
 160. საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები. იქვე. № № 68;
 69, 81.
 161. აღდგომის დღესასწაული საინგილოში. იქვე. № 87.
 162. გლოვის წესი საქართველოში. იქვე. № 118.
 163. საინგილო. იქვე. № 152.

- 164.ახტალის სამკურნალო წყლები. „ივერია“. № 155.
 165.მოლა მასრადინა. ივერია. № 222.
 166.ბიბლიოგრაფია. „ივერია“. № № 161, 162.
 167.ბიწმენდიდან ცნობა. იქვე № 186.
 168.ჭოპორტიდან თამარის არხი. იქვე. № 187.
 169.ნუხი. იქვე. № № 186, 187, 189.
 170.ორიოდე სიტყვა აისორებზე. იქვე. № 211.
 171.საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები. იქვე. № 204.
 172.მეცნიერთა აზრი ქართული ენის შესახებ. იქვე. № 232.
 173.მეფისძე რადამისტი. იქვე. № 204.
 174.სამეურნეო საზოგადოების კრება. იქვე. № 235.
 175.სიბრძნე ბალავარისა. იქვე. № № 247, 251.

91

- 176.ბიბლიოგრაფია: „ქართული სიძველენი წმ. ქვეყანასა და სინაზე“ ცაგარელისა. ივერის. № 274.
 177. რძე. გაზეთი. „მეურნე“ № 18.
 178.ნიორი. იქვე. № 18.
 179.პირუტყვთ ავადმყოფობანი. იქვე. № 18.
 180.ამერიკის ვაზი ჟაკე. იქვე. № 19.
 181.ჩალთუქი (ბრინჯი). იქვე. № 20.
 182.თესლით ხილნარის გაშენება. იქვე.
 183.ნესვი და საზამთრო. იქვე.
 184. ტყის მეურნეობის შესახები იქვე.
 185. ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა სახელმწიფო გლეხთა საქართველოში. იქვე. № № 21, 22, 24, 25, 26 და სხვ.
 186. ალუბალი, კომში, ატამი, ნუში. იქვე. № 21.
 187. მოწინავე. იქვე. № 22.
 188. ბამბა. იქვე. № 24, 25, 26.
 189. კინკრუჭა. იქვე. № 26.
 190. კაკიდან. იქვე. № 29.
 191.საინგილოდან. იქვე. № 29.
 192. ზეთისხილი. იქვე. № 31.
 193. სასარგებლო მცენარენი. იქვე. № 33.
 194.Культура риса в Закатальском округе. „Труды Кавказского общества сельского хозяйства“. №. 12.
 195.მოკლე ისტორია ქართული ენის გრამატიკისა. ივერია. № № 9, 10.
 196.„Древности восточные“. (ქილილა და დამანა). ივერია № 122.
 197.„Поездка в Грузию Суханова“. იქვე. № 123.
 198.„Посольство Ельчина“. იქვე. № 124.
 199.„История войны персов и вандалов С римлянами“ იქვე. № 120.
 200.„Археологические путешествия Кондакова и Бакрадзе“. იქვე. № № 123, 124.
 201.წყაროები. № № 24, 29.

202.პოლიტიკური წყობილება. № № 30, 31.
203.ვაჭრობა. № № 34, 35.
204.სარწმუნოება. № № 38, 39, 45.
92

205.სამართალი. № № 46.
206.ხუროთმოძღვრება. № 48.
207.ქრონოლოგია. № 49.
208.ზნე-ჩვეულება № 51.
209.ბალავარი. იქვე. № 61.
210.საინგილო. იქვე. № № 191, 193, 194, 197, 198, 199, 200.
211.ჯრუჭის სახარება. იქვე. № № 221, 224.
212.მზითვის წიგნი ანუკა ბატონიშვილისა. იქვე. № № 234, 235.
213.ხახულის ღვთისმშობელი. იქვე. № 246.

1890

214.ბოსლობა რაჭაში (ახალწლის მილოცვა საქონლისათვის). ივე-
რია. № 2.
215.ტფილისის მაზრა. ისტორია. ეთნოგრაფია. მეურნეობა. იქვე.
№ № 12, 23.
216.დიმიტრი ბაქრაძის მოღვაწეობა. იქვე. № 32.
217.საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი (ერეკლეს შვილ-
თადმი). იქვე. № 37.
218.მეფე ერეკლე. იქვე. № № 110, 111, 112, 113, 114, 115, 116,
119, 132, 133, 134, 135, 136, 137, 139.
219.თამარ დედოფალი (ლეგენდა). იქვე. № 119.
220.საგეოგრაფიო საზოგადოების კრება. იქვე. № 64.
221.ფერია, საქართველოს დედოფალი (გადმოცემა), გუნიას კალენ-
დარი.
222.წერილი ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფ. მორფილის.
იქვე. № 24.
223.По поводу статьи археолог Жордания. გაზ. „Кавказ“.
№ 318.
224.Библиографическое сообщение о статье Ф. Жордания. Кав-
каз. № 244.

1891

225.საქართველოს ძველი ისტორიის შესახებ. ივერია. № № 7, 13.
226.აქაური ლინგვისტნი. იქვე. № 17.
227.Chronique Georgiane. იქვე. № 19.
228.მეფე ერეკლე (თეიმურაზ ბატონიშვილის თხზ.) იქვე. № 51,
52, 53, 54, 55, 56.
229.ერეკლეს წყალობისა და საფიცრის წიგნი. იქვე. № 45.
230.ერეკლეს ლოცვა. იქვე. № 94.

231. „ზნენი და ჩვეულებანი ქართველთა“ ციციანოვის მოხსენებით. იქვე. № 122.
